XVI

კარი მეთექვსმეტე

ტუნუკ

ყარამანიანი

სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი, სახლთ-ხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან „საამოთ სასმენელი“.

გამოცემა მეორე.

გამოცემული საკუთარის რედაქციით
დ. ა. ლასხარეიშვილ-მიერ.

თ გ ი ლ ი ს ი.
ელექტ.-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკ. ქ. საკ. სახ. № 5.
1912.

XVI

კარი მეთექვსმეტე

ქუჩუკ ყარამანიანი

აქ დაიწყება მუხთალ დევის და ხოსროშაჰას ძრიელი ომები და აგრეთვე სხვათა ფალვანთა ომებიც.

იმ დროს როგორც ზევით მოგხსენდათ, როდესაც გასაყარ ნადარამ ეს ამოდენა გახურებული ლაშქარი ერთმანერთს დაუშორა, მაშინ უველანი თავთავის ალაგას წავიდნენ და მოისვენეს. ამ დროს სიდან დევი არა მცირედს მწუხარებას მიეცა, ესე იგი ბაბაჲ დევის შვილის და ხაზარან დევის შვილის დაკერაზედ, მხოლოდ ჯარის სიმრავლით რამდენჯერმე რომ უკან დაწევინა მტრის ლაშქრის, იმაზედ მაინც კიდევ გულს იმაგრებდა და გარდა ამისა მუხთალ დევს მოელოდა თავის დიდროვანის ჯარებით და ფალვანებით, აბ ამ მიზეზით მაინც მხიარულებდა.

რაც შეეხებოდა როგშანბახტის მხრივ, აქ რასაკვირველია დიდის დალონებისგამო არავითარი მეჯლისი და მხიარულება აღარა ჰქონდათ. რა თქმა უნდა რომ სიდან დევის მხარეს უფრო იმისთვის ჰქონდათ მეჯლისი რომ სულ ახალ-ახალი შესვენებული მეომარი ლაშქარი მოდიოდა და ამათ როგშანბახტის მხრივ ოთხი დღე და ღამე შეუსვენებლივ გაბმული ომი ჰქონდათ.

რასაკვირველია როდესაც დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმან მზემან თავისის სხივებით ქვეყნიერება დაამშვენა, ამ დროს ორივე მხრის ლაშქარმა სათმარს მოედანს წესისამებრ რაზმები დაწყეს და უველას თავთავისთა სარდლები მიუჩინეს. ამ დროს სიდან დევმა ხმა მაღლივ თავის

ლაშქარ-თვალევანს შესძახა: ჰი დღეს არის ჩვენი ბოლო და უკანასკნელი, და ესეც ხომ კარგათ იცით რომ დღეს ჩვენი მუხთალ დევიც სამოცი ასი ათასის ლაშქარ-თვალევნებით მოგვივა და უნდა იცოდეთ რომ ჩვენ მაშინ ადარა გვიწერსრა და გარდა ამისა, გუშინ და გუშინწინ ხომ ნახეთ რომ ჩვენმა ლაშქარმა სძლია ჯარის სიმრავლით და ვინძლო დღეს უფრო ძალიან გაისარჯნეო, ვიდრე მუხთალ დევი მოგვეშველება და მაშინ თითო იმათ კაცზე ასი დევი შეხვდებითო და მაშინ რიღასი გეფიქრებათო, გარდა ამისა გეფიცებით ჩვენს რაჯიბს ეშმაკს რომ რომელიც უკან გამობრუნებულხართ უეჭველათ მე თითონ აქ მოგკლავთ და ამიტომ გიცხადებთ რომ რაც შეიძლება გმირულათ მოიქცეთ.

რა ესე სუოგველთათო დარიგება მისცა, მაშინ სარდლებს უბრძანა რომ დევთა ლაშქარი წინ წასწიოს და ერთიანათ შაუტიოს. ამ დროს რა თქმა უნდა დიდი ომი შეექმნათ.

ჰქეთ მხრიდან როგშანბახტმა მანუჩარშაჰას მოახსენა: სააჴეირანის შვილო, როგორც ვხედამ დღეს ძალიან დიდი ძრიელი ომები უნდა მოხდესო და ესპა იქვენ იცით როგორც სარდლებს მიუჩენთ. მაშინ მანუჩარშაჰამ მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, თქვენ ნურასი გეფიქრებათ თუგინდ რაც ჭრომ ლაშქარი ჰყავთ ორი იმდენიც რომ სხვა მოემატოთ, მაინც ჩვენს ახალს თვალევნებს სისხლის ღვრით ვერ გაძლობენ, ამიტომ რომ ჩვენი ხასროშაჰი ისეთი გამწურალია მუხთალ დევის სიცოცხლეზე, რომ თუ ერთი კიდევ მუხთალ დევი თვალით დაინახა, ვგონებ რომ რაგორათაც ცელმა ბალახი მოთიბოს, ისეც ხასროშაჰამ იმათი ლაშქარი გასწვიტოსო.

როდესაც ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, ამ დროს ერთი საშინელი ხმა მოესმათ. ამ ჟამად ახალთა თვალევანთა დააკვირდნენ და ნახეს რომ ეს ღრიალის ხმა სიდან დევისა იყო: არიქა დევნო თქვენს სახელს ნუ წახდებითო. მაშინ შოშან დევმა და საბჩიბაშ დევმა რომ შამოუტიეს, იმ დროს ანუაბუზ ხვადი დევი და სურხავ დევი შეხვდნენ ერთმანერთს და დაუშინეს.

ესენი ამ ომში და ბრძოლაში დაუტეოთ და ესლა შუხთალ დევისა და ხოსროშაჰას ამბავი მოვიხსენიოთ.

იმ დროს ხოსროშაჰამ შეხედა, ნახა რომ, ჰაერით დიდი ძალი ჯარები მოდის და მუხთალ დევიც წინ მოუძღვის, ამ დროს მაშინვე ბეგ-

ზადშვას ხმა უყო და უთხრა: სუეჯრულო ფალეგანო, უყურე შუხთალ დეგი ჯარებს მოუძღვისო და მე ეხლავ შუხთალ დევს შეუტევო, კეგების ხელთ ვიგდოო, შენ კი ჯარებზედ მიდიო. მაშინვე ხოსროშვას სამი კარგი მეომარი და თფალთმაქცი აიარი წამოიეგანა და წამოგიდა: მაშინ ბეგზადშვამც შეუტია და ერთის მხრიდანაც იმ ლომგულმა მანუჩარშვამ და რუიზანმა, აგრეთვე ზორაბ დევმაც მიაყოლა, ამათ დიდი ძალი ჯარები ამოსწეგიტეს, ისე რომ რისხვა ღმთისა დასცეს, იმ დროს როდესაც მანუჩარშვამ და რუიზანმა დევთა ბირი აბრუნებინეს. მაშინ შუხთალ დევიც თავისის ჯარებით ჰაერით ძირს ჩამოგიდნენ, შემდეგ მიგიდა და სიდან დევს ხელთა აკოცა და მოახსენა: დევთა ხელმწიფეო, სამსი ასი ათასი დევია ჯარები მოგრეკეო დიდის ძრიელის და მებრძოლის დევთა სარდლებითა.

სიდან დევმა რა ესე მოისმინა, მაშინვე შუბლზე აკოცა, გვერდით სკამი დაადგმევინა და დასვა. ამ დროს დიდის მწუხარებით ბაუბაე დევის შვილის და ხაზარან დევის შვილის დაჭერა უამბო და ამასთან დიდის ძალის ჯარების ამოწეგეტა. რა შუხთალ დევმა იმ გმირთა დევთა შეხურბა შეიტყო, დიდათ შეწუხდა და მოახსენა: ხელმწიფეო სულ ერთიანათ რაც ჯარები გვეავსო, ერთბაშათ შეუტევთ და უსათოთ ვძლევთო. ამაზედ რასაკვირველია სიდან დევი დასთანხმდა და მაშინვე სარდლები იხმო, ამათ თავიანთ განძრახვა უბრძანა და მაშინვე ერთიანათ შეუტიეს, მეორეს მხრიდანაც სიდან დევმა შეუტია იქით, საითაც მანუჩარშვა და რუიზანარა ომობდნენ, რა ეს ამოდენა ჯარები აქეთ გამოაბრუნეს, ამ დროს თითონაც დიდის უვირიდით მოსდევდნენ.

აქ მანუჩარშვამ უვირიდი რომ გაიგონა, შედგა და თავის ჯარებს ხმა უყო: ვისგან მორბიხართო და ან რა მოხდა ისეითო? მაშინ ერთი თვალეანი წადგა წინ და მოახსენა: თვალეანო, დიდის ჯარებით სიდან დევი წამოგიდაო და ჩვენი ჯარები იმან გამოაბრუნაო, და თითონაც უკანიდამ ხოცვით მოსდევსო, აქ წინიდამ ზორაბ დევი შეხვდა და ნახა რომ ამ გაძრიელებულს ომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ისე რომ, რადგანაც მუხთალ დევმა სამოცი ასი ათასი სულ მეომარი მამაცი დევთა ლაშქარი მოახსა, რა თქმა უნდა, დიდ შემწეობას მისცემდნენ, რაკი ეს ლაშქარი სულ ერთათ შემოერტყათ, ამ დროს თითქმის სულ შუაში მოიმწყვდიეს და დიდი ძალა და ზარალიც მისცეს, ესე იგი წინიდანაც მეომარი მოსდევდათ და უკანა მხრიდანაც, ამათ ისე აურიეს ეს ამოდენა ადამიანთა ლაშქარი რომ ერთმანერთს ვეღარა სცნობდნენ, ეხლა მკითხველსო, თქვენ წარმოიდგინეთ, თუ რა სისხლის დვრა უნდა ჰქონოდათ? ერთის სიტყვით სა-

თაც სიღახ დევი მოსდევდათ, იმ მხარეს უთვრო დიდი სისხლის დვრა ჰქონდათ, აგრეთვე მარცხნივ მხარესაც საითაც მუხთალ დევი მოსდევდა, იქაც დიდი ძალა დააყენეს და ეს ექვთი მხარი ლაშქარი გადაწყვიტეს მეორისგან და კარგათ შორის მანძილზე მოაშორეს ერთმანერთს ისე რომ, საცა რომელი თვლეყანი მოჭყვა, მხოლოდ იგი ომობდა.

რა როგორც მხნეობის და გურკუხ დედოფალმა და აგრეთვე სარვიხურამანმა, გულჩინმა და სხვათა ქალთა დედოფლებმა ესე გაჭირვება ნახეს, ძალიან შეწუხდნენ და მაშინვე თავიანთის ქალთა ლაშქრით შეუტიეს და იქამდისინ მირეკეს ეს ამოდენა დევთა ლაშქარი, რომ სადამდისინაც მუხთალ დევი ომობდა და უწყალოთ ადამიანია ლაშქარს ხოცდა. ამათ რუიზანარამ შესძახა: ჰეი შენ ბილწო და წუეულო დევო! მაგ ლაშქარს თავი გაანებეო, მე ვარ შენი მებრძოლიო, ამასთან კიდევ ერთი ასეთი შესძახა რომ, მუხთალ დევს ომიდან ხელი აღებინა და ამ თვლეყანს ცქერა დაუწყო და თან ამას ამბობდა: ნეტა ეს ვიღა თვლეყანი გამოემეცხადაო? მუხთალ დევი ამას რომ თვიქრობდა, ამ დროს ერთი ისეთი ლახტი შემოჰკრა, რომ თითონ და თავისი მხეცი ორივე დაზნიქა და ძლივსღა თავი შეიმაგრა, მხოლოთ დიდი ძალა კი დააყენა. ამ დროს მეორეც რომ მოუქნივა, მუხთალ დევი მაშინვე მხეციდან ძირს გარდმოხტა და ისრე გარდაურჩა, მაგრამ რუიზანარას მოქნეული ლახტი მუხთალ დევის მხეცს მოხვდა და ძვალი და ხორცი სულ ერთათ აურია. რა მუხთალ დევმა თავისი მხეცი მოკლული ნახა, ძალიან გაანჩხლდა და მაშინვე შამოუტიეა, ესე რომ მესამე ალარ დააცალა, ერთი ლახტი ამანაც შემოჰკრა, მაგრამ არა მცირედი ძალა დააყენა, რალა გავაგრძელოთ სამი იარაღი იხმარა მაგრამ იგი უვნებლად იდგა. ეხლა რიგი რუიზანარას ერგო და ასრეთ შესძახა: ჰეი, შენ წუეულო, ეხლა გამითრთხიალდი! თუმც ერთი ლახტი აიცდინე მაგრამ ეხლავ შეგისრულებ შენს დანაკლისსო.

რა მუხთალმა იგი ესე განრისხებული ნახა, არათ ეწყინება, მაშინვე ერთი ასეთი გურზი შემოჰკრა, რომ მუხთალ დევს თვალთ დაუბნელდა დამიწაზედ დაცემას დამოხდა, მაგრამ კიდევ თავი შეიმაგრა და უვნებლად დადგა. ამ დროს რუიზანარამ რომ დაინახა მუხთალ დევის უვნებლად დგომა, ძალიან ითაკილა „რომ ჩემს მოქნეულს გურზს ვით გარდაურჩაო“, მაშინ ერთი კიდევ შალდა ასწია ეს ამოდენა გურზი და მუხთალ დევს მოუქნივა, რა მუხთალ დევმა ნახა რომ ამას ვერ გაუძლებდა, ამიტომ თავის სიმარდით ესეც აიცდინა, მაგრამ რუიზანარამ მესამედ ასეთი მსწრაფლად დასცხო, რომ, შენი მუხთალ დევი ძირს დაეცა. ამ დროს დევები მოსცვივდნენ და ჩქარა გაიტაცეს, ამაზედ საქმე უთვრო გამწვავდა და შეექმნათ უთვრო ძრიელ

ლი ომი, ერთის სიტყვით ამ ქალთა ლაშქართა ისეთი საქმე დაუენეს რომ ეს ამოდენა ლაშქარი სულ დაფანტეს, შემდეგ ამათ ისევ თავიანთ ლაშქარი ერთად შეჰყარეს და სანა თავიანთი ახალი ფალავნები ამოიბრძანეს, იქამდისინ მირეკეს, ამ დროს ხოსროვზადშჳა კი შორიდან გბილებს იერაკუნებდა მუხთალ დევის ხელში ჩასაგდებად. აქ რალა გავაგრძელოთ, როდესაც ესენი ერთად შეიყარნენ, მაშინ რუიზანარას გამოტრიალებული ჯარი სულ ხოსროვზადშჳას მხრივ მიაწვა, ხოსროვზადშჳაც რაგორც მიმინო მწყერს ისრეთ ხოცდა ამ დევთა ლაშქრს, ვიდრე რუიზანარასთან მიახწევდა. რა რუიზანარა ხოსროვზადშჳამ დაინახა, მაშინვე მივიდა და მუხლთ მოდრეკით გამარჯვება მიულოცა, მაშინ რუიზანარამ ხელი დაუკრა და ფეხზედ აყენა, შემდეგ მოახსენა: შენი ნადირი მე შემეფეთოთ, მაგრამ ვერ შევიპყარიო, ეს კი უნდა იცოდე რომ დავგოდე კი.

ესენი ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ამ დროს ერთი საშინელი კიყინის ხმა მოუვიდათ; მიხედეს, ნახეს რომ, მუხთალ დევს ეს ამოდენა ალამიანთა ლაშქარი უკან გამოუბრუნებია და თითონაც სულ ხოცვით მოსდევენ. ერთის სიტყვით მკითხველნო, რალა თავი შეგაწუხოთ, იმ დღეს სიდან დევის და მუხთალ დევის ლაშქრმა ასეთი ძალა გამოიჩინა, რომ სწორეთ რაც ალამიანთა ლაშქარი ჰყვანდათ, სწორედ შუა გაუვეს და იმნაირათ ამოხოცეს ამ დევთა სიმრავლეთ.

რა მანუჩარშაჰმა და ამ ახალთა ფალავანთა ეს ამოდენა ლაშქართა ზარალი დაინახეს, არა მცირედ ფიქრს მიეცნენ და არ იცოდნენ თუ მუხთალ დევი რაგორ ჩაეგდოთ ხელში და სულ იმაზედ ამოეყარათ ეს ამოდენა ლაშქართა ზარალის ჯავრი. ამ დროს ხოსროვზადშჳამ კიდევ უცებ მუხთალ დევის ხმა გაიგონა, შეხედა ნახა, რომ ზორაბ დევი და მუხთალი შეხვედრიან ერთმანერთს და გურზები დაუშენიათ, მაგრამ ზორაბ დევმა ვედარ გაუძლო. როდესაც მუხთალ დევმა ხახტი შემოჰკრა, ზორაბი მაშინვე წაიქცა და რომ მეორეც უნდა დაეკრა და მიწასთან უნდა გაესწორებინა, მაშინ სირფანჯა აიარი თავისის ამხანაგებით იქ შეხვდა და სჩქარად ზორაბი გამოიტაცეს.

ამათ ამ ომში თავი დავანებოთ და ქვლა მუხთალ დევის და ხოსროვზადშჳას ამბავი მოვიხსენიოთ.

ამაში როდესაც სიდან დევმა მანუჩარშაჰას ჯარებს შემოუტიფა, ამ დროს ადარც მუხთალ დევმა მოითმინა და საითაც ხოსროვზადშჳა იდგა,

იქით შეუტია. ამან თავისის მრავლის და დიდრონიის სარდალ-ფალეენებით მრავალი ადამიანის ფალეენები დახოცა. იმ დროს ხოსროვზადშვილმა რა შეხედა და ნახა, რომ მუხთალ დევს ადამიანია ჯარები წინ წამოუძღია და თითონაც უკანიდამ ხოცვით მოსდევს, ამაზედ ძალიან გაშმარდა და იფიქრა რომ ჯარებს სულ გამიწყვეტსო? მაშინვე სჩქარით გაექანა და შესძახა: შე წყეულო დევო! მაგ ადამიანთაგან ხელი აიღე, მე ვარ შენი მებრძოლიო.

მუხთალ დევმა რა შემოხედა და ხოსროვზადშვილი დაინახა, მაშინვე იცნა და სთქვა: „მე ამ ფალეენის ხელიდგან სამჯერ მოვრჩომილვარო და ეხლა თავი ჩემი, ამისგან დიდი სიფრთხილე გმართებსო“ — დადგა და დიდი ხანი ყურება დაუწყო, მაშინ ხოსროვზადშვილმა დიდის ხმით ნარა გასწია და რადგანაც გაჯავრებულიც იყო, სჩქარით გაიკრა ხმალს ხელი და ზედ შუაზედ გაწყვეტას უპირებდა. ამ ხოსროვზადშვილის ნარის ხმაზედ ბეგზადშვილიც მსწრაფლად იქ მიიჯრა, შეხედა ნახა რომ, ხოსროვზადშვილის ხმალი ხელთ უჭირავს და უნდა შემოჰკრას, მუხთალ დევსაც ხოსროვზადშვილის ნარის ხმაზედ გული სხვა რიგათ შესცვლოდა და გაშტერებული იდგა, შემდეგ როგორც იყო, მსწრაფლად გონს მოვიდა და უცებ შეხედა რომ, ხოსროვზადშვილს ხმალ მოწვდილი მისკენ მიდის და მაშინ ერთს ხანსა გაუჩინრობა უნდოდა და ველარ მოახერხა. ამ დროს ბეგზადშვილმა შესძახა: ძმაო ხოსროვზადშვილ! ხმალსა თავი დაანებე, თორემ შენს ნაკრავს ვერ გაუძლებსო, და მაგის ცოცხალი დაჭერა უფრო საჭირო არისო.

მაშინ ხოსროვზადშვილმა ხმალი ქარქაშში მიაქცია, გარდახტა და ზედ მივარდა, ამასთან ასეთი სიტყა შემოჰკრა, რომ მუხთალ დევი შვიდჯერ უარესად გადატრიალდა და ძირს დაეცა. ამ დროს სირთუნჯა აირი ცქვიტად მივარდა, მკლავები მაგრათ შეუკრა და ხოსროვზადშვილს მოახსენა: დიდებულო ფალეენო და დიდის ფალეენის შვილო, ჩქარა ისმიაზამი შეულოცეთო და ისე შეჰკარითო, თორემ ეს წყეული კიდევ გაგეპარებათო. ხოსროვზადშვილმა მაშინვე ისმიაზამი შეულოცა და დიდის ჯაჭვებით შეჰკრა, შემდეგ სირთუნჯას უბრძანა: ეხლავ ეს წაიყვანეთ და შვიდის იყლიმის ხელმწიფის დედოფალს და ინდოეთის ხელმწიფეს მიართვითო და ამასთან გამარჯვებაც მიულოცეთო.

რა ესე ბრძანება გასცა, შემდეგ გატრიალდა და წინ ბეგზადშვილი შეხვდა, აქ გადაეხვია და ამას შუბლზედ აკოცა და უთხრა: ძმაო ბეგზადშვილ, ჩვენი მხნეობის დრო ეხლა არისო, დღეს და ხვალ ომები უნდა გათავდესო და ორთავემ საშინელის ხმით ღმთის სახელი ახსენეს და ხელახლად შეუტიეს. იმ დროს შავნაზდუხტმა და ინდოეთის ხელმწიფეებმა შემოხედეს ნახეს რომ, სირთუნჯა აირს და ორს სხვა აირთა ერთს სამი-

ნელს დევს მოათრევენ, ეს დევი ასეთი საშინელი რამ არის, რომ როგ-შანბახტს ოავმა ტკივილი დაუწყო, მაშინ აიარი წინ წარუდგა და შაჭნაზ-დუხტ დედოფალს და ხელმწიფეს ინდოეთისას ხოსროგზადშაჭისაგან გა-მარჯვება მიულოცა და ის წუეული უზარმაზარი დევიც მიართო.

ამათ მაშინ უბრძანეს: აიარო, ეს რა დევი არისო და ან ამოდენა გე-შაჭი ვინ შეიჭეროგო!? აიარმა მოახსენა: ხელმწიფენო, ხოსროგზადშაჭამ შეიჭერა და ისმიაზამის დოტვით შეჭკრაო, ეს მუხთალ დევი გახლავთო. ამათ რა ესე მოისმინეს, მაშინვე დმერთს მადლობა შესწირეს და მაშინვე სამხიარულო ნადარის კვრა უბრძანეს. მაშინ შვიდის იულიმის დედოფალი ტახტიდან ძირს ჩამოვიდა, დაიჩოქა და სთქვა: შენ უწმინდესო მოსამართ-ლე დმერთო, მადლობ შენს განგებულებას, რომ შენს წინ დიდი და ჭა-ტარა სულ სწორე არისო—ესე სთქვა და მაშინვე იმ საძაგელ დევს მრა-ვალი დარაჯები მიუჩინა და ერთს უშველებელს ხარში ჩააგდეს.

ამათ აქ თავი დავანებოთ და ესლა ქანუჩარშაჭას და რუიზანარას ამბავი მოვიხსენიოთ.

რა მანუჩარშაჭას სამხიარულო ნადარის ხმა მოესმა, იმ დროს ამან ჯერ მუხთალ დევის დაჭერა არ იცოდა და ამიტომ რუიზანარას მოახსენა: დედოფალო, ნეტავ ვიცოდე როგშანბახტს რა სასიამოვნო ამბავი მოხსენე-ბია, რომ სამხიარულო ნადარის კვრა უბრძანებიაო და თან მხიარულობენო. მაშინ რუიზანარამ მოახსენა: თვალეგანო მე რომ მუხთალ დევი გამექცაო იმას ხოსროგზადშაჭა შეხვედრია და ერთის სილის შემოკვრით დაუბნედია და ისე შეუპყრიათ, მერე როგშანბახტისთვის და დედოფლისთვის მიურთ-მევიათ და ესლა იმის სიხარული აქვთო.

როდესაც მანუჩარშაჭამ ესე ამბავი გაიგონა, დიდათ იამა და მაშინვე სთქვა: „ბარაქალა ხოსროგზადშაჭავ რომ შენისთანა თვალეგანი ადარ დაი-ბადებაო“, ეს სთქვა და მაშინვე გაბრუნდა და ისევ ომი დაიწყეს.

რა იმ ბიღწმა სიდან დევმა მუხთალ დევის დაჭერა შეიტყო, ისეთი დაიდრიალა, რომ ცისა ქვეყანაზედ დაცემის ხმასა ჰგვანდა და სახჭარად იქ წამოიჭრა და ადამიანთა ჯარებს შემოუტივა. რა მაშინ მანუჩარშაჭას იმ ბიღწის ხმა შემოესმა, მაშინვე იცნა რომ უთოდ ეს სიდან დევი არისო, მსწრაფლად წინ გადაუდგა, ერთის სამინელის ხმით დეთის სახელი ახსენა და მეორედ კიდევ შესძახა. ამ მანუჩარშაჭას ხმაზედ ხოსროგზადშაჭა და ბეგზადშაჭაც შედგნენ, შესამედაც რომ კიდევ ნარა გასწია მანუჩარშაჭამ,

მაშინ იმ ოთხთა თვლეულთა, რა მანუჩარშაჰის სამი ნარის ხმა ერთმანერთ-ზედ გაიგონეს, სახქაროდ მანუჩარშაჰისაკენ წამოვიდნენ და ალარცარა თურქ-მანის და ბნელეთის ხელმწიფის შვილებიდა დადგნენ, იმათაც გამოსწიეს და სულ ერთათ შეეყარნენ. როდესაც მანუჩარშაჰას შეხედეს, ნახეს რომ, მანუჩარშაჰა სიდან დევს წინ უდგა ამასთანაც სიდან დევის სარდლებიც და თვლეულებიც სულ ერთათ სიდან დევთან შეურიდან და ამათსა ომს უყურე-ბენ. ამ დროს მანუჩარშაჰამ უთხრა: სიდან დევო, რას გაშტერებულხარ?! ეს მეორე წელიწადია შენთან ბრძოლაში ვართო და რამდენი უცხო თვლეუ-ნები დაიხოცა შენის მიზეზითა—და ეხლა დრო არის რომ ომები გა-დაწყდესო, ამიტომაც ეხლა ვიდას იმედი გაქვსო? და თუ ომი ალარ შეგიძლიან, საბაოთ დმერთი იწამეო და განგათავისუფლებო. მაშინ სიდან დევი ასეთი განრისხდა, რომ იმის ყურებას ვერა სულდგმული ვერ გა-ძლებდა და მაშინ უპასუხა: შენ მიწისაგან შექმნილო ახალო თვლეულო! სირცხვილი არ არის ჩემთვის რომ შენისთანა გუშინდელს ბიჭს მე ვეო-მო?. ამ ლაპარაკის დროს მანუჩარშაჰა კი უფრო კარგათ შინჯავდა იმ წეე-ულს და სძაგელს. შემდეგ მანუჩარშაჰამ უთხრა, შე ბილწო! ყმარწვილი-ვარ თუ ვინცავარო, საბაოთ ღვთის ძალით ჩემის ხელით შეხურობა გაწე-რია და აგრეთვე სიკვდილიცაო.

ამ ლაპარაკის დროს, სიდან დევმა ერთი საშინელი ნარა გასწია, რომ ქვაბმიწამ სულ ზანზარი დაიწყო, ამასთან შესძახა: ააბა მანდ მოიცადეო და მაშინვე თავისი ლახტი მანუჩარშაჰას შესტყორცნა, ეს ლახტი მანუ-ჩარშაჰას დასცდა და მის საჯდომს მხეცს თავში მოხვდა და სულ მტვრათ აქცია, ლახტი დედამიწაში ჩაძვრა და ვეღარაფერი გაიგეს რა. მაშინ მანუ-ჩარშაჰამ მარდათ მხეციდან გარდმოხტა და უბედურებას გარდაურჩა. ერთის სიტყვით ღვთის განგება იყო რომ მანუჩარშაჰა ამ დევს გადურჩა. გარდა ამისა კიდევაც უნდა დმერთს ევედრნენ რომ ამას აქითაც მშვიდობით გა-დურჩეს. მოამბენიც ასრეთ მოგვახსენებენ რომ ხოსროვზადშაჰა რომ შებ-მოდა ის უმჯობესი იქნებოდაო, ან თუ ბეგზადშაჰაო, რაღგანაც მანუჩარ-შაჰა ჯერ ისევ ყმარწვილი არისო. რაღა გავაგრძელოთ, როდესაც მანუ-ჩარშაჰამ ლახტი აიცდინა, ამ დროს სიდან დევმა მეორეთ უფრო საშინ-ლად დაიღრიალა და ისევ გურზი გამოიწოდა, თავისის ტრასის ხელით აიღო და დასაკრავად მოემართა, მაშინ მანუჩარშაჰამ ერთი თოლადისაგან შექმნილი ფარი ჰქონდა, ის მარცხნივ დაიჭირა, თავზედ დაიფარა და მა-შისებურათ ასეთი ნარა გასწია რომ, იითქმის სიდან დევს გული შეუდონ-და და იგი ხმა ნამდვილად ზეციდან ეგონა და მაღლა ყურება დაიწყო. ბოლოს გონება ისევ ჩქარა შემოიკრიბა და თავისი გურზი დასაკრავათ მი-

იტანა, მაშინ მანუჩარშაჰმა ნარა რომ გასწია, იმ დროს საშინლად მაღლად შეხტა, ბედნიერის ქარქაშიდგან ბასრი ხმალი ამოიღო და უცებ შემოჰკრა მკლავებში, მაშინვე ას ათი ხელი მოსწყვიტა და დანარჩენის ხელებით ის საშინელი გურზი მანუჩარშაჰას დაჰკრა მაგრამ თუმცა იმისთანა ძალა ვედარ მოიტანა, მაინც კიდევ ძრიელი იყო, ამასთან ფარიც ზედ დაახალა და მანუჩარშაჰას მხოლოდ მხარს მოახვედრა და ძრიელ შეაწუხა.

მანუჩარშაჰმა ნახა რომ საქმე ცუდათ იყო, მაშინვე მარდათ შორს გარდახტა, მხოლოდ უნდა ვსთქა რომ, დიდი ძალა კი დაადგა, ამ დროს დედოფლები სულ ღმერთს ევედრებოდნენ მანუჩარშაჰას გადარჩენისთვის, გულდაწყვეტილი ხომ ტირილით ადარ იყო და ღმერთს მადლობას სწირავდა.

აქ დევმა ნახა რომ მანუჩარშაჰა იმ დახტასაც გადურჩა, მაშინვე დიდი ქება დაუწყო და უთხრა: შენ ახალგაზრდა ვაჟკაცხარ, მე ხომ ვიცი რომ, ჩემს მესამეს ნაკრავს ვედარ დაუდგებიხარ და მოდი ჩემი კერძი შაიქნიხარ. ამ რჩევაზედ მანუჩარშაჰამ ჰაერზედ შეაკურთხა და უთხრა, შენ წყეულხარ! მე სიკვდილი მირჩევნიაო ვიდრე შენს დამორჩილებასაო... რა სიტყვა დევმა მანუჩარშაჰისაგან ამისთანა სიტყვები გაიგონა, მაშინვე ავაზანდაზედ ფეხი შაიდგა დიდის ხმით შესძახა და გურზი მესამედ დასაკრავად მოიტანა. მაშინ მანუჩარშაჰამ სთქვა: „თუ დავდგები, ეს გურზი მომკლავსო და თუ მოგერიდები, ჩემი სიცილისით უფრო ცუდათ მოგკვდებიო და მაშ ისევ ნამუსით სიკვდილი მირჩევნიაო“, ამ დროს მანუჩარშაჰას ფალავნებიც სულ შუაზედ იდგნენ, მანუჩარშაჰამ მაშინვე ღვთის სახელი ახსენა და იმისი გურზი სიტყვა დევის გურზს ასეთი მედგრად შემოჰკრა, რომ ამ უშველებელს დევს ეს გურზი ხელთაგან გაუვარდა და დედამიწაზედ დაეცა. მაშინ სიტყვა დევს დიდათ შერცხვა და კიდეც ითაკილა, რადგანაც მანუჩარშაჰას მხრივ ფალავნებმა სიცილ-ხარხარი შექმნეს და ტაშის გვრა ასტეხეს. მაშინვე როგშანბანუტმაც სამხიარულოდ ნაღარის გვრა უბრძანა.

რა მანუჩარშაჰამ სიტყვა დევის სამს დახტას გადურჩა, მაშინ ღმერთს თაყვანი სცა და გურზი გამოიწოდა, თან შესძახა: სიტყვა დევო, შენც დიდი სიმრთხილე გინდაო. ამ დროს იმ ბიჭუნა დევმა ერთი დიდი ნიანგის ფარი ჰქონდა და ოთხსაგეს თავზედ გადაიფარა და გამოკუმული დადგა. მაშინ მანუჩარშაჰამ ერთი საშინელის დიდის ხმით ღვთის სახელი ახსენა და გურზი დასაკრავათ მოიტანა, ამ დროს მარდათ გურზი ხელთაგან გაუგდო, მისწვდა ამ ბიჭუნა დევს, ორივეს რქაში ხელები სტაცა და ძრიელ გამოსწია, ისე რომ ეს დევი წასაქცევათ დაბარბაცდა, მაშინ რა იმისმა ერთგულმა სარდლებმა ქ. ი. შოშან დევმა და სახჩიბაბ დევმა ეს ნახეს, მაშინვე საშველად გამოექანნენ, მაგრამ ამათ ბეგზადშაჰამ თვალი შეასწრო,

რა შოშან დევმა ახლოს მოახწიეა, ამას მივარდა კისერში, ხელი სტაცა და მაღლად აიეყვანა და დედამიწაზედ ასეთი დასცა, რომ შისი სახე დედამიწაზედ გამოისახა, აგრეთვე სახჩიბაშ დევსაც ბარზიმი მიუხდა და იგი დევიც ბარზიმმა შეიხეირა. რა სიღან დევის სარდალთა და ფალევანთა ეს სამარცხვინო საქმე ნახეს და აგრეთვე სიღან დევის იმისთანა გაჭირვებაში ჩავარდნა, მაშინვე გაიკრეს ხმალთა ხელი და მანეჩარშაჰას შემოუტიეს, ეს იმ აზრით რომ უნდოდათ როგორმე სიღან დევი ხელთაგან წაერთმევინათ, მაგრამ რა ამ სისხლის მღვრელთა ესე იხილეს, გაიკრეს ამათაც ხმალს ხელი და შეუტიეს, ამ დროს შუთურ აიარი და სირფანჯაც მანუჩარშაჰასთან მოვიდნენ.

როდესაც ეს ამოდენა დევთა ჯარები წამოვიდნენ და სულ მანუჩარშაჰას და გორშარაბშაჰას მოუხდნენ, მაშინ ესენი დიდათ ცდილობდნენ რომ თავიანთ ხელმწიფე როგორმე წაერთმევინათ, მაგრამ არ იქმნა და რამდენჯერაც მიიწიეს, იმდენჯერვე მანუჩარშაჰა თითო ნარას გასწევდა და სულ ბირქვე დაეურებოდნენ ხოლმე. გარდა ამისა, უნდა გსთქვათ რომ, ამ აიარაც დიდი შემწეობა მისცეს ფალევნებს, ესენი სულ ნაჯახ გაჯრულნი წინ უდგნენ. მაშინ ის ოთხნი გმირნი ფალევანნიც ესე იგი ხოსროგზადშაჰა, ბეგზადშაჰა, ნავშადშაჰა და ბარზიმიც მანუჩარშაჰასთან მოვიდნენ, ამათ ნახეს, რომ მანუჩარშაჰას სიღახ დევისთვის რქებში ხელი უტაცნია, და დედამიწაზედ დაუხეთქებია, მხოლოდ დევთა სიმრავლისაგან აიარნი ახლოს ვერ მისულან რომ მკლავები შეუკრან, მაშინ ამ ფალევანთა მანუჩარშაჰას გაშარჯვება მიულოცეს და იმწამსვე დევთა შეუტიეს და ეს ამოდენა დევთა ჯარები სულ ერთიანად უკან გაატრიალეს. ამ დროს საჩქაროდ შუთურ აიარი და სირფანჯა მისცვივდნენ მანუჩარშაჰას და გაშარჯვება მიულოცეს და იგი დევიც მაგრად შეკრეს თან უბრძანეს: წაიყვანეთ ესე თრევით და შვიდის იულიმის დედოფალს და რაც შანბახტს ეს დევი მიართვით და ჩვენის მხრით გაშარჯვება მიულოცეთ.

როდესაც ესენი გაგზავნეს, თითონ მანუჩარშაჰა და ზორაბ დევი, აგრეთვე რუიზანარა ისევ დევთა შეუტიეს, მეორეს მხრიდანაც ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფის შვილებმა, კოშკმა მათუზ დევმა, ანუაბუზ და სურხავ დევთა შეუტიეს, მესამის მხრიდანაც სარვიხურამანმა, უსნიარამა და გულიჯანმა შეუტიეს. ერთის სიტყვით ეს ამოდენა დევთა ჯარები სულ ერთათ შეჯგუფეს და მრავალი დევთა სარდალ-ფალევანნი ამოხოცეს და აგრეთვე ბევრნიც დაიჭირეს. რალა გავაგრძელოთ, რა დანარჩენთა დევთა ნახეს რომ საქმე ცუდათ იყო, მაშინვე ბირი იბრუნეს და გაიქცნენ, ამ დროს ეს ფალევანნიც უკან ხოცვით მიჰყვნენ. როდესაც ამასაც მოჰრჩნენ,

მაშინ ეს თვალეუნები გამოიბრუნდნენ, ის ლანარჩენნი დევნი კი რომელნიც სიკვდილს გადურჩნენ, სულ ჭაერით ამიან დევისკენ გასწიეს.

ამ გამარჯვებულ თვალეუნებს ინდოეთის ხელმწიფე როგშანბასტი და არდევანშაჰას დედოფალი შაჰნაზდუხტი წინ მოეგებნენ და შუბლზედ აკოცეს, გარდა ამისა როგშანბასტმა მრავალი თვალ-მარგალიტი გადაუყარა მჯნუჩარშაჰას, მაშინ მანუჩარშაჰამ მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეო, სიდან დევი უკვე დავტუსაღეთო. მაშინ ხელმწიფემ უთხრა: შენ ახლო თვალეუნო მანუჩარშაჰავ! სიდან დევი უკვე თავის საუვარელ მუხთალ დევთან ჩაეგდეთო, ამ ლაბარაკში თურქმანის და ბინელეთის ხელმწიფის შვილებიც მოვიდნენ, ამათ საჩქაროდ შაჰნაზდუხტ და როგშანბასტ წინ მოეგებნენ და ხუთთავეს შუბლზედ აკოცეს და ამათაც მრავალი თვალ-მარგალიტი გარდაუყარეს, ამ დროს უსნიარა, გულჩინი და გულიჯანიც მოვიდნენ ნაომარნი, ხელმწიფეს და დედოფალს გამარჯვება მიულოცეს, შემდეგ გატრიალდნენ და იმ ხუთთა თვალეუნთა გარდაეხვივნენ და დიდხანს ლაძინდნენ, შემდეგ გულიჯანი გაექანა და თავის საუვარელს შვილს მანუჩარს უელზედ მოეხვია და დიდხანს გადახვეულნი იყვნენ, აგრეთვე გულჩინი თავის შვილს ხოსროვზადშაჰას გარდაეხვია და ესე ერთათ სასახლისაკენ გამოსწიეს, სალომარი იარადი აიხსნეს, სალხინოთ შეიმოსნენ და უცხო მეჯლისი გამართეს. ამ დროს იმ დევთა სარდლებისა და ხელმწიფეებისა იმოდენა საზინები მოზიდეს, რომ ადაგი ადარ ჰქონდათ დაწუობისა. რა ლხინისაგან მოიცალეს, მაშინ როგშანბასტმა და შვიდის იელიმის დედოფალმა ტუსაღების მოსხმა უბრძანეს, მაშინ იქ ერთი დიდი მოედანი იუო, იმ მოედანზე კარგები დასცეს და თითონ ხელმწიფენიც და დედოფლებიც მოედანზედ გამობრძანდნენ და თავთავიანთს ტახტებზედ დასხდნენ, ესე იგი ერთს ტახტზედ არდევანშაჰის დედოფალი შაჰნაზდუხტი და სარეხურამანი დასხდნენ, მეორეს ტახტზედ უსნიარა, გულიჯანი და გულჩინი დასხდნენ, მესამეს ტახტზედაც თვით ინდოეთის ხელმწიფე როგშანბასტი და თვისი დედოფალი რუიზანარა დასხდნენ, შემდეგ მარჯვნივ მხრივ იგი ხუთნი ხელმწიფენი და ხელმწიფის შვილები დასხდნენ: ისმაილ ხანი, უსეინ ხანი, მაჰმედ ხანი, იბრეიმ ხანი და მეით ხანი; მარცხნივ მხარესაც იგი ხუთნი გმირნი და გმირთა შვილები მანუჩარშაჰა, ბეგზადშაჰა, ხოსროვზადშაჰა, გორშარაბშაჰა, ბარზიმი და ზორაბ დევი დასხდნენ; ერთ მხარესაც მადრიბის ხელმწიფე მთუზ დევი, ანუაბუზ დევი და სურხავ დევი დასხდნენ. კრთის სიტუვით ვინც კი სხდომის დიდნი იუვნენ, უველანი დასხდნენ. ამ დროს აივარნიც შემოვიდნენ და ესენიც უველანი თავთავიანთს ადაგს დასხდნენ.

ხელმწიფემ ბრძანება გასცა და ტუსაღნი იქ მოასხეს. როდესაც იქა-ურმა ხალხმა დევთა ხელმწიფე სიდან დევი ნახეს, ძალიან გაუკვირდათ მისი სიმახინჯეზე, უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი საშინელი და საზიზღარი დევი იყო, რომ კაცს გული აერევოდა, ამ დევს ოთხი თავი ჰქონდა, ამასთან მუხთალ დევიც უფრო უარესი საძაგელი იყო, შორიან დევი და საბჭიბაშ დევი და ვინც ტუსაღნი იყვნენ უველანი დიდროვანის ჯაჭვებით იყვნენ შეკრულნი, მეტადრე მუხთალ დევი უფრო მძიმის ჯაჭვებით იყო შეკრული, რადგანაც ეს უფრო უველაზე მძლავრი იყო. შემდეგ ესენი ხეებზედ გაიკრეს, მაშინ ხოსროვზადაჰვა წამოდგა და მიეიდა და მუხთალ დევს უთხრა: დევო, შენ რაც ჩვენ გვტანჯე იმის სამაგიეროთ შენ უნდა იტანჯოთ; სამჯერ დაგიჭირე და ისევ გაიპარე და მეოთხეთ ძლივსღა ხელთ გიგდეთ და უნდა შევიტყო თუ შენ სიდან შეგიძლიან რომ ერთს ჯაშში მოელი ქვეყანა მოიარეთ, გარდა ამისა ისიც, რომ ვითომც შენ ეხლა რომ აქ საპყრობილეში ტუსაღათ ხარ, მხოლოდ შენს სახეს ხედავენ და თვით შენ კი იქ არახარ—აი, ესეც უნდა შევიტყო და მანამ ამას კარგათ არ გავიგებ, მანამდის შენი განთავისუფლება თავის დღეში არ იქნება, ბარიქათ ასეთის ტანჯვითაც მოგკლავ, რომ შენის ცოდვით ქვეყანა იწოდესო, ესა სთქვა ხოსროვზადაჰვამ, გამობრუნდა და თავის ტახტზედ დაჯდა.

დიდი სიჩუმე იყო. იმ დროს როგშანბახტმა წარმოდგა ფეხზე და უბრძანა: სიდან დევო! ბევრი ლაპარაკისთვის ალარ მცალიან და ჩქარა მითხარი გრწამს ჭეშმარიტი ღმერთი თუ არა?! მაშინ სიდან დევმა შემოხედა და რა იმისთანა ფალავნები დაინახა, თითქმის გული გაუსქდა და სთქვა: „ამათის ხელში ჩემი მტერი ჩავარდესო, ამათ რა ფალავნი გაუძლებსო?“, შემდეგ დედოფლებს შეხედა და ჯერ მათმა მშვენიერებამ განაკვირვა და მერე როდესაც კარგათ გასინჯა, სთქვა: „ესენი უფრო უგეთესი ფალავნები ეოფილანო და ამათი ხვადნი და ძენი სულ ფალავანნი ეოფილანო, მაშასადამე ამათ ხელიდგან არავინ მორჩებაო“ და მოახსენა: ხელმწიფეო ინდოეთისა და დედოფალო შვიდის იულიმისავ, მე ასეთი ფალავანი და ძრიელი დევი ვიუავი, რომ ჩემს მორევა ქვეყანაზედ არავის ეგონებოდა და ჩემზედ უფრო უძლიერესიც ამიან დევი არისო, მაგრამ რადგანაც ჩვენის რაჯიბ უშმაკის მონებაში ვიუავით და ჭეშმარიტი ღმერთი დავივიწყეთ, იმისთვის ვიძლიეგუნითო, თორემ ჯარები ამასა ჰქვიანო, რომელიც ჩვენა გვეყანდა და აგრეთვე სარდალ-ფალავანნიც ხომ უკეთესნიო, გარდა ამისა, დიდროვანის ქალაქების ბატრონნიც ვართო, რომელიც ჩვენთვის ვეუარენით და იმ წეულმა რაჯიბმა არ მოგვასვენა და ამისთანა გან-

სცდელში ჩაგვყარაო; ჩვენ თითო ორი ათასი წლისანი ვართო და ჩვენს დღეში ხმელეთი არ გვინახავსო და ნეტავი არც ეხლა გვენახაო, და თუ ეხლა ვხედავთ, მართლაც ვრწმუნდებით რომ ჯვაშარიტი დმერთი თქვენი უოფილაო. შემდეგ გადაიხედა და მანუჩარშაჰაზედ სთქვა: აი გუშინდელმა უმარწვილმა რომელსაც ზირიდამ ჯერ ისევ რძე ამოსდის და ჩემისთანა ვეშაპი შემიბერო და დამიმორჩილა, მაშასადამე ეს თქვენის ჯვაშარიტის დვთის ნება იუო, გარდა ამისა რომელმაც არ იცნება ჩვენი გამარჯება; მეორეც ის, რომ ამ ხუთთა გმირთა ახალთა ფალევანთა ქვეყანაზედ ვერავინ ესწორებოდა და ამის გამო დიდებულო ხელმწიფევე, თუ რომ ჩემს ერთს მუჯა სისხლს მაპატიებთ და ჩემის დანაშაულის მაგიერს არ მიზავთ, თქვენი ჯვაშარიტი და ცისა და ქვეყნის დმერთი მიწამებია წმინდის გულითაო და მე სადაც უნდა ვიუო, თქვენ დიდს ერთგულებას და სამსახურს გაგიწევთ, და ამ ზირობასაც დაგიდებთ, რომ უოველი ჩემი საბძანებელი სულ საბაოთ დვთის მლოცავს შეექმნიო თუ ჩემს ხელთაღა იქმნებაო.

რა ამ დევმა ესე ლაპარაკი დასრულა, ხელმწიფემ მაშინვე ზორაბ დევს უბრძანა; მიდი და მკლავები აუხსენიო! ზორაბ დევი ბრძანების უმალ წამოდგა და საჭაროდ მკლავები აუხსნა. იმ დროს სიდან დევმა დაიჩოქა და ჩოჩვით მივიდა შვიდის იუდიმის ხელმწიფის ქედოფალთან და როვშანბახტ ხელმწიფის წინ, ზირდამხობით თაუვანი სცა და ორთავეს მუხლთა აკოცა და სრულის ერთგულებით თაუვანი სცა და დამორჩილდა, მერე იმ ხუთთა ფალევანთა მიესალმა და უთხრა ფალევანნო, ის ძუძუ დაიღოცოს, რომელმაც თქვენ გამოგზარდათო, შემდეგ იმ ხუთთა ხელმწიფეებს მიესალმა, გამობრუნდა და ქედოფლებს თავი დაუკრა, ამასთან ხელთა აკოცა, ბოლოს დიდხანს უურება დაუწუო, მერე რუიზანარას შეხედა და სთქვა: „ამას რა ფალევანი გაუძლებსო?“ შემდეგ ეს დევი წაიუვანეს და ერთი თოლადის სკამზე დასვეს. მაშინ ხაზარან დევის შვილი, შავი დევის შვილი, ბაუბაუ დევის შვილი და იგი ორნი დევნი წამოიუვანეს, აქ ამათაც ხელმწიფემ უბრძანა: დევნო! გრწამთ ჯვაშარიტი დმერთი თუ არაო? მაშინ ამათ მოახსენეს: ხელმწიფეო, გვრწამს და კიდეც გვიწამებიაო ჯვაშარიტი თქვენი დმერთი ცისა და ქვეყნის გამჩენიო,—წუეული იუოს რაჯიბ ეშმაკი და მისი მწამებელნიც, ამ დროს იქ ხუთი ათასი მარტო დევთა სარდალ-ფალევანნი იუვნენ ტუსაღნი, რომელნიც უოველთა ერთის ხმით შექმნეს ღრიალი: ხელმწიფევ ინდოეთისაო, ჩვენც გვრწამს თქვენი ჯვაშარიტი დმერთიო და წუეული იუოს რაჯიბ ეშმაკიო და მისი მწამებელნიცაო. ამაზედ მაშინვე უველას განთავისუფლება უბრძანეს, ესენიც რომ განთავისუფლდნენ, მაშინვე მოვიდნენ და ხელმწიფეს მუხლთა აკოცეს და სრულს ერთ-

გულებაზედ შეჰფიცეს. მერე ხელმწიფემ ზორაბ დევს უბრძანა: მოლაშქრე დევნიც არიან თუ არა?! ზორაბ დევმა მოახსენა; ხელმწიფეო, ასი ათასი დევნი გახლავანო. ისინიც მოიქცნენ და წეშმარიტი ღმერთი იცნეს და იწამესო.

რა ესე უყოლა დევთა ერთგულება შეჰფიცეს, მაშინ ხელმწიფემ ეს ჯარები დაბინავებინა და ის ასი ათასი დევთა ჯარებიც ინდოეთის ქალაქში მიაბარა, გარდა ამისა ხუთი დევი ერთს კომლს ჩაუბარეს და კარგათ შენახვა უბრძანეს. რა ესე მოაწესრიგეს, შემდეგ როგშანბატმა რაც რომ ბირველიდან დღევანდლამდის ომები მოემხდარიყო, ყოველივე მისწერა შვიდის იელიმის ხელმწიფეს და საჩუქრანს, გარდა ამისა როგორც სიდან დევი შეიპყრა მანუჩარშაჰმა, და აგრეთვე ხოსროვზადშაჰისაგან მუხთალ დევის შეპყრობა და სხვა დევთა სარდლებისაც — ერთის სიტყვით რა საქმესაც გაეგლო, ყოველივე წერილით მისწერა, გარდა ამისა ჩვენც მალე ამ ორიოდე დღეზედ თქვენკენ წამოვალთო.

მაშინვე ეს წიგნები დაბეჭდეს, სირთვანჯა აიარს და სურხავ დევს ჩაბარეს და ჩქარის სიარულით წასვლა უბრძანეს.

რა სურხავ დევმა და სირთვანჯა აიარმა წიგნები გამოართვეს, მაშინვე მსწრაფლად ჰაერში შაჰფრინდნენ და მესამეს დღეს ზარბაქ დევის ქალაქს მივიდნენ და ბირდაბირ სასახლისაკენ გასწიეს. იმ დროს აიართა შეხედეს, ნახეს რომ ერთი საშინელი დევი და ერთიც უცხო აიარი მოდიან ჩქარის სიარულით; მაშინ ამათ სთქვეს; „ესენი ვის უნდა იყვნენო?“, მაშინვე შეგიდნენ და გარდანქეშანს უთხრეს: აიართა უხუცესო, ინდოეთის მხრიდან ერთი დევი და ერთიც ვიღაც აიარი მოდიანო, იგი დევი ასეთი უზარმაზარი რამ არისო, რომ სწორეთ ერთს მთას ჰგავსო და აიარიც როგორც ძტეობა უცხო თვალევანი უნდა იყოსო; ეს ორნი ასეთის სისწრაფით მოდიანო, რომ თითქოს ფეხებს ალაგზე არა სდგამენო.

რა გარდანქეშანმა ესე გაიგონა, მაშინვე კარზე გამოვიდნენ. როდესაც შეხედეს, ნახეს რომ, ერთი ალიყალის სულთანი სურხავ დევი იყო და მეორეც სირთვანჯა აიარი, მაშინვე ამათ აიარები მიაგებეს და თითონ კი ხელმწიფესთან შევიდა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეო, სურხავ დევი და სირთვანჯა გიახლათო, მაშინ საჩუქრანი კარში გამოვიდა და როდესაც სურხავ დევმა და სირთვანჯამ საჩუქრანი დაინახეს, მაშინვე ბირდამხობით ეთაყვანნენ და მუხლთ აყოცეს, ამ დროს ქუჩუკმა ორთავეს ხელნი დაუჭირა და ზეზედ აყენა, მერე ორთავეს ბირზედ აკოცა და ერთათ სასახლეში შევიდნენ. ამათ რა შვიდის იელიმის ხელმწიფე დაინახეს, მაშინვე ბირ-დამხობით ეთაყვანნენ, მერე მივიდნენ და მუხლთ აკოცეს, შემდეგ

ყოველიბანს, ხარჯოვშირს, ყათრანს და ბარამჯიბიღს მიესალმნენ, ბოლოს თვშკუნჯს, ნახიშან ხელმწიფეს, თვარგან დევს, საჭმანს და სხვა თვალევნებსაც. მაშინ არდევანშაჭამ უბრძანა: ვიარო იხდოეთისა, რას გვიამბობთ?! ამათ მსწრაფლად წიგნები ამოიღეს და მიართვეს. როდესაც ხელმწიფემ წიგნები წაიკითხა, ვიარს ეურება დაუწყო და სთქვა: მე როგორ დავიჯერო, რომ თხუთმეტის წლის ახალის თვალევნისაგან, ჯერ დედის რძე ისევ პირზედ არ გაშრობიაო და იმისთანა უზარმაზარი ვეშაპი სიდას დევი შეეშერა? და ან ხარჯოვზადშაჭასაგან მუსთაღ დევის შეშერობა? და სურხავისაგან შაშან დევის სამჯერ წაქცევა და მერე ხაზარის დევის შვილის, შავის დევის შვილის და ბაუბაუ დევის შვილის იმ ოთხთა თვალევანთაგან შეშერობა?—მაშ დიდი ქება მათ ეველას, თუ ეს მართალი არიო. რა ესე მოათავა ხელმწიფემ თვისი ლაშარაკი, მაშინვე უბრძანა სამხიარულო ნადარის გვრა. ამ დროს სიმრუდმა სთქვა: დიდი დვთის მოწყალება არის რომ, მანუჩარშაჭისაგან იგი ვეშაპი ძლეულიო და აგრეთვე ხარჯოვზადშაჭისაგან მუსთაღ დევიო, გარდა ამისა მე მიკვირს რომ იმისთანა მეომალისმე ცათა ქვეშეთ არ იშოვება და თავის ხელოვნობით როგორ არ ცდილაო? მაშინ სირთვანჯამ მოახსენა: ფერისველთა ხელმწიფეო, მეტი რაღა ცდა უნდოდა, სამჯერ ხარჯოვზადშაჭამ შეშერო და სამჯერვე თავის მანქანებით გაიშარაო და როდესაც ტუსაღების სანახავათ მივიდოდით, ვნახავდით რომ იქ იყო; იმნაირათ ჭქონდა შეზავებული თვისი სახეო. მაშინ ფარვან დევმა მოახსენა: ხელმწიფეო შვიდის იულიმისა და საშეირანო, მე ასრედ ვგონებ რომ, იმისთანა მეთიალისმე ქვეყანაზე არ იქნება და მეც ძალიან მიკვირს რომ თავისი ხელოვნება არ მოუქმედებია და ეგრე სამარცხვინოთ დამარცხდაო. შემდეგ კიდევ სირთვანჯა წარმოდგა და მოახსენა: სამთავისის ხელმწიფეო, მე იმათს ჯარში ფარულად დავდიოდი და ერთხელ ეგ თავის ხელმწიფე სიდან დევთან შემოვიდა და დაჯდა, ამ დროს სიდან დევმა ჰკითხა: მუსთაღ დევო, მე გასაოცებელში ვარ შენს საქმესაო, რომელიც ერთს ჯაშში მთელს ცათა ქვეშეთს მიივლი და მოივლიო და ეს ამოდენა ჯარებს ხელად შეჰკრებ და იმ ერთ დღეში შენც ხან ჩემთანა ხარ და ხან ამიან დევთანაო, ეს ძალიან საკვირველი არისო და ნეტავი კიდევ სხვაც არისო შენისთანა მეთიალისმე!? მაშინ მუსთაღ დევმა მოახსენა: ხელმწიფეო, დღეს ჩემისთანა მეთიალისმე ცათა ქვეშეთში არ დაიბადება, მაგრამ სულეიმან ხათის დროს ერთი მეთიალისმე იყო, რომელსაც სახელად ფარვან დევს უხმობდნენ, იმისთანა მთელს ქვეყანაში არც არავინ დაბადებულა და არც დღეის იქით დაიბადებაო, მაგრამ იმაზედ სულეიმან ხათი რაღაზედაც გაუწყრაო, ამაზედ მან ითაკილა და მაშინვე უჩინარი იქმნაო, რომ-

ლის შემდეგაც ადარსად სჩანსო, ერთის სიტყვით იმის შექმნილი თიღისმისა მე შემძლებელი არა ვარ რომ მოგშალოგო, მაგრამ იმას კი ძრიელ ადვილად შეეძლო ჩემი შაქმნილი ჯადოების დარღვევაო; ღმერთმა ნუ ქნას რომ ის ხელახლად ქვეყანაზედ გამოჩნდეს, თორემ ჩემი საქმე ძრიელ ძნელი არის, მეორეც კიდევ ის რომ, ინდოეთის ხელმწიფის ლაშქარში ერთი ლოცვა იციან, რომელსაც „ისმიაზამს“ ეტყვიან, ისიც ძალიან ძრიელი ლოცვა არის, მე რომ დამიჭირეს, თუ იმ ლოცვით შვეკარიო, ველარ შემეძლებოდა რომ სადმე წავსულვიყავ და მესამეც ის, რომ ამოდენა ადამიანთ ჯარებს ყველას ულოცავდი და აგრეთვე მათ ფალავნებსაც, მაგრამ ჩემი ლოცვა იმათ ვერათრივით ვერ მიგვაკარეო და ამაში დიდათ ვწუხვარ, რომ ამათ ჰყავთ თუ არა, იმისთანა დიდი ჯადოს მცოდნე და იმისგან არიან შელოცვილნი რომ ჯადო არ ეკარებათ, და ან თითონ იციან თუ არა? აი ამაში მე დიდათ ვსწუხვარ. — ესე ამბავი ინდოეთის ხელმწიფეს და ფალავნებს მოახსენე.

ამაზედ ხოსროვზადშაჰს დიდად იამა და მეორეს დღესვე დაიწერა და „ისმიაზამის“ ლოცვით შეკრა. მაშასადამე ფარვან დევო, შენისთანა მეთიღეისმე არას ქვეყანაში არ იპოვებაო. ამ აიარის სიტყვაზედ მრავალი იცინეს და სამხიარულო ნადარას შებერეს. მაშინ არდევანშაჰმა, ქუჩუკ ფარამანი, ნარიმან ხელმწიფე, ფაშკუნჯი და სხვანი მივიდნენ და ფარვან დევს დიდი მადლობა უბრძანეს, რომ დღევანდლამდისინ ჩვენცა და ჩვენი სახელმწიფოც შენგნით ეოფილა შენახულიო და ამას ამოდენა ქვეყნები უბოძეს რომ, მეტი ადარ შეიძლებოდა. მაშინ ფარვან დევმა უთხრა: აიარო, ეხლა მუხთალ დევი და ანუ სხვანი სად არიანო? მან მოახსენა, სიდან დევი თავისის სარდალ-ფალავნებით სულ გაანთავისუფლა და ინდოეთის ხელმწიფეს ახლავანო, მხოლოდ მუხთალ დევი კი, დიდის სიფრთხილით ისევ ტუსაღათ ჰყავსო ხოსროვზადშაჰს და რაცა აქეთ წამობრძანდებიან, იქნება მაშინ ისიც წამოიყვანონო.

მაშინ ფარვან დევმა მოახსენა: ხელმწიფეო და სააჴეირანო, თუ რომ იგი წმინდის გულით დაგმორჩილდათ, იცოდეთ რომ დიდი შესამატი იქნება თქვენის სახელმწიფოსათვისაო და არც სასიკვდილო დევი არისო. მაშინ სიფრთხილეს და სურხვე დევს მრავალი ფეშქაშები უბოძეს და უკანვე გაისტუმრეს, თითონ კი დიდი მეჯლისი გამართეს და უცხოთ შეექცნენ.

ეს შვიდის იულიმის ხელმწიფე არდევანშაჰა და სააჳერანი ქუჩუკ უარამანი, ფაშკუნჯი, ნარიმან ხელმწიფე და იგი გმირნი ფალევანნი აქ შექცევაში დაუტეოთ და ესლა ამიან დევის ამბავი მოგიხსენიოთ.

როს ამიან დევმა ოთრის დევის ქალაქი და ციხე აიღო, მაშინ იქ მრავალი ჯარები დაუენა და თითონაც დიდროვანის ჯარებით არდევანშაჰაზედ წავიდა ზარბაქ დევის ქალაქებში სომრად, და როდესაც მივიდა, იქ მრავალი ჯარები შემოიყარა და შუდს ავირებდა. იმ დროს სულ ორმა კვირამ არ გასწია რომ მანუჩარშაჰამ და იმ ოთხთა ახალთა ფალევანთა თეთრის დევის ციხე და ქალაქი უკანვე წაართვეს და ამასთან თავიანთი საუვარელი სიდან დევი, დიდი ხელმწიფე და ძრიელი მუხთალ დევიც შაიპურეს და რაც ჯარები და სარდალ-ფალევნები დარჩენოდათ, სულ სპბაოთ დმერთი იწამეს. ეს ამბავი სულ დაწვრილებით გაქცეულმა ჯარის კაცებმა უოველივე ამიან დევს მოახსენეს.

როდესაც ეს ამბავი ამიან დევმა გაიგონა, დმერთო, რა საშინლად სახიდან შეიშალა და დაიწყო მაღლის ხმით ღრიალი და წყრომა, თან საჩქაროდ ჯარებს სომრად მზადება უბრძანა. ამის ესე ღრიალი ქუჩუკის ჯარშიაც კი გაიგონეს, მაშინ ქუჩუკ უარამანმა ათთარ ჯადო უბრძანა: გხლავ შამიტუე რა კიეინა და უვირიდი აქვსთო, მაშინ უოველიბანმა მოახსენა, დღეს დილის აქეთ სომარი მხარი მერჩისო და უთუოდ ჩვენზედ სომრად მოდისო.

რა ესე გაიგონეს, მაშინვე ათთარ ჯადო წავიდა და სადაც ამიან დევის ურდო იყო, იქ ისეთნაირათ შეიპარა, რომ სულაც ვერ მოსცხეს, მივიდა და ერთს ფარულიდამ ყურება დაუწყო, შეხედა ნახა რომ, ასეთი დევთა სარდლები სხედან რომ სწორედ გეშაებს ჰგვანან და ამიან დევი ბრძანებას აძლევდა ამ რიგათ: დევნო! ჩვენ ეს დიდი სირცხვილი დაგვემართა რომ სიდან დევი და დევთა ხელმწიფე შეუპურიათო, აგრეთვე მუხთალ დევი და მათი სარდალ-ფალევნებიცაო და გარდა ამისა, ამათ ყველას სპბაოთ დმერთი უწამებიათო, და ეხლა ის დრო არისო, რომ ან ჩვენ უნდა ვიყვნეთო და ან ისინიო. ეს დევი ლაპარაკის დროს თან დიდის ხმით ყვიროდა და ბირიდამაც ნაპერწკლები სდიოდა. მაშინ სულ ერთიანათ დევთა სარდლები ფეხზე წამოდგნენ და დაიფიცეს რომ მათგან ცოცხალი არავინ გამობრუნდეს, მანამდის სულ არ ამოსწყვიტონ ამ ადამიანთა დედანი და მამანი, გარდა ამისა ჩვენი ტუსაღნიც უნდა დავისხნათო.

როდესაც ამ დევთა ლაშქარმა ესე განზრახვა მოისმინეს, მაშინ ამიან დევმა უბრძანა: ეიჩან დევო, საუნჩარ დევო, და შაქარ დევო! თქვენ თქვენის ხუთასჯერ ასის ათასის დევთა ლაშქრით და ფალდევნებით ჰაერში ადით და რა წამსაც ჩემი ხმა გაიგონოთ, იმათის ჯარებს სულ ქვა დაუყარეთ ჰაერიდამ და სულ ერთიანად ამოსწყვიტეთო.

ამიან დევმა რა ესე სიტყვა დაასრულა, ესენი მაშინვე თავიანთის ჯარებით გადგნენ და ჰაერში ასვლას ემზადებოდნენ, როდესაც კარგათ მოწყვნენ, ესენი მაშინვე მალლა ავიდნენ. შემდეგ ამიან დევმა სოლან დევს, მწვანე დევს და კახან დევს უბრძანა: თქვენც თქვენის სარდალ-ფალდევნებით მარჯვენის მხრივ მიდით რომ დაბრუნება ადარ უნდა იყოსო და სულ იქ უნდა დაიხოცნეთო. ამათაც რა ესე ბრძანება გასცა, მაშინ სხვა ოცს გამოჩენილს სარდალსაც უბრძანა: თქვენც თქვენის ოცჯერ ასის ათასის დევებით მარცხნივ მხარეს მიდითო, კიდევ თხუთმეტ სხვა დევთა სარდლებსაც უბრძანა, თქვენც თქვენის თხუთმეტჯერ ასის ათასის ჯარებით ციხეს გარს შემოხვიენეთ რომ არავინ გაგეპაროთო, თორემ ვეღარავინ მოვრჩებით და თითონ ამიან დევიც დიდის და ძრიელის დევთა ჯარებით, რომელთა რიცხვიც ათჯერ ას ათასს მიაღწევდა სულ ციხის და ქალაქების კარებზედ მიიყვანა.

რა ამათ ესე მოილაპარაკეს და სახვალიოდ მზადება იწყეს, ამასთან დიდი შეჯლისი გამართეს.—ამ შექცევაში რომ იყვნენ, იმ დროს თავიანთი ბილწი რაჯიბ ეშმაკი შავის ტანისამოსით მოსილი მოეცვენათ რომელიც შემოვიდა და ამიან დევს გვერდით მოუჯდა და ამიან დევს გაჯავრებით უბრძანა: დიდებულო და მადლიო დევთა და სრულიად ხმელეთის ხელმწიფეო, ეგ შენი მაგვარ მამაცურად მომზადება ძრიელ კარგი არისო და ჩემთვისაც სასიამოვნოა მაგრამ, თუ თქვენც სიდან და მუხთალ დევებივით ამპარტავნობას დაიწყობთ და უოველ ომში ჩემს სახელს არ ახსენებთო, მაშინ თქვენც ისრედ შეგაპარობინებთ როგორც სიდან დევი და მუხთალ დევი თავიანთის სარდალ-ფალდევნებით შეგაპარობინეო.—თქვენ თქვენი თავი და ძრიელება როგორ გგონიათ? თუ მე შემწეობა არ მოგცეთ, თქვენ მტერთან ვერაფერს გახდებით; აი მე ეხლა შავი იმაზედ ჩავიცვიო და თქვენც გათრთხილდითო, ერთის სიტყვით როგორც ჯარები გაგიწყვიათ, მაგ რიგათ მიდით და ჩემი სახელი არსად დაივიწყოთ, თორემ უველგან დამარცხდებითო.

რაჯიბ ეშმაკმა რა ესე გათრთხილება განაცხადა, თითონ მაშინვე უჩინო იქმნა.

ესენი ისევე ამ ქვეყნად დაუტოვო და ესლა აფთარ ჯალდოს, შვიდის იულიანის სულმწიფის და საპეირანის ამბავი მოვისსენიო.

როდესაც ქუჩუკმა აფთარ ჯალდო ამიან დევისაკენ გაგზავნა, მაშინ თიითონ მეჯლისი გამართეს და უცხოთ შეექცნენ, ამასობაში თან აფთარ ჯალდოს მოელოდნენ. რომელიც კიდეც მოვიდა და მაშინვე ხელმწიფეებს მუხლთა აგოცა და საპეირანს კალთას, შემდეგ რაც იმ დევთაგან გაეგონა, ყოველივე დაწვრილებით მოახსენა. ამ დროს არდევანშაჰა და საპეირანი ცოტა ხან ჩუმის ფიქრში შევიდნენ და შემდეგ საპეირანმა მოახსენა: ყველა ადვილი არისო და არც იმათის სიმრავლით ჩვენ რამე გვეშინებაო, მაგრამ ეს ჰაერით ქვით დაშენა ძნელი არისო. მაშინ ფაშგუნჯმა მოახსენა: საპეირანო, მაგაზედაც ნუ სწუხართო, ჰაერში იმ დევთა ჯარებს ფარვან დევის და ზორაბ ხელმწიფის ფერიანი შევაბამო და მედაშენაც იქ იმათთან გიყვანეთო და აგრეთვე სჯმანიც თავისის ათთორმეტის ფალავნებით, ისინიც ჩვენთან იყვნენ და მაშინ იგი წეულნი ვედარც ქვას დაგვაერიან და ვერც რამეს გახდებიან; აგრეთვე დასარჩენი ჯარნიც იმათ ჯარებზედ მივიდნენ და თუ ვინიცობა ვერ შევიმაგრებთ, მაშინ თეთრი დევის ფარული გზები ხომ მზად არის და შიგაც დიდი მძლავრი ჯარებიც რომ არის, იგი ჯარებიც დავიბარეთო და თუ მართლაც საქმე გაჭირდეს, იმ გზებიდან ინდოეთში მივალთ და მაშინ ინდოეთის ხელმწიფესაც მისწერავთ რომ თავისის ჯარებით და ფალავნებით ამ ფარულის გზებით ჩქარა წამოგვიდნენ.

ფაშგუნჯის რჩევა ყველას დიდათ მოეწონათ, ჩქარა წერილები დასწერეს და მაშინვე სირფანჯას და სურხავ დევი რომელნიც იქ იყვნენ, მაო გაჰანეს. შემდეგ ფარვან დევმა მოახსენა: საპეირანო და შვიდის იულიანის ხელმწიფეო, მე თქვენის ხელმწიფეებისთვის და ქუჩუკისთვის ვერ მიკადრებიაო, თორემ რაც ჰაერში ამიან დევის ჯარნი ავლენო, ჩემის ხელთვნებით სულ ქვად გაქცევო, მაგრამ რა ვქნა თქვენი და ქუჩუკის წყენისა მერიდებაო. მაშინ ყოველიბანმა ხასროგშირმა და ბარამჯიბილმა მოახსენეს: ხელმწიფეო და საპეირანო, ნამუსიი და ფალავნობით სიკვდილი სჯობია მუხანათობით სიცოცხლესაო,—მართალია, რაც ფარვან დევმა გაიძრახა, ყველა ადვილათ შეუძლიან, მაგრამ ჩვენი სახელი დაიკარგება და ადარსად არ გაგვესვლებაო; უფრო უმჯობესი იქმნება ჩვენი გამჩენი საბატო ღმერთი ვეწინამძღვროთ და ისე მივიდეთ, მაშინ ისინი ვერც ჰაერიან

და ვერც ქვით რასმეს დაგვაკლებენო და მათ უველას სულ უეხ ქვეშ მოვიქცევთო.

ამ ოთხთა უალქვანთა ნათქვამი უველას დიდათ იამათ და მათი გულდოვნობა დიდათ აქეს. მაშინ ქუჩუკმა უბრძანა: უარგან დევო, თუ ჩემი სიუვარული გაქვს, მაგგვარ სიტუვებ ხულარ გაგვაგონებო, ჩვენ ჩვენი დამბადებელი ღმერთი დაგვიფარავს და როგორც უაშკუსკმა ბრძანა ისრედ მივიდეთო.

ესე ხელმწიფენი ამ მოძღადებაში და ფიქრში დაუტკოთ და ესლა უაფის მთის დევების ამბავი მოვისმენიოთ.

ჯოთხველნო ხომ გახსოვთ რომ პირველად ამიან დევმა და სიდან დევმა უაფის დევებისაგან შემწეობა და ჯარები რომ ითხოვა და ამათ არც ჯარები მისცეს და ესე პასუხიც რომ შემოუთვალეს: ჩვენ ძლივსდა ვუშმარიტი ღმერთი ვიცანით და კარგი ხელმწიფეც გვუპოვნო და თუ კიდევ ჩვენთან კაცს გამოგზავნით, უთუოთ ტეტხლში დავსწვამთო. ეს ამიან დევის პირველ კარებში სწერია, რომელიც მჯითხველნო უნდა გახსოვდეთ.

იმ დროს უაფის მთაში ერთი გამოჩენილი დევი მჯვიდრობდა, რომელიც უარამან სააპეირანისაგან იყო შეპურობილი, რომელიც დიდი ერთგული იყო უარამანისაც და ქუჩუკისაც. რა იმ დევმა ქაბუნარამ შეიტყო რომ ამიან დევს და სიდან დევს კაცები გამოუგზავნიათ და უაფის მთის დევებისათვის ჯარები უთხოვნიათ, მაშინ ეს საჩქაროდ ზადია ხანუმთან მოვიდა ათარ დევის სახელმწიფოში, სადაც უარამან სააპეირანმა ზადია ხანუში იქ გაახელმწიფა, ანი, ქაბუნარა სწორეთ იქ მივიდა და ზადია ხანუმს მოახსენა: ხელმწიფეო, მე მცირის ლაშქრით კიახელითო. ზადია ხანუმს დიდათ იამა რადგანაც იმ დევს უწინაც იცნობდა; მაშინვე კარზედ გამოეგება და ერთმანერთს გარდაეხვივნენ. რა სალმობა დასრულეს, მაშინვე შიგნით სასახლეში შევიდნენ და ცოტა ხანს შეისვენეს, მერე მცირედ შაქცნენ. მაშინ ზადია ხანუმმა უბრძანა: ქაბუნარავ რას გარჯილხარ? — ეველა მიამბეო? მაშინ ქაბუნნარა მოუვა და უოველივე აცნობა, ესე იგი ამიან დევს და სიდან დევს აგრეთვე მუხთალს როგორც რამდენისამე ასის ათასის დევთა ჯარებით, ხმელეთზედ გადმოსულიუვნენ და როგორც ინდოეთზედ ომები გარდაეხადათ, თეთრი დევის ციხე-ქალაქი აელოთ, ეს ამბები უოველივე თავიდამ ბოლომდის დაწვრილებით მოახსენა.

რა ზადია ხანუმმა ესე ამბავი გაიგონა, დიდათ შეწუხდა და უთხრა:

ძმაო და ხვადო დევო ქაბუნნარავ! მოვიგონოთ ყარამანის ფალავნობა და მისი სიყვარული ჩვენზედა; ძღივსდა ჭეშმარიტი ღმერთი ვიცანით და ჩვენთვის მოსვენებით ვართო და ეხლა ის სჯობიან რომ ჩვენი ეროვნულობა ჩვენც გავჩენოთ... მაშინ ქაბუნნარამ მოახსენა, ზადია ხანუმ, მე იმისთვის გიახელით რომ თქვენოვის შემეტუობინებინა, ჯარები შემოვიყარო და წავიდეთო. მაშინ ზადია ხანუმმა ქაბუნნარა გაისტუმრა ჯარების შესამზადებლად და თბითონ კი ერთი წიგნი შამანნარას წერილი მისწერა და სჩქარობდ დაიბარა.

რა შამანნარას ზადია ხანუმის წერილი მიუვიდა და წაიკითხა, მაშინვე ზადია ხანუმთან მოვიდა. მაშინ ზადია ხანუმმა თუვანი სცა და შამანნარას ხელზედ აკოცა და ყოველივე ამბავი უამბო. მაშინვე შამანნარა თავის საბძანებლიდან ხუთჯერ ასი ათასი დევთა და ფერიათა ლაშქარი შემოიკრიბა; ეს ლაშქარნი ასეთი ძრიელნი იყვნენ, რომ ამათთანა მეომარნი ძნელად თუ სადმე ეოფილიყვნენ. ორი დღის შემდეგაც ქაბუნნარა მოვიდა ექვსასი ასის ათასის მეომარის დევთა ჯარებით. მაშინვე ამ ჯარებს ქაბუნნარა დევი და ათარ დევის ქალი შამანნარა წინ გამოუძღვნენ და წამოვიდნენ. მაშინ ზადია ხანუმმა ქუჩუკს და შვიდის იელიმის ხელმწიფეს წიგნები მისწერა.

შამანნარა და ქაბუნნარა დევნი ესე მრავლის ჯარებით წამოვიდნენ, მრავალი დღე და კვირა იარეს და ზარბაქ დევის სახელმწიფოში მოახწიეს, ამათ ერთს მანძილზედ ერთს მაღალს მთაზედ ჩამოხტნენ, შემდეგ დახედეს, ნახეს რომ ქალაქს და ციხეს გარეთ ასეთი მძლავრი ჯარები დგას, რომ მთელი ქვეყანა ხელთ უჭირავთ და საომრად მომზადებულნი რამდენისამე რიგათ ციხეზედ მოდიან და ამასთან ასეთი სარდლები მოუძღვიან რომ, თითო მთას გვანან. შემდეგ ჰაერში შეიხედეს, ნახეს რომ ოცჯერ ასი ათასი დევთა ჯარები და სამოცი სარდლები წინ მოუძღვიან და უველას ხელთა და ზურგთა დიდროვანი ქვები უჭირავთ და უკიდიათ. მაშინ ამათ სთქვეს: „ეს რა ამბავი უნდა იყოსო, ან ეს რა ჯარები არისო?“, მერე ციხეში და ქალაქებში შეხედეს, ნახეს რომ ადამიანთა ჯარებით, დევებით და ფერიებით სამსენი არიან და ესენიც საომარს ალაგზედ მისულან და ომის თადარიგში არიან, მხოლოდ ამათ წინ ოთხი ასეთი ადამიანი ფალავნები დგანან, რომ მოინდომონ ცას დედამიწაზედ დასცემენ, შემდეგ მეორეს მხარეს ნახეს, რომ ჰაერში მრავალი ფერიების და დევთა ჯარები მოდიოდნენ. ე. ი., იმ დევთა ჯარებს, რომელთაც ქვებით იყვნენ, იმათზედ მოდიოდნენ. შემდეგ ამათ შეხედეს ნახეს, რომ კიდევ ერთი სამინელი ფრინველი მოფრინავს რომ თითქმის მთელი ჰაერი ხელთ უჭირავს

და ზედაც ასეთი თვლეგანი ადგის, რომ მის თვლეგნის სწორი და სიმშვენიერე ძნელათ იპოვების, გარდა ამისა, მშვენიერის იარაღით არის შეკაზმული, მაით უკან ათორმეტნი ასეთი დევნი მოდიან რომ სწორეთ გორებს გვანან. მაშინ უეცრო კარგათ დააკვირდნენ და იცნეს რომ თაშკუნჯი და ქუჩუკ უარამანი იყვნენ, გარდა ამისა უკანა დევნიც სჯმან თავისის ამხანაგებით და ზორაბ დევი თავისის ფერიებით და ჯინთა ლაშქრით იყვნენ. გარდა ამისა, ნაზუქ ჯინიც იყო, რომელიც საშინელი თვლეგანი იყო, იგი მოვიდა და იმ დევთა ჯარებს დაუახლოვდნენ და როდესაც ქუჩუკ უარამანი ჰაერში სათრად ამიან დევის ჯარებზედ წამოვიდა, მაშინ თავის სამსურ ცხენი თავის მამა ნარიმანს ჩააბარა და უცხო ტანსაცმელიც ჩაცვა და უბრძანა: როგორც ნარიმანმა და იმ ოთხთა თვლეგანთა გიბრძანოს ისრედ მოიქცეო.

ამათ აქ თავი დავანებოთ და ესლა ამიან დევის ამბავი მოვისსენიოთ.

როს ამიან დევმა თავისი ჯარები სათმარ ალაგს მიიყვანა, შემდეგ ათიათასც სათმრად მოემზადა და გამოვიდა. ამათ მაშინვე სათმარს ნადარს შეაბერვინა და ეოველისაგე მხრიდან შეუტია და იერიში მიიტანა ციხეზედ და ქალაქებზედ. (ეხლა ვნახავთ მკითხველნო იუ რა საშინელი ომები ასტეხეს).

როდესაც ამიან დევი წამოვიდა, ბირდაბირ ქალაქის კარებს მოატანა. რა ამიან დევი წამოსულნი ნახეს, იმის ჯარებიც შაინძრნენ და ეოველის მხრიდან ციხეს და ქალაქს შეუტიეს, ადამიანთა ჯარებში შეიჭრნენ და სულ ერთიანად გადმოქელეს, შემდეგ ქალაქში შევიდნენ და ციხის კარებს მიუხდნენ.

მაშინ იმ ხუთთა გმირთა თვლეგანთა რა ესე დაინახეს რომ დევთა ჯარები ქალაქში შემოვიდნენ, მაშინვე დასცეს ამათაც კიყინა და წინ გადუდგნენ, გაიკრეს ხმალთა ხელი და დაუწყეს უწყალოთ ხოცვა; ერთის მხრიდან ნარიმანი მიუხდა, მეორის მხრიდან გარდანქეშანი და ასიმი თავიანთის ჯარებით, მესამეს მხრიდან ქუჩუკის სამსურ ცხენი მივიდა, რომელიც თითოს ასეთს დაიდრიალებდა, რომ იმის ხმით მრავალნი დევნი იხოცებოდნენ, შემდეგ ძლიან გაცხარდა, ადუნა თავი და დაიწყო რქით, ფეხებით და კბილებით მრავალი ჯარების ამოწყვეტა, მაგრამ რადგანაც დევთა ჯარი ბევრად მრავალი იყო, იმიტომ ბირი უკან კიდევ ვერ აბრუ-

ნებისს. მაშინ ჰაერში ასულთა დევთა ჯარებმაც ქვები დაუშინეს, მაგრამ თვრვან დევის შემწეობით მათი ნასროლის ქვებით ვერას გახდნენ, თუმც ქვები ხშირად მოდიოდა ადამიანთა ჯარებზედ, მაგრამ როგორც ბამბის ბურთი ისე სვდებოდა ჯარს. რა ესეც შეიტყეს ამ გმირთა ფალავანთა, რომ იგინი ქვებით ვერას აკლებენ, მაშინ უფრო გამხნევდნენ, ერთმანეთს ხმა მისცეს და შეუტიეს, ბევრი ეცადნენ, მაგრამ კიდევ ფეხი ვერ მოაცვლევინეს, მაშინ თვშეკუნჯმა ჰაერში ქუჩუკი ახლო მიიყვანა და ასეთის სამინელის ხმით ნარა გასწია, რომ იმოდენა დევთა ჯარები იმ ხმით ბევრნი უგონოთ შეიქმნენ და ძირს ჩამოცვივდნენ. იმ დროს ქუჩუკმა მარცხნივ მიიხედა ნახა რომ ერთის დიდს გორაზედ მრავალი დევთა, ადამიანთა და ფერიათა ჯარები არიან ჩამომხდარნი, მაშინ ქუჩუკმა სთქვა: „ნეტავი ვიცოდე ეს რა ჯარები უნდა იყოსო?“ იმ დროს იქიდამ ქაბუნარა და შამანარამ შემოხედეს, ნახეს რომ ჰაერში დიდი ომები აქვსთ ქუჩუკს და მისს ჯარებს, მაშინ სარჩაროდ წამოვიდნენ, იმ დროს ერთი აიარი მოიკრა და მოახსენა: სააბეირანო, ის მომავალი ჯარემი სულ ყაფის მთის დევნი არიანო, წინ მომავალნი კი ერთი ქაბუნნარა დევი გახლავსთო და მეორეც შამანნარა ათასი დევის ქალი და ზადია ხანუმის ლაშქარიო, ესენი სულ ოქვენ მოსაშველებლად გამოუგზავნიათო.

ქუჩუკმა რა ესე მოისმინა, ისე იამა რომ სიხარულით ცოტა დარჩა გულს შეუღონდა და მაშინვე სამხიარულო ნადარას შაბერინა. როდესაც ქაბუნნარამ და შამანნარამ ქუჩუკის ისეთი შეწუხება ნახეს, მაშინვე დაჰკივდეს და ჰაერში ასეთი ბრძოლა შეჰქმნეს, რომ მეორეთ მოსვლას გვანდა და ცალის მხრიდანაც ზორაბ დევი მივიდა თავისის, ჯინთა და ფერიათა ლაშქრით, მეორის მხრიდანაც თვრვან დევი დევთა ჯარებით მივიდა. იმ დროს ქუჩუკი თვშეკუნჯზედ იჯდა და ჯართა უყურებდა, მაშინ ძირს ჩამოიხედა, ნახა რომ თავისი ჯარები ძალიან დაუძაბუნებიათ, გარდა ამისა, ყოვლიბანი, ხასროშირი, ყათრანი, ბარამჯიბილი და ნარიმანი იმოდენა ზღვის ოდენს ლაშქარში იბრძვიან და ამასთან თვისი სამსურ ცხენიც ამდენ ჯარებში დარეულა და მტერს უწუალოთ ხოცავს, მაგრამ ვერაფრით ვერ დაუძრავთ დევთა ჯარები; ამიან დევიც ხმალ გაკრული ჯარს წინ მოუძღვის და ქუჩუკის მხრის ჯარებიც მრავალი ამოუწევიეტია; მერე მარჯვნივ გადაიხედა, ნახა რომ, ანბირ და ზანგ დევს, კარდანქეშანს, ასიმს თავიანთის აიარებით დიდს ბრძოლაში არიან, მაგრამ იმათაც დიდი ძალი ჯარები ახვევიათ და ვერაფერი გაუწევიათ, ერთის მხრიდანაც ამიან დევის სარდლები მოხდომიან, ესე იგი უიჩან დევი, სუურ დევი და ბაქირ დევი, რომელნიც უწუალოთ ხოცვენ. მაშინ ქუჩუკმა სჯმანს უბრძანა: ეხლავე მანამ

მე ჩამოვიდოდე, შენ სჩქარობდ იმ ხუთთა თვალეულთა მიეცერი შენის ამხანაგებით და მტერთა ჯარებს შეუტიეთ. მაშინვე ბრძანების მორჩილი საჭმანი წამოვიდა და სამივე გვი ხუთნი გმირნი ომობდნენ, იქ მივიდა და თავისებურათ გაიკრა ნაჯახს ხელი და შეუტია. ამ ბრძოლაში საჭმანი ასეთი გაცხარდა თავისის ამხანაგებით, რომ რისხვა ღვთისა დასცა და დიდი ძალი ჯარებიც დახოცეს, მაგრამ ეს იყო ცუდი, რომ რამდენიც იხოცებოდნენ იმდენნი ჯარებიც ემატებოდათ და ამიტომ ვერათერით ვერ აბრუნებდნენ, თვალეულნიც და ჯარნიც ძრიელ შეწუხდნენ, ისე რომ დევთა სიმრავლისაგან ფეხის გადასადგმელი ალაგი აღარ ჰქონდათ; ამაზედ ქუჩუკი და თვშკუნჯი დიდათ სწუხდნენ, ბოლოს ქუჩუკმა მოახსენა, ფერიანგელთა ხელმწიფეო, მე სჩქარობდ სადაც ანბირ და ზანგ დევნი ომობენო იქ ჩამომახდინეო, მაშინვე თვშკუნჯმა ჰაერით ძირს ჩამოვიდა და სადაც ზანგ დევი, ანბირ დევი და გარდანქეშანი ომობდნენ, იქ მიიყვანა. აქ ქუჩუკმა ორივე ხელები გვერდზედ შამოიხვია და ასეთის ხმით ნარა გასწია, რომ ეს ამოდენა დევთა ჯარები ერთმანერთს ეცნენო და ეს ხმა ჰაერით ეგონათ; ამათ მაშინვე მაღლა ყურები დაიწყეს, ამ დროს თვშკუნჯმაც ასეთის ხმით დაიწყო ყვირილი, რომ მრავალნი დევნი დაიხოცნენ. მაშინ ამიან დევმა იკითხა: ეს რა ხმა იყოვო!? მათ მოახსენეს, დევთა ხელმწიფეო, იგი ხმა ქუჩუკ ყარამანის ხმა იყო და მეორეც თვშკუნჯისა და ჩვენს ჯარებს მოუხდნენო და დიდი ომი აქვსთო.

როდესაც ქუჩუკის ხმა სამსურ მხეცს მიესმა, შედგა და ყურება დაიწყო, მაშინ ქუჩუკმა მეორე ნარა კიდევ გასწია ახალად შეუტია და ამოდენა დევთა ჯარები სულ გაბრუნა, შემდეგ მიჰყვა და უკანიდამ ხოცვით მისდია; იქამდის მიახწივა, სადაც ანბირ დევი და ზანგ დევი ომობდნენ. აქ ქუჩუკმა მაშინვე ხმა მისცა. რა ანბირ და ზანგ დევებმა აგრეთვე გარდანქეშანმა ქუჩუკი დაინახეს, ერთხმათ სოფლის ხმით შესძახეს და დევთა მიესივნენ და კიდეც ბევრი აბრუნებინეს, მაშინ დევთა დაიწყეს გაქცევა და ესენიც უკან ხოცვით მისდევდნენ და მრავალი დევთა თვალეულნიც დახოცეს.

რა ქუჩუკის ხმა იმ ოთხთა გმირთაც გაიგონეს, ამათაც ერთის მხრიდან დიდის ხმით შესძახეს და შეუტიეს, ამათაც ბევრი აბრუნებინეს და გაქცეს. მაშინ სამსურ ცხენმა რა თავისი ბატონის ქუჩუკის ხმა იცნა, მაშინვე დევთა ჯარები გაჰპო და იმდენი ეცადა რომ ქუჩუკამდის მიახწივა. რა ქუჩუკმა მოიხედა, ნახა რომ ერთი საშინელი ქვეშინის ხმა მოდის, იმ დროს სამსურ ცხენიც შამოუვარდა, რა ქუჩუკი დაინახა, საუვარლათ თამაშობა დაუწყო, ხვიხვინით მივიდა და თავი მიუშვირა. ამ დროს რამდენიმე დევნი რქაზედ ჰქონდა ჩამული, ქუჩუკმა ამოართო და თვალებში აკოცა.

ესენი ამ ალერსში დაუტყოთ და ესლა ინდოეთის ამბავი მოვისმენიოთ.

რა ინდოეთის ხელმწიფემ სიდან დევი დაამარცხა და თავისის ფვალეულებით უველას საბაოთ დმერთი აწამებინა, აგრეთვე იქაური საქმებიც მოაწესრიგა, მაშინვე ზორაბ დევს უბრძანა: ზორაბ დევო! ჯარები სახვალიოთ მზად იყოს, რომ შვიდის იყლიმის ხელმწიფე არდევანშაჰასთან და ქუჩუკთან უნდა წავიდეთო, აგრეთვე დედოფლებისთვისაც ტახტები მოუმზადეთო.

ზორაბ დევმა მაშინვე ყოველივე აღასრულა, მივიდა და მოახსენა, ხელმწიფეო, თქვენი ბრძანება აღსრულდა და ეხლა ნება თქვენი არისო.

ამ ლაშარაკში რომ იყვნენ, მაშინ სირიანჯა და აღიყალის სულთანი სურხავ დევი შემოვიდნენ, ხელმწიფეს, ფალევნებს და იგი ხუთთა ხელმწიფეთა თაყვანი სცეს და აგრეთვე დედოფლებსაც მიესალმნენ, შერე ამოიღეს წიგნები და მიართვეს. ამათი რა წიგნები წაიკითხეს, დიდათ შეწუხდნენ და მაშინვე აურა უბრძანეს და ეს გმირნი ფალევანნი ხოსროგზადშაჰა, ბეგზადშაჰა, გორშარაბშაჰა, ბარზიმი და მანუჩარშაჰა ჯარებს წინ გაშოუძღვნენ და თვრულის გზებით წამოვიდნენ, აგრეთვე ბნელეთის ხელმწიფის შვილები და თურქმანის ხელმწიფის შვილებიც გამოუძღვნენ თავიანთის ჯარებს, გარდა ამისა მათუზ დევი, ანუაბუზ დევი და სურხავ დევიც თავისის ჯარებით, აგრეთვე ზორაბ დევიც წამოვიდა, სიდან დევი თავისის სარდლებით და ტუსაღებიც წამოასხეს და ესე ერთათ იმ საიდუმლო გზებით ჩქარის სიარულით წამოვიდნენ. ამ დროს ეს ხუთნი გმირნი ფალევანნი და ფალევანთა შვილები ასეთის უოფით მოდიოდნენ. რომ ქვეყანა ჩვენთა მიაჩნდათ, მიუხედავათ იმისა, რომ არდევანშაჰა და საერთოთ ქუჩუკი თავისის ლაშქარ-ფალევნებით დიდის ომებში და გაჭირებაში ეგულებოდათ.

რა შვიდის იყლიმის ხელმწიფის დედოფალმა სარვიხურამანმა, უსინარამ, გულჩინმა და გულიჯანმა იმათი მწუხარება და დიდროვანის ჯარების შემორტყმა გაიგეს, ჩქარი სიარული უბრძანეს და მეშვიდე დღესვე მიახწივეს ზანგ დევის და ანბიერ დევის ქალაქებში. აქ ერთი დიდი და მაღალ მთა იყო, ამათ იმ მთაზედ ავიდნენ და როდესაც მაღლიდან დახედეს, ნახეს რომ ოთხს და ხუთს რიგათ ქალაქს და ციხეს გარშემო დიდროვანი ჯარები შემორტყმიან და საშინელის ბრძოლაში არიან, შემდეგ ნახეს რომ ხოსროგშირი, ყოველიბანი, ყათრანი და ბარამჯიბილი, აგრეთვე ნარიმანი ერთის მხრისაგენ დიდი ომი აქვთ, მაგრამ დიდი ძალი ჯარები შემოხვევი-

ან და დიდს გაჭირებაში არიან, მეორეს მხრივ ქუჩუკ ყარამანი, ანბირ დევი, ზანგ დევი, თაშგუნჯი და გარდანქეშანი დიდს ომში არიან და ამათ უფრო დიდი ძალი ჯარები ადგანან და მეტადრე სამსურ მხეცს თავი დაუდუნავს, ჯარებში დარევია და დევთა ჯარებს უანგარიშოთ ხოცავს, შემდეგ ჰაერში შეხედეს, ნახეს რომ იქაც საშინელი დევთა, თევრიათა და ჯინთა ომები არის, მხოლოთ აქაც შეამჩნიეს რომ დიდ გაჭირვებაში იყვნენ არდევანშაჰას ლაშქარნი და თვლევანნი.

რა ამ ახალთა თვლევანთა ამისთანა ომები ნახეს, მაშინვე ეს ხუთნი ახალნი თვლევანნი ბეგზადშაჰა, ხოსროვზადშაჰა, გორშარაბშაჰა და ბარზიმი თავიანთს ჯარებს მარცხნივ მხარეს შატევა უბრძანეს და თითონაც ოთხთა დევთა შაასხდნენ და უბრძანეს: ჩქარის სიარულით იმ ოთხთა გმირთა თვალევნებთან მიგვიევანეთო. მაშინვე დევთა ასწიეს და წაასხეს. შემდეგ თურქმანის ხელმწიფის შვილებიც მარჯვნივ მხრივ მივიდნენ, კოჭლი მათუზ დევი ანუაბუზ დევი და ადიალის სულთანი ბაირდაბირ ციხის მხრივ წავიდნენ, მაგრამ მათუზ დევი ისევ სარჩაროდ უკან გამობრუნდა მანუჩარშაჰასთან და სარჩაროთ ქალები თავიანთის ჯარებით სათაც უფრო დიდი ძალი ჯარები იყო მტრისა, იქით გაგზავნა, მერე თითონაც მანუჩარშაჰას მოახსენა: თვლევანო, თქვენც ზურგზედ შემახტითო, რადგანაც მამათქვენი ქუჩუკ ყარამანი დიდ გაჭირვებაში არისო და იქ უნდა წაგიყვანოთ, მათ მიშველება უნდათო.

მაშინ მანუჩარშაჰამ ზორაბ დევს უბრძანა: შენის ასის ათასის ჯარებით ჰაერში რომ თვრკვან დევი და ზორაბშაჰა არიანო, იმათთან მიდი და შენ იცი როგორც გაირჯებიო. რა ყველანი თავიანთის სათმარს ალაგს მივიდნენ და აგრეთვე მანუჩარშაჰაც თავის მამასთან, მაშინ ამათ ერთი საშინელი ნარა გასწიეს და საერთოთ შეუტიეს დევთა ჯარებს. რა თქმა უნდა შენს მტერს დამართოს ღმერთმა, რაც რომ ამიან დევის ჯარებს და თვით ამიან დევს საქმე დაემართათ. მაშინ როდესაც ეს ოთხნი ახალნი თვლევანნი დევებზედ შესხდნენ, და თავიანთ მამებისაკენ მისაშველებლად წავიდნენ, მაშინ მაღლიდან დახედეს, ნახეს რომ ყოველიბანს, ხოსროშირს, ათრანს და ბარამჯიბილს ოთხსავ მხრიდან დიდძალი ჯარები ეხვიათ და დიდს ომებში არიან და ეტყობათ ძრიელაც დაღლილან. მაშინ მაღლიდან ოთხთავემ ასეთი საშინელი ნარა გასწიეს, რომ ცის წვეტს გვანდა და ამ ხმებზედ დევთა ჯარებმა ომს მოეშალნენ და ამბობდნენ, „ეს რა ხმები იყოვო?“, მაშინ შეხედეს, ნახეს რომ ოთხთა დევთა ოთხი ასეთი თვლევანნი მოჰყავთ, რომ იმათ მრისხანებას შვიდ თავიანი ვეშაპი ვერ გაუძლებს და სთქვეს: „ნეტარ ეს უცხო თვლევანნი ვინ უნდა იყოსო?“. მაშინ ეს

თვალეგანნი კიდეც ძირს ჩამოვიდნენ, თითო სათამარი ხმები შესძახეს, ხმლები იშიშვლეს და დევთა ჯარებს შეუტიეს; ერთის სიტყვით ვისაც ხასროვზადშვა ხმალს შეშოკვრავს, მხეცითურთ შუა სწყვეტს, ვისაც ბეგზადშვა ხელს სტაცებს, მეორეს შესტეორცნის და ორივე უსულოდ იქმნებიან, გორშარაბსაც გურზი უკრავს და ვისაც კი მოახვედრებს, მიწასთან ასწორებს და აგრეთვე ბარზიმიც ორს დევს დაიკერს და ერთმანეთს რომ შემოჰკრავს, მაშინვე უსულოთ ხდის.

მაშინ როდესაც ამ დევთა ამ ურმა თვალეგანთაგან ესეთი ძალა ნახეს, ხვირი იბრუნეს და გაიქცნენ, იმ დროს ამათაც აქლან დაჰკივლეს. მაშინ ხოსროვშირმა მარჯვნივ შეხედა და ნახა, რომ დიდი ძალი დევთა ჯარები მორბიან, მეორეთ კარგათ თვალი დაკვირვა, ნახა რომ ოთხნი იგი ახალნი თვალეგანნი თავიანთი შვილებით მოსდევენ ხოტვით და კიდეც მოახლოვდნენ. რა ერთმანერთი იცნეს, მაშინვე გარდაეხვივნენ და დიდხანს ლოშნიდნენ და შემდეგ ისევ ჯარებს შეუტიეს. შემდეგ მანუჩარშაჰასთან მოვიდნენ, ნახეს რომ მანუჩარშაჰა კოშკს დევზედ შემჯდარა და ჩქარის სიარულით ქუჩუკის სიახლოვით მისულა და როდესაც დედამიწაზედ დასვა, მანუჩარშაჰა მაშინვე საშინელის ხმით ნარა გასწია და მათუზ დევს უბრძანა: აბა მომეგებო! ამათ მაშინვე მივიდნენ და დასცეს კოცონა. იმ დროს ქუჩუკმა ყურება დაუწყო, ნახა რომ ერთი საშინელი ნარის ხმა მოესმა, მაშინვე იცნო და სთქვა: „ეს ნარის ხმა უთოოთ ადამიანთაგან იყოფა, თორემ დევთაგან ასეთი ნარა არ იქნებაო“, მაშინ კიდევ თვალი მოავლო და ნახა რომ, ადარც თავისი მხეცი იყო და ადარც ამბირ და ზანგ დევი, მაშინ დაფიქრდა და სთქვა: „ნეტავი ვიცოდე საით მხრივ იქნებიანო“?

ეს ამ ფიქრში დაუტეოთ და ესლა დედოფლების ამბავი მოვისსენიოთ.

რა თქმა უნდა დედოფლებმა თავიანთის ქალთა თვალეგნებით შეუტიეს, იშიშვლეს ხმლები და დაერიენენ. მაშინ რუიზანნარამ შეხედა, ნახა რომ, ერთი საშინელი ფშვინვის ხმა მოდის, იმ დროს შედგა და ყურება დაუწყო, კარგათ რომ გასინჯა, ნახა რომ თავისის სატვარელად ქმის სამსურ ცხენია; ამას რქებზედ რამოდენიმე დევები წამოუგია და გაცხარებული დარბის და დევთ ხოტავს, შემდეგ უკანაც მიიხედა, ნახა რომ, ამბირ და ზანგ დევნი თავიანთის ჯარებით სამსურ მხეცს მოსდევენ და დიდს ბრძოლაში არიან. მაშინვე რუიზანნარამ ხმა მისცა. რა სამსურ მხეცმა

რუიზანნარას ხმა გაიგონა, მაშინვე იცნა და გამოტრიალდა რუიზანნარასკენ, სასიამოვნოთ ჭიხვინი დაიწყო, მივიდა და თავი მიუშვირა, მაშინვე რუიზანნარამ ეს დევები რქიდამ ამოაძრო და დახოცა, ამაზედ გულიჯანიც მივიდა, ეხლა იმას შეეჭიხვინა, მაშინ გულიჯანმა და რუიზანნარამ ორსავ თვალებში აკოცეს. იმ დროს ამბიერ და ზანგ დევნიც იქ მოვიდნენ და სულ ერთათ შეიყარნენ, აგრეთვე სჯმახ ადამზად თავისის თერთმეტის ამხანაგებით მოვიდნენ და დედოფლებს თაყვანი სცეს, მაშინ ქუჩუკის და იმ ოთხთა თვალევნების ამბავი ჰკითხეს, ამათაც მოახსენეს: იგინი დიდს ომებში არიანო, მაგრამ ეხლა კი იმათი მხრის მტრის ლაშქრები სულ გამობრუნებულან და არ ვიცით რა ამბავი არისო, მაშინ რუიზანნარა და გულიჯანი სახჭაროთ ქუჩუკისკენ გასწიეს, სამსურ ცხენზედ შესხდნენ და ერთს მხრისკენ გაფრინდნენ. სამსურ მხეცი ისე მიქრიალავდა, რომ ვის შეეძლო ამ მხეცის წინ დამდგარიყო? ამათ იმდენი იარეს რომ, სადაც ქუჩუკი ომობდა და დიდი ბრძოლა ჰქონდა, იქ მივიდნენ. სამსურ მხეცმა რა ქუჩუკი დაინახა, ერთი მაღლად დაიხვიხვინა და თავისი მისვლა შეატყობინა.

რა ქუჩუკმა ისიდა და ნახა თავისი საყვარელი მხეცი და ზედაც ვიდაც ორნი მსხდარნი, გაიკვირვა, მივიდა და კარგათ გასინჯა, ნახა რომ, ერთი თავისი საუკუნოდ საყვარელი გულიჯანი იყო და მეორეც თავისი და რუიზანნარა, ესენი მაშინვე მხეციდან გარდმოხტნენ და ორივენი ქუჩუკს უელს მოეხვივნენ. ამ სალმობაში რომ იყვნენ, მაშინ მანუჩარშაჰა და კოჯლი მათუზ დევმა დევთა რაზმები დასწყვიტეს და ქუჩუკთან მოიჯრნენ. მანუჩარშაჰამ ნახა რომ თავისი დედა გულიჯანი და რუიზანნარა იქ არიან, მაშინ მანუჩარშაჰა ახლო მივიდა და თავის მამას ქუჩუკს გამარჯვება მიულოცა და ხელზედ აკოცა. იმ დროს ქუჩუკიც მოეხვია და ორსავ თვალებში აკოცა, შემდეგ თავის ეროგულს საყვარელს მათუზ დევს მოეხვია და მათუზ დევმაც ხელზედ აკოცა. რა ამათ სალმობა დაასრულეს, მაშინ ბარდახქუშანი, ასიმი და სირთანჯა მოვიდნენ და ქუჩუკს გამარჯვება მიულოცეს, მანუჩარშაჰასაც ხელთა აკოცეს და დედოფლებს თავი დაუკრეს. ამ დროს ამათ ნახეს რომ, დევთა შიგან რაღაცა არეულობა მოხდა, უკანიდან იგი უცხო თვალევანნი და ხელმწიფენნი თურქმანის და ბნელეთის ხელმსიფეებს და ხელმწიფის შვილებს შემოუტევიათ და ეს ამოდენა დევთა ჯარები წინ წამოუგრიათ და უწყალოთ ხოცვით მოსდევენ, მარცხნივაც ანუაბუზ და სურხავ დევნი თავიანთის სარდალ-თვალევნებით მოსდევენ. ამათ ასეთი ჩოჩქოლი რომ ნახეს, მაშინვე ამ თვალევანთა თითო ნარა გასწიეს და ამათაც შეუტიეს, ერთის მხრიდანაც ქუჩუკმა და მანუჩარშაჰამ

შეუტიეს, ფაშაც მსწრაფლად ჰაერში ავიდა და შვიდის იულიმის ჩალმაწითე არდაგანშაჰასთან და დედოფალთან მივიდა და იქიდან ომებს ყურება დაუწყეს. მაშინ სიმრუდმა სთქვა: ამ გმირთა ომის ყურებით კაცი თავის დღეში არ დაბერდებაო, გარდა ამისა, ამათი წინააღმდეგი ვიღა გამოჩნდებაო?

როდესაც ამიან დევმა ნახა რომ თავისი ყველა ჯარები გამოაბრუნეს და ერთს ალაგს შეჯგუფდნენ, მაშინვე ერთი საშინლად დაიღრიალა და დევთა და სარდალთ ხმა მისცა, თითონ ჯართ წინ გამოუძღვა და ამ გმირთ ფალავნებს შემოუტია. მაშინ სარვიხურამანი, უსხიარა, გულჩინი, სურხავ და საჭმან დევი თავისის თერთმეტის ამხანაგებით წინ შეხვდნენ. ეს ფალავანნი ვინ არიანო!?—ჰკითხა ამიან დევმა; მაშინ მოახსენეს: ესენი ქალთა ფალავანნი არიანო.—მაშინ უბრძანა: ყაჩაღ დევო, საყანჩურ დევო და შაქირ დევო! თქვენ სამთავემ ეგების ეცადოთ რომ იგი სამნივე ქალთა ფალავნები შეიპყროთო.—სიდან დევს, მწვანე დევს და კახან დევსაც უბრძანა, თქვენც იმ თორმეტს დევზედ მიდითო თქვენის კარგის დევთა ფალავნებითაო. (იმ უბედურმა ამიან დევმა კი ჯერ არ იცოდა სარვიხურამანის, უსხიარის, გულჩინის და გურლუხის ფალავნობა, მეტადრე საჭმანისა, რომელიც თავისის ათერთმეტის ამხანაგებით ქვეყანას გაოხრებდა).

მაშინ როდესაც ბრძანებისამებრ ამ დევთა სარდლებმა ამ ქალთ შემოუტიეს, მაშინ გაიკრეს ამათ ხმალთ ხელი და ამათაც შეუტიეს, იმ დროს საჭმანის გაცხარებისთვის რომ გეყურებინათ, ამას ბრძანებდით რომ უთუოთ ქვეყანას გაოხრებსო. — ამათ მაშინვე დაერივნენ ერთმანერთს და აქ საშინელი ბრძოლა მოუხდათ. რა ამისთანა კიკინის და ყვირილის ხმა ხოხროვშირმა, ყათრანმა, ბარამჯიბიღმა და ყოვლიბანმა გაიგონეს, თავიანთის შვილებით იკითხეს: ეს რა ამბავი მოხდაო? მაშინ ერთი ალარი მივიდა და მოახსენა: ფალავანნო, ამიან დევი თავისის სარდალ - ფალავნებით დედოფლებს შეხვდნენ და აგრეთვე საჭმანს თავისის ამხანაგებითო და დიდი ომი მოუხვდათ, მათი კიკინის ხმა არისო.

ფალავნებმა რა ესე გაიგონეს, თავს ზარი დაეცათ და მაშინვე იმათკენ გასწიეს. შემდეგ ეს ამბავი ქუჩუკსაც მოახსენდა, რომელმაც საჩქაროდ თავისსა მხეცს ამხედრდა და ესე იქით წავიდა. როდესაც მივიდა, ამან ერთი საშინელი ხმით ნარა გასწია, ამას მიჰყვნენ მანუჩარშაჰა, გულიჯანი, რუიზანნარა და გარდანქეშანი თავისის აიარებით, აგრეთვე მათუზ დევიც მიჰყვა, ერთის სიტყვით ეს უცხო ფალავნები და მტერთა ზარის დამცემნი ყველანი ერთათ შეიყარნენ და ომს ყურება დაუწყეს.

ამათ აქ თავი დავანებოთ და ესლა უარვან დევის, ზორაბშაჰის, ზორაბ დევის, ქაბუსნარა დევის და შამანნარას ომის ამბავი მოვიხსენიოთ

როდესაც ამათაც დევთა ჯარებში აერიენენ, მაშინ ასეთი დიდი ბრძოლა ატყდა, რომ მეორეთ მოსვლას ჰგვანდა, მაშინ უაშკუნჯმა მოახსენა: შვიდის იელიმის ხელმწიფეო, ამ ომებს ხედავთ ჰაერში თუ ხმელეთზედაო?— თავის დღეში ადამს აქეთ ასეთი ომი არ გაგონილა და დღეს ცხრა დღე არის რაც უსვენებელი ომებია, ეხლა სჯობს რომ გასაუარის ნადარის კვრა უბრძანოთ, თორემ დიდი ძალი ჯარები და უალქვნები გაწყდებიან, გარდა ამისა, იგი გმირნი და უალქვანნიც დიდათ შეწუხდებიან, მართლაც როდესაც თითონაც ჩააკვირდა, სჩქარიდ გასაუარს ნადარას კვრა უბრძანა.

რა ეს ხმა ორსავ მხრის ლაშქართ მოესმათ, არც ერთის მხრის უალქვანთ არ მოსწყენოდათ ჯერ კიდევ ბრძოლა, მაგრამ ნადარის ხმაზედ მაინც ომისაგან ხელი აიღეს და ყოველივე მხრის ლაშქარნი თავიანთს ბინაზედ მოვიდნენ და მოსვენებას მიეცნენ. მაშინ ხელმწიფე არდევანშაჰა და დედოფლები; შაჰნაზდუხტი, სარვიხურამანი, უსნიარა, გულჩინი და გულიჯანიც შემოვიდნენ, შემდეგ ამათ სასახლეში თავთავიანთს შესაფერს ტახტზედ დაბრძანდნენ, იმ დროს უალქვანნიც მოვიდნენ, სალამარი იარადი აიხსნეს და სალხინოთ შეიმოსნენ, მერე ხელმწიფეს ეახლნენ. მაშინ საუეირანი ქუჩუკი, ყოველიბანი, ხოსროუშირი, უათრასი და ბარამჯიბინდი და აგრეთვე ბეგზადშაჰა, ხოსროუზადშაჰა, გორშარაბშაჰა და ბარზიმი ეახლნენ, მერე ბნელეთის ხელმწიფის შვილები და თურქმანის ხელმწიფის შვილები მოვიდნენ ესე იგი ისმაილ ხანი, უსეინ ხანი და მაჭმად ხანი, შემდეგ შემოვიდნენ ზორაბშაჰა, ამასთან უაშკუნჯი და უარვან დევი, ერთის სიტყვით ვინც არდევანშაჰას სარდალ-უალქვანნი იყვნენ, ყოველნივე იქ შეიგრიბნენ.

რა ყველანი იქ იმეოფებოდნენ, მაშინ ამათ ერთის ხმით დაიძახეს: შვიდის იელიმის ხელმწიფეო, მოგვილოცავს თქვენი ბრწყინვალე გამარჯვებაო და მერე ჩარიგებით დასხდნენ. შემდეგ ინდოეთის ხელმწიფე, ნარიმანი ქაბულის ხელმწიფე და რუიზანნარა მოვიდნენ, ხელმწიფეს გამარჯვება მიულოცეს და მერე თავიანთს ალაგს დასხდნენ, შემდეგ სიდან დევი, შიშან დევი და საბჩიბაშ დევიც შემოვიდნენ და ხელმწიფეს თაყვანისცეს, შემდეგ საუეირანის და ხელმწიფე როუშანბახტის წინ დაიჩოქეს და მოახსენეს: შვიდის იელიმის ხელმწიფეო და საუეირანო ხმელეთისაო,

გთხოვთ რომ ჩვენი ერთი მუჯა სისხლი გვაპატიოთო და რადგანაც იქმნი ჭეშმარიტი დმერთი ვიწამეთ, აგრეთვე გვაპატიეთ ჩვენი წინააღმდეგობა თქვენს წინაშე და ჩვენ მაშინ თქვენს ჭეშმარიტს დმერთს ვემსახურებით. მაშინ შვიდის იყლიმის ხელმწიფემ უბრძანა: რადგანაც ჭეშმარიტი დმერთი გიწამებიათო, მეც მიპატიებია თქვენი უგელა დანაშაული; და აგრეთვე საპყრობილეშიც უბრძანა: რადგანაც ჩემს შვილს მანუჩარშაჰს და იმ ოთხთა ახალთა ფალავანთა დამორჩილებიხარო, მაშ მეც მიპატიებიაო,— შემდეგ ქუჩუკმა ხელი დაუკრა სიღან დევს, შოშან დევს და საბჩიბაშ დევს, მიიყვანა შვიდის იყლიმის ხელმწიფესთან. ესენიც ხელმწიფეს მუხლთ აგოცეს, შემდეგ ფალავნებს მიესალმნენ და ხელმწიფეებს ზირს აგოცეს. რა ესე სალმობას მორჩნენ, მერე გადაუვანეს და ბარაშკიბილის ქვემოდან დასვეს. შემდეგ შავის დევის შვილი, ხაზარან დევის შვილი და ბაყბაყ დევის შვილი წამოდგნენ და ვედრება დაუწყეს. მაშინ ხელმწიფემ ამათაც აპატია და ქუჩუკმა უბრძანა: ფალავანნო, რადგანაც შვიდის იყლიმის ხელმწიფემ ინება და გაპატიათ, მეც მიპატიებია, მხოლოდ მამაოქვენსავით თუ კიდევ ორგულობა გულში გიდევთ, რომ არ შეგვირიგდეთ, უფრო უმჯობესი იქნება და ოქვენ ცოდვაში ტუვილად ნუ ჩაგეყრით, თორემ ჩვენის ხელიდამ ვეღარ მორჩებით.

მაშინ ამათ მოახსენეს: სააპყრობოთ, მამაჩვენი ძრიელ შემცდარსი ყოფილან, როდესაც თქვენი ძალა უნახავთ და ხელმეორეთ უკუ მდგარან; მაშასადამე იმათზედ ძრიელ ახი ყოფილა ის სატანჯველი, რომელსიც თქვენგნით მიულიათ, მეტადრე უფრო იმისთვის რომ, ჯერ ჭეშმარიტი დმერთი იცნეს და შემდეგ ისევ რაჯიბ ეშმაკისთვის უმსახურნიათ.

ამ სიტყვებზედ ქუჩუკმა მაშინვე ამათ ზირზედ აგოცა, შემდეგ ამათაც გადავიდნენ, ხელმწიფე არდევანშაჰს მუხლთა აგოცეს, ნარიმანს, როვშანბახტს და იმ გმირთა ფალავნებს უგელას მიესალმნენ და მერე შოშან დევის და საბჩიბაშ დევის გვერდით დასხდნენ. მაშინ მუხთალ დევის მოუვანა უბრძანეს.—მაშინვე საჭმანი და გარდანქეშანი წავიდნენ მუხთალ დევის მოსაყვანად. ამ დროს ფარვან დევი ათარ დევის ქალი შამანნარა, ქაბუნნარა დევი და სხვანი, ვინც ჭაერში იბრძოდნენ, ყოველნიგე მოვიდნენ. ამათ მოსვლა მაშინვე შვიდის იყლიმის ხელმწიფეს და საპყრობის მოახსენეს, ჭაერიდამ ჯარები დაბრუნდნენო და ქაბუნნარა, შამანნარა და ფარვან დევიც ეხლავ გიახლებიანო. საპყრობს დიდათ იამა და სანჩარად წინ მიეგებება, ზირველად ფარვან დევს მიესალმა და შემდეგ ქაბუნნარას და შამანნარას, მერე ამათ ხელზედ აგოცა, წინ გაუძღვა და ხელმწიფესთან შეასხა. შამანნარა და ქაბუნნარა დევმა ხელმწიფეს ზირდამხობით თაყვანი სცეს,

და მუხლთა ჰკოცნეს. ხელმწიფემ დიდი მადლობა უბრძანა ყაენის დევების ერთგულობისათვის და შემანიშნარას ამდენი სიჩუქარი უბოძა რომ, შენახვა არ შეეძლო. მერე ამათ გამობრუნდნენ ფალავნებს მიესალმნენ და დედოფლებს ხელზედ ჰკოცნეს. შემდეგ ქაბუნიარა ფალავნებთან გადიყვანეს და შემანიშნარაც შვიდის იღლიმის დედოფალმა შაჰნაზდუხტმა და სარვიხურამანმა შუაში ჩაისვეს და დიდი ზეიმი სცეს მათი ერთგულებისათვის. იმ დროს შაჰნაზდუხტმა უბრძანა: დედოფალი ზადიხანუმი როგორ იმყოფებაო? მაშინ შემანიშნარამ მოახსენა, დედოფლებო, თქვენის და დვთის წყალობით კარგათ გახლავსთო — ტოტა სიბერემ ვერ გაბედინა, თორემ თქვენთან ხლება დიდათ სურდა, რადგანაც დიდის ფალავნის და სააჲირანის ყარამან ყათიღისაგან დიდათ არის დავალებულიო, სარვიხურამანისა, ქუჩუკისა და ნარიმანის ნახვა დიდათ სურსო, უმეტესად უფრო შვიდის იღლიმის ხელმწიფისაო და რადგანაც ჯერ-ჯერობით ვერ ხედავს, ამიტომ აქ ფარულად ათი კაცი ჰყავს და როცა რასმეს თქვენს გამარჯვებას შეიტყობენ, მაშინვე ზადიხანუმს აცნობებენ და ისიც ან გზაზედ დაგიხვდებათ და ან უშანგბათშიო.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მაშინ საჭმანმა და გარდანქეშანმა მძიმედ შეკრული დიდრაჟანის ჯაჭვებით მუხთალ დევი შემოიყვანეს და ამასთანაც ოცდათი ასეთი დევთა ფალავნები, რომ თითო მთებს ჰგვანდნენ, რომელნიც ხოსროვზალშაჰისაგან იყვნენ დაჭერილნი. ამ დროს მუხთალ დევმა და იმ დევთა ფალავნებმა რა ხელმწიფეს შეხედეს და აგრეთვე იმის მარცხნივ და მარჯვნივ მსხდომნი ფალავნები ნახეს, მაშინ სთქვეს: „ამისთანა ფალავნები რომ ჰყოლიათ, ჩვენ ამათ რას დავაკლებთო?“, მეტადრე ქუჩუკი რომ ნახეს, დიდათ ჰკვირობდნენ იმისს ფალავნობაზე, შემდეგ მუხთალ დევმა რა მარცხნივ ყურება დაიწყო, ნახა რომ, ერთი სამინელი დევი ზის და თავზედაც სხელმწიფო გვირგვინი ადგია, უკანიდანაც თავს ორი ჯადო ადგას, მაშინ სთქვა: „ეს უთუოდ ფარვან დევი არისო“, და სულ კანკალი დაწყებია, თავი დაღუნა და დიდათ შეწუხდა, მაშინ ხოსროვზალშაჰმა ზეზედ წამოდგა და მოახსენა: ხელმწიფეო შვიდის იღლიმისა და სააჲირანო ხმელეთისაო, ეს მუხთალ დევი თავისის სარდლებით და ფალავნებით სამჯერ შეგიპყარი დვთის და თქვენის წყალობით, მაგრამ სამჯერვე გაიპარა თავისის ხელოვნებით და მეოთხედ რადგანაც სირფანჯა აირი ამათ ჯარში იმყოფებოდა, იმან გარდმოქცა, რომ ვითომც ამას ეთქვა თავის ხელმწიფე სიდან დევისთვის, „რომ ჩემისთანა მეთიღისმე არც ერთი ქვეყანაში არ არისო, მხოლოდ ფარვან დევის მეტიო და თუ ის სადმე გამოჩნდაო, ჩვენი საქმე ხელთაგან წასული არისო, გარდა ამისა ჩემი შეკვრა და დაჭერა მხოლოდ „ისმიაზამის“ ლოცვით შეიძლებაო, გარდა ამისა

კიდევ ის რომ, თუ ამათ ერთი გამოჩენილი ჯადო არ ჰქვანდეთ, ამოდენა ჩვენი ჯადოს მანქანები რატომ არ ეკარებათო?“ როდესაც სირფანჯამ ეს ამბავი მიამბო, მეორეს დღესვე ღვთის შეწევით დავიწირე თავისის ფალვნებით და თქვენის დიდებულებისათვის მომირთმევია და ეხლა ნება თქვენი აღსრულდესო. რა ხოსროვზადშჰამ ესე მოხსენება დაამთავრა, შემდეგ მიბრუნდა და მუხთალ დევს უთხრა: მუხთალ დევო, კარგათ გასინჯე! აგერ თავზედ რომ გვირგვინი ადგას ის ბრძანდება ფარვან დევი და ხელმწიფე სამთავისისაო, მერე ისევ გაბრუნდა და თავისს ალაგს დაჯდა.

იმ დროს რა მუხთალ დევმა ფარვან დევი კარგათ გასინჯა, სულ ირთოლა დაწუებინა. მაშინ არდევანშაჰმა უბრძანა: მუხთალ დევო, სწორეთ მითხარი გწამს ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთი, თუ არაო? იმ დროს იმ უბედურს თავალი ცარვან დევზედ ეჭირა და იმისის შიშით ხასუხი ვერ გასცა და რა შეატყეს ეს იმისი შიში, მაშინ სააჭაირანი წამოდგა და უთხრა: ფარვან დევო და ხელმწიფეო, ამ მუხთალ დევის ბედს როგორ ინებებთო? მაშინ ფარვან დევი ზეზედ წარმოდგა და მოახსენა: შვიდის იყლიმის ხელმწიფეო და სააჭაირანო ხმელეთისა, აგრეთვე მიუბრუნდა ფალვნებსაც, გმირთა გმირო ხოსროვზადშჰ და უცხო ფალვანნო და ფალვანთა შვილნო, მე გთხოვთ დიდის თხოვნით რომ ამ მუხთალ დევისაგან თუმცა ბევრი ტანჯვა მიგიღიათ, მაგრამ ეს მუხთალ დევი მე მიბოძეთო.

რა ფარვან დევმა ესე გამოაცხადა, მაშინ ხოსროვზადშჰამ მოახსენა: ფარვან დევო, სადაც ეგ მუხთალ დევი დავიჭირე ის ალაგი ინდოეთის სახელმწიფო არის, და იქ რომ ჩემთვის გეთხოვნათ, მაშინაც ნება არა მქონდა, იმიტომ რომ, რადგანაც ინდოეთის ხელმწიფეს ვებარენით, ეხლაც როგორც ხანბახტისა, შვიდის იყლიმის ხელმწიფისა და სააჭაირანის ნება არისო,—მე ერთი მოხადირე უმარწვილი კაცი ვარ და ეგ საქმე მე არ შემეხება... მაშინ ქუჩუკმა დიდათ გაიცინა თავის სააშურათ, მივიდა და ხოსროვზადშჰას შუბლზედ აკოცა, აგრეთვე ხელმწიფეებმაც და გარდა ამისა ასეთი ხალათები უბოძეს, რომ ფასი არ დაედებოდა. მემდეგ დანარჩენ ფალვნებსაც უბოძეს ხალათები ე. ი. ბეგზადშჰას, გორშარაბშჰას, ბარზიმს და მანუჩარშჰას; ესენიც სახჭაროდ წამოდგნენ, ხელმწიფეს და სააჭაირანს ხელთა აკოცეს და ისევ თავიანთს ალაგს დასხდნენ. იმ დროს შუთურ აიარი ფეხზედ წარმოდგა და მოახსენა: შვიდის იყლიმის ხელმწიფეო, მუხთალ დევის დაჭერაში მეც იქ გახლდით და მეც მიბოძეთ ხალათი,—ესა სთქვა და მაშინვე ოცდაათხაირად სახე ისრედ შეიცვალა რომ, უველანი დიდ განკვირვებას მიეცნენ და მრავალიც იცინეს, შემდეგ გარ-

დანქეშანს დიდი ქება შეასხეს ისრედ გაწვრთნისთვის. ამაზედ როგშანბახტმა ასეთი ხალათი უბოძა რომ, დაუფასებელი იყო.

მაშინ ხელმწიფე არდევანშაჰა და სააჰუირანმა მუხთალ დევი ფარვან დევს მისცეს. ფარვან დევი მაშინვე მიეიდა მუხთალ დევთან და ხელები გაუხსნა, შემდეგ უბრძანა: მუხთალ დევო! გრწამს ცისა და ქვეყნის გამჩენი დმერთი თუ არა!? მუხთალ დევმა მაშინვე მოახსენა: მეთიღისმეთა უმაღლესო და ხელმწიფევე სამთავისისა, მე ჯეშმარიტი დმერთი ისე მწამს როგორც თქვენმა და დაწუეგლილი იყოს დეთისაგან რაჯიბ ეშმაკი. და სამჯერ შეაფურთხა. ფარვან დევმა მაშინ ხელი მოჰკიდა და წაიევანა შვიდის იელიმის ხელმწიფე არდევანშაჰასთან და სააჰუირანთან, მერე ორივეს მუხლთ აკოცნინა და ისევ გამოაბრუნა ეხლა იმ ოთხთა გმირთა ფალეევნებს ჰირზედ აკოცვნინა, შემდეგ მანუჩარშაჰას, ბეგზადშაჰას, გორშარაბშაჰას, და ბარზიმს, შემდეგ ხოსროვზადშაჰას ჰირზედ აკოცა და მოახსენა: შენ ახალო ფალეევნო, ასეთი ფალეევნი შეიქმნები რომ, შენის შიშით ცაში არწიევმა ფრენა ვერ შეიძლოს. — მერე გატრიალდა ფაშკუნჯს და ნარიმან ხელმწიფეს მიესალმა და დედოფლებს მძიმეთ თავი დაუკრა, შემდეგ იმ ხუთთა ხელმწიფეთა ე. ი. ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფის შვილებს მიესალმა. მაშინ ფარვან დევმა უბრძანა: მუხთალ დევო! სჩქარობ წადი და რაც შენს ხელთ ჯადოს დაშქრები გეევანდეს, სულ შეკრიბე და ყველას სააბათ დმერთი აცნობე და ამ ხუთიოდე დღეს აქ ჩემთან გამოცხადდითო, გარდა ამისა, ფარვან დევმა რადაც შეულოცა და ჰირზედ ერთი საშინელი სიდა შემოჰკრა, მერე თითიდან ერთი ბეჭედი წაიყარა და მუხთალ დევს ნეკზედ შეუგო და უბრძანა ჩქარის მოსვლა. მუხთალ დევიც მაშინვე უჩინარად იქმნა.

ფარვან დევმა რაც ტუსაღნი იყვნენ, სულ ყველას დმერთი ცისა და ქვეყნის გამჩენი აწამებინა და მერე ესენიც გაანთავისუფლა. მაშინ ფაშკუნჯმა უბრძანა: ფარვან დევო, მუხთალ დევის ისეთი სიდის შემოკვრა რას ნიშნავდაო და ან თქვენის ბეჭედის მიცემა რა იყოვო, გარდა ამისა რომ გაანთავისუფლე, რომ ადარ მოვიდეს სადმა იბოვნიო? — მე კარგათ ვიცნობ მუხთალ დევს, იგი ძრიელი მეთიღისმე და ბევრის შემძლებელი არისო. მაშინ ფარვან დევმა მოახსენა: ფრინველთა ხელმწიფეო, როდესაც მე იმას შეულოცე და სიდა შემოვკარ, იმას ჩემი, არდევან შაჰას და სააჰუირანის სახელმწიფოებს მოშორება ადარ შეუძლიან და უთუოდ ამ არემარეში უნდა იცხოვროს სიკვდილამდე,—მეორეც ის რომ, ჩემი ბეჭედი იმიტომ გაუკეთე ხელზედ რომ, როდესაც მუხთალ დევი ჯადოს კრეფას დაუწუებს, იქ იმათში ასეთი ჯადონი არიან, რომ ერთის შელოცვით გა-

ახმობენო, მხოლოდ მე ჯი იმათ ეგვლას კვდარი ვგონივარ; სამსი წელიწადია რაც მე იმათ არ უნახივარ და ჩემს დროს ვერც ერთი თავის უფლად ვერ მოისვენებდნენო, გარდა ამისა მუხთალ დევს მოუკლავს არ გაუშვებენო და რაკი ჩემს ბეჭედს ნახვენ მაშინვე დამოხჩილდებიანო. შემდეგ არდევანშაჰმა უბრძანა: თვარვან დევო! მუხთალ დევი იმათ დასაბარებლად რომ გაგზავნე, რათ გინდა რომ ისინი აქ მოვიდნენო? — თვარვან დევმა მოახსენა: ხელმწიფეო, მე იმისთვის მინდა ისინი შემოვიკრიბო, რომ ყოველივე ჯადოთა მთავრებს უბრძანო, რომ თქვენსა მოხჩილებასა ქვეშე იყვნენო და აგრეთვე საჰყირანისაო, გარდა ამისა, ამას იქით თქვენი მტრობა აღარავის შეუძლიანთ და რაკი ეს სიდან დევი თავისის სარდალ-თვალეგნებით დაიმოხჩილეთ, ესლა ერთი ამიან დევიდა გეგვავს დასაჭერი; თუმცა იგი დიდის ძრიელების და ჯარების პატრონი არის, აგრეთვე თითონაც ძრიელი თვალეგანი არისო, მაგრამ ამ ხუთთა ახალთა თვალეგანთაგან უსათუოდ იძლევაო და შემდეგ ოთველი ცათა ქვეშეთის ხელმწიფეთ ჯადთა და ჯინთა, დევთა და თეჩრიათა აღარაფერი შეეძლებათო; — ხელმწიფეო, უნდა იცოდეთ რომ, ბაუბაუ დევის შემდეგ, აღარც ზღვაში და აღარც ხმელეთზედ ამ ამიან დევისთანა და სიდან დევისთანა აღარავინ არისო, რაკი ესენი უველანი თქვენ ხელთ იქნებიან, მაშინ თქვენ შეიქმნებით ცათა ქვეშეთის ხმელეთისა და ზღვის ხელმწიფე და ქუჩუკი მაშინ იქნება აიართა უხუცესი.

მაშინ ხელმწიფე წარმოდგა და მოახსენა: თვარვან დევო! ამიან დევს რომ ეგრე აქებ, რომ იგი ძრიელი არისო, მაშასადამე იმაზედ დიდი გარჯილობა მოგვინდებაო, — ესე სთქვა ხელმწიფემ, ქუჩუკს შეხედა და თან გაეცინა. მაშინ თვარვან დევმა მოახსენა: გარდანქუშანო, ამათზედ ბევრი გარჯა საჭირო აღარ არისო, იმისთვის რომ, ჰირვეულსავე ომშივე მანუჩარშაჰი, ბეგზადშაჰი, გორშარაბშაჰი, ხოსროგზადშაჰი და ბარზიმი იმათ საქმეს გადაუწყვეტენო და თუ არა, ასეთს საქმეს დამართებენო, რომ თვბედისა ვერა გაიგოსრა და მგონი რომ თავიანთ ბინიდან დაძვრასაც ნანობდნენ.

ამათ აქ თავი დავანებოთ და ესლა ამიან დევის ამბავი მოვიხსენიოთ.

მაშინ როდესაც ამიან დევი ომიდან გამობრუნდა და თავის ტახტსა ავიდა, იმ დროს თავისი სარდალ-თვალეგნები შეეიდნენ და გამარჯვება მიუ-

ლოცეს, მერე გადაიარეს და თავიანთს ალაგს დასხდნენ.

მაშინ ამიან დევმა უბრძანა: ფალეევანნო, ხვალ ომის თადარიგი ნახეთო! რადგანაც ეს ომი უკანასკნელი ომი უნდა იყოსო და ეცადეთ რომ ჩვენთვის სამარცხვინოთ არ დაბოლოვდესო, გარდა ამისა, ეხლავე გარდასწყვიტეთ, თუ როგორ უნდა ვიომოთ — რაზმით უნდა შევებათ, თუ ერთლამ ცალკე-ცალკე ჩვენი მემუქარენი გამოვითხოვოთ?

მაშინ ამიან დევის პირველი ვეზირი ფეხზედ წარმოდგა და მოახსენა: ხელმწიფეო, ამოდენა ჯარების დახოცვა ცოდო არისო და უფრო უმჯობესი იქნება ჩვენ გავიდეთ და თუ ვინიცობა ჩვენ ვჯობოთ მათი ფალეევნები ჩვენ დაგვრჩებიან და თუ ისინი გვჯობებენ, ჩვენ იმათ დავრჩებით...

ამათ რა დაიწყეს ესე თათბირი, რომ ხვალ ყველა სარდალნი და ფალეევანნი გამოჭედონ და ყველა თავიანთს მემუქარეს გამოითხოვენო, ამ დროს აიართაგან ერთი აქ ჩუმათ მოსულ იყო და ეს ყველა მათი განზრახვა მოესმინა, შემდეგ ეს აიარი სასჩქაროდ წამოვიდა და შვიდის იულიმის ხელმწიფეს არდევანშაჰას მოახსენა, რომ ხვალ ომი რაზმით ალარ იქნებაო და რაც გაეგონა ყოველივე დაწვრილებით მოახსენა. მაშინ რა ამ ხუთთა ახალთა ფალეევანთა გაიგონეს, მაშინვე ზეზედ წარმოდგნენ ესე იგი მანუჩარშაჰა, ბეგზადშაჰა, ხოსროგზადშაჰა, გორშარაბშაჰა და ბარზიმი მივიდნენ ხელმწიფეს და სასპეირანს, აგრეთვე იმ ოთხთა გმირთა ფალეევანთა ესე იგი თავიანთს მამებს და სთხოვეს: ხელმწიფეო და სასპეირანო, ხვალინდელი ომი ჩვენ დაგვანებეთ, თქვენც ჰაერში ადით და იქიდან ჩვენის ბრძოლის თამაშს უყურეთო. მაშინ ამათ დიდხანს ალარ იფიქრეს და მაშინვე ნება მისცეს, მხოლოდ ამ პირობით რომ, ამ ხუთთა ფალეევანო თან უნდა გაჰყოლოდნენ: შუთურ აიარი, სირფანჯა და ასიში თავიანთის აიარებით, შემდეგ სჭმან ადამზადი თავისის თერთმეტის ამხანაგებით, გარდა ამისა ზორაბ დევი, მათუზ კოკლი დევი, ადიყალის სულთანი სურხაგ დევი, ქაბუნხარა, ამბირ და ზანგ დევნი, ამათ უნდა მიჰყვნენ თურქმანის და ბნელეთის ხელმწიფის შვილები თავიანთის ჯარებით, ესენი მუდამ უნდა მზად იყვნენ რომ ვინიცობა იმათ მოულოდნელი იერიში მოიტანონ, ამათ აქედან მაშინვე ესესხი გასცენ, ამათთან ზორაბ შაჰაც, ზორაბ დევის ლაშქარიც და ერთის სიტყვით სცა კი არდევან შაჰას ლაშქარნი არიან უველანი უნდა წავიდნენო.

რა ყოველივე ესე გამოუცხადეს, შემდეგ ეს ლაშქარნი ზორაბშაჰას გამგეობის ქვეშ ამოყვეს და მზად რაზმ-გაწყობით ერთსა დიდსა მინდორში დაუყენეს. იმ დამეს კარგი მეჯლისი და ლხინი გარდაიხადეს და რა

დიდა გათენდა და ქვეყნის დამშვენებელმა მზემ ქვეყანას სათელი მოჰფინა, მაშინ ხელმწიფენი წარმოდგნენ და ომის თადარიგი იწყეს.

მაშინ მანუჩარშაჰა წარმოდგა და იგი ოთხნი ახალნი ფალავანნიც ესე იგი ხოსროვზადშაჰა, ბეგზადშაჰა, გორშარაბშაჰა და ბარზინი საუცხოოთ მოემზადნენ სომრად, მერე მივიდნენ და შვიდის იელჰიმის ხელმწიფეს და დედოფალს ხელთა აკოცეს და ომის ნება სთხოვეს. იმ დროს ხელმწიფე და დედოფალი გადაეხვივნენ შვიდისა მსგავსათ და ხუთთავეს შუბლზედ აკოცეს და უბრძანეს: წადით სანათ დვთისათვის ჩაგვიბარებიხართ და იგი იყოს თქვენი მფარველი! შემდეგ ამათ დანარჩენ დედოფლებთან მივიდნენ და ხელთა აკოცეს და იგინიც მოეხვივნენ, მერე თავიანთ მამებს ომის ნება სთხოვეს და მუხლთა აკოცეს, აგრეთვე ნარიმან ხელმწიფეს და როდშანბაზს მოეხვივნენ, შემდეგ სანჭაროდ გამოტრიალდნენ და თაშგუნჯთან მოვიდნენ, ამას ფრთას ზემოდან აკოცეს და მოახსენეს: ფრინველთა ხელმწიფეო, თქვენის წმიდის ლოცვაში ნუ დაგვივიწყებთ, მაშინ სიმრუდმა დალოცა და უბრძანა: ცისა და ქვეყნის გამჩენი დმერთი იყოს თქვენი მფარველი და თან თითო ასეთი ბეწვი უბოძა რომ თითოს ქვეყნის შემოსავლათა ღირდა. ამათ ყველანი მადლობა მოახსენეს და წამოვიდნენ ხუთნივე გმირნი ფალავანნი სომარს მოედანზედ, ამათ მოჰყვნენ თავიანთან დანიშნულნი ფალავანნი, შემდეგ შვიდის იელჰიმის ხელმწიფე დედოფლებით ტახტებზედ დასხდნენ და ფერიებს ჰაერში ასვლა უბრძანეს და იქიდამ ომს ყურება დაუწყეს. სიდან დეკიც თავისის ფალავნებით ომის საყურებლად ჰაერში ავიდა და აგრეთვე არდევანშაჰაც აბრძანდა ჰაერში.

ამათ ამ ყურებაში თავი დაყანებოთ და ესლა ამიან დევის ამბავი და დიდი ომები ანუჩარშაჰასთან, ბეგზადშაჰასთან, ხოსროვზადშაჰასთან, გორშარაბშაჰასთან და ბარზიმთან მოვისხენიოთ.

რა ამიან დევი ომიდან შინ დაბრუნდა, მაშინ ჩამ გახსოვთ მკითხველნო, რომ უბრძანა თავის სარდალთა და ფალავანთა რომ ხვალ დიდი ომები უნდა იყოსო და ყველა მეომარმა თავთავისი მეშუქურე გამოითხოვოსო. რა ეს ბრძანება გათავდა, თითონ მოისვენა.

რა დილა გათენდა, მაშინვე თავის ტახტი სომარს მოედანზედ გატანინა და რაც გამოჩენილნი დევთა ფალავანნი და სარდალნი ჰყვანდა, სულ იქ გარს შემოიკრიბა, მერე არდევანშაჰისაგან შეიხედა და ნახა რომ,

ისინიც ჭაერში ასულან და თვლეგნები მოედანზედ გამოსულან, გარდა ამისა ნახა რომ სჭმან ადამზადი სჩქაროდ თავისი ნაჯახი მხარზედ გადიდო, მობრუნდა და თვლეგნებს თავი დაუკრა, შემდეგ გატრიალდა და მოედანზედ დიდის ხმით შესძახა: მე ვარ სჭმან ადამზადი და ვისაც ჩემთან ომი გსურდეთ, მოედანზედ გამოდითო, დანარჩენიც თამაშას უყურეთო. რა ეს ხმა ამიან დეგმა გაიგონა, შეხედა ნახა ასეთი დეგია რომ, სწორეთ მტერთა ზარის დამცემი და ნაჯახიც ასეთი უჭირავს რომ, იალბუზის მთას დასცეს, შუა გასწეგეტს. მაშინ ჰკითხა თვლეგანნო, ეს დეგი ვინ უნდა იყოსო, რომ ესე ამაუად გამოვიდაო? მაშინ ერთი სჭმანის მცოდნე დეგმა მოახსენა: ხელმწიფეო, ეს დეგი სჭმანადამზადია რომელიც დიდი მეომარი დეგი არის და ამას კიდეგ სხვა თერთმეტი ძრიელი მეომარნი ამხანაგნი ჰეავსო, ამან უარუნ ხელმწიფის დროს ბეგრი საქმეები ჩაიდინა, მერე უარუნ ხელმწიფემ წინასწარმეტეველის ლოცვებით დაიჭირა და თორმეტნივე ქვეშგნეთ სპეურობილეში დაატუსაღა და შემდეგ უარამან საპეირანი გამოჩნდა ამ ქუჩუკის პაპა, რომელიც იმისთანა თვლეგანი ძნელად დაიბადება, ეს თვლეგანი ქვეშგნეთ ჩავიდა, თილისმები დაარღვია, შამბასარ დეგი მოკლა და ესენიც ტუსაღობიდან გამოასხა და მასამდე უარამანი ცოცხალი იყო, ამას ემსახურებოდნენ და ეხლა ქუჩუკს და არდეგანშაჭას ემსახურებიან და იცოდეთ რომ ამათგან დიდი სიფრთხილე გვმართებსო.

ამიან დეგმა რა ესე მოისმინა, სჩქაროდ ერთი გამოჩენილი და ძრიელი სამთავა დეგი მოიხმო და უბრძანა: თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ეხლავე გადი და სჭმანს შენი თვლეგნობა აჩვენე და იგი ცოცხალი აქ მომგვარეო. ეს დეგი ბრძანებისამებრ სჩქაროდ გამოვიდა, იგი მეტად საზარელი და საშიშარი იყო და ამიტომაც ამაუად გამოვიდა, მხოლოდ სჭმანს კი ჯერ არ იცნობდა თუ რა თვლეგანი იყო. ეს დეგი როდესაც სჭმანს მიუახლოვდა, ჯერ სალამი მისცა, სჭმანმაც სალამი ჩამოართო. მაშინ იმ დეგმა ჰკითხა: შენ არდეგანშაჭას ჯარში რას გიხმობენო? — სჭმანმა თავისი სახელი მოახსენა. მაშინ იგი დეგმა უთხრა: სჭმან, მოდი დამიჯერე და ჩვენი კერძი შეიქეს—დიდს პატივისცემას მიიღებ და ჩვენის რაჯიბის საუარელი შეიქმნები. რა სჭმანმა რაჯიბის სახელი გაიგონა, მაშინვე იმ დეგს პირზედ შეაუურთხა და უთხრა: „შენი რაჯიბი ამის მეტის ღირსი არ არისო, ისიც შენსავით ბილწი და ცრუ ეშმაკი არისო!“

რა დეგმა სჭმანისაგან ამგვარი სიტუა გაიგონა და მეტადრე პირზედაც რომ შეაფურთხა, დიდათ ეწუინა და გაჯავრებული თავისი დიდი და მძიმე ხახტი სჭმანს შემოსტეორცნა. რა სჭმანმა ის უშველებელი ხახტი თავისზედ შემოსტეორცნილი ნახა, სჩქაროდ თავისი ნაჯახი შემოჰკრა და

აიცდინა. რა დევმა ნახა რომ იმ ნაჯახ თავისი ნასრდილი ლახტით ვერაფერი დააკლო, მერე გურზით მიუხტა და საჭმანს დაკვრას უშირებდა, მაშინ საჭმანმა თავისი ლახტი შეუფარა და იმას ატანინა, მხოლოდ ისე მაგრათ მოხვდა რომ, საჭმანს მხარიც ატკინა. ამაზედ საჭმანმა დიდი ქება დაუწყო. იგი დევმა ნახა რომ ორის ლახტის დაკვრით ვერაფერი აჭონ, მაშინ ავჭანდაზედ ფეხი შედგა და ორის ხელით მძიმეთ გურზი დაჰკრა. მაშინ საჭმანისაგან მთლად ხელი აიდეს, მაგრამ მანამ იგი გურზი საჭმანს მოხვდებოდა, მანამდე საჭმანმა დვთის სახელი ახსენა, ერთი მაღლად შეხტა, მარცხენის ხელით იმ დევს ხელი დაუჭირა და მარჯვენის ხელით ასეთ შუშტი დაჰკრა იმ უშველებელს გულზედ, რომ ეს მთის ტოლა დევი დედამიწაზედ დაეცა, მაშინ სახჭაროდ გაექანა, მოკლის ქამანდით მკლავები შეუკრა, წინ გამოიგდო და ხელმწიფეებს მოჰგვარა, ამასთან გამარჯვება მიულოცა და თითონ ისევ მოედანზედ გამოტრიალდა. ამ დროს ზევიდან ტაშის კვრა გაისმინეს და დიდი ქება შეასხეს. რაღა გავაგრძელოთ, საჭმანმა სადამოშდე ასოცი ამისთანა დევნი დაიჭირა და ხელმწიფეებს მოჰგვარა. ამაზედ ამიან დევმა ძალიან იწუინა და საჭმან დიდი ქება დაუწყო მაშინ ბინდმაც მოატანა და გასაყარს ნადარას შებერეს და ყოველნი ფალავანნი და სარდალნი თავიანთ ბინაზედ მივიდნენ. იმ ღამეს რაგშანბახტმა საჭმანს დიდი სახჭარი უბრძა, ქუჩუკმაც ხიროზედ აკოცა და მოსვენებას მიეცნენ.

იქით მხრიდან ამიან დევი შეწუხებული გაბრუნდა და თავიანთ დევებს უბრძანა: ხვალ მეც მოედანზედ გავალ და ვნახოთ რაჯიბი როგორ ხელს მოგვიმართავსო. იმ დროს იქ ერთი დევი იყო, რომელმაც მოახსენა: დევთა ხელმწიფეო, რაჯიბის სიტყვის ამოღლსა უარესიც დაემართებაო—ამოდენა ჰატიოსანი სარდალ-ფალავანნი და ჯარები იმისის რჩევით სულ დაიდუპნენო—წეუღიმც ირის იმის მიმდობი და ის უგვლის ემჯობინება რომ ჩქარა შერიგება მოახდინოთ და არც თქვენი თავები დაიდუპოთო და არც ამოდენა ჯარებიო და თუ ჩემს რჩევას არ გაიგონებთ მაშინ როგორც იგი ფალავნები, თქვენც ისე ხელებ შეკრულს წაგიყვანენ.

რა ამიან დევმა ესეთი სიტყვა იგი დევისაგან გაიგონა, დიდათ გაჯავრდა და იმ დევის დაჭერა უბრძანა. მაშინვე დაიჭირეს და სასიკვდილოთ წაუყვანიან, შემდეგ ცოტას ხანს დათიქრდა და სთქვა: „ამ დევმა სწორეთ მირჩია და სიკვდილს რას ვერჩით—რაც უნდა მძლავრი ვიყო, მე ამათში რას გავწყობი?"—მაშინ იგი დევი ისევ მოაყვანინა და მკლავები გაუხსნა მერე უბრძანა: დევო! ის წელანდელი შენი რჩევა ეხლაც მითხარიო, თითონ კი უბრძანა თავის სარდალ-ფალავნებთ და ყველანი გვერდით მოახსნა ყურის დასაგდებათ. მაშინ იმ დევმა უშიშრათ ფეხზედ წარმოდგა და მოახსენა:

ხელმწიფეო, შე იმას მოგახსენებთ რომ რაჯიბ ეშმაკის რჩევით მრავალი დევთა სარდალ-თავლეგანნი დაგეხოცა და ახა ერთი რაშიმე გამარჯვება მოგვიხდა?—ეშმაკს კაცი როგორ მიენდობის; ჯერ მისი სტრუე იქიდან ჰხსნას რომ, იმისთანა ძრიელს ხელმწიფეს და თავლეგანს სიდან დევს, ოცის წლის ახალმა თავლეგანმა მანუჩარშაჰამ დაამარცხა, რომელსაც ჯერ კიდევ პირში დედის რძე არ გაშრობია, მუხთალ დევი იყო და ხოსროგზადშაჰამ შეიპყრა—ეს ორხივე შეპყრობილნი დევნი ასეთი სარდლები არიან რომ, მთას წიხლით დააქცევენ, მეტადრე მუხთალ დევი, რომლისთანა ჯადოც ქვეყანაზე არ მოიპოვება; ერთს სასთში მთელს ქვეყანას მოივლის და იმანაც კი თავისი ხელოვნება სულ ვერათვერში გამოიყენა, მეორეც ის რომ, თვარვან დევი ჩვენ უველას კვდარი გვეგონა, მაგრამ ისიც აქ არდევანშაჰას ახლავსო, რომლის ჯადოებს ვერავინ გაუმაგრდებაო; ამ თვარვან დევს მუხთალ დევი რომ უნახავს, მაშინვე თავისთან მივუყვანინებია და რაღაც შეუღოცავს, მერე ერთი სიდა შემოუკრავს და რაღაც ბეჭედი მიუცია, რომლის ძალითაც რაც სმელეთზე და ზღვაში ჯადონი არიან, სულ უნდა იქ წასხხას. ერთის სიტყით თქვენც გარგათ მოგეხსენებათ, რომ იგი რაც არის, თუ მოინდომა, ამ ჩვენს ჯარებს სულ ქვად აქცევს—ეხლა ჩემი რჩევა ის გახლავთ, რომ თქვენ დიდი ხელმწიფე ბრძანდებით და სიდან დევივით რომ შეპყრობილი წაგიყვანონ, არაფერი პატივი გექნებათ და ადარც სახელი, და თუ ნებით შეურიგდები, მაშინ ისევ პატიოსანი ხელმწიფე იქნები, რადგანაც არდევანშაჰა დიდი მოწყალე ხელმწიფე არის და აგრეთვე ქუჩუკიც—მე თქვენი პური მიჭამია და ამას ერთგულობით გირჩევთ, თორემ ნება თქვენი ადსრულდეს, მხოლოდ ჩემის სიმტკუნის გულისთვის ჯერ ნუ მომკლავთ და თუ თქვენ დაამარცხოთ, მაშინ ლუკმა-ლუკმათ ამკუწეთ, მხოლოდ მე კი ვიცი, რომ თუ იმ ხუთთა თავლეგანთაგან ერთ-ერთმა შეგვხდათ, როგორც მიმინომ მწერი მოიტაცოს, ისე მოგიტაცებენ; აგერ თეთრმა დევმა რა ჰქმნა: ათიათასის დევთა ჯარებით და სარდალ-თავლეგანებით შეურიგდა და მაგ ჩვენს რაჯიბს ასეთი დიდი დასცა, რომ მაშინვე ცჩინარი იქმნა, ვისაც კი ეგ წეული შეუჩნდება, იმისს ოჯახს დაუქცევენლს არ გაუშვებსო, ახა ხელმწიფეო, სამი ათასი წლისა ბრძანდებით და ხმელეთი თავლით არ გენახათ, აგრეთვე არც სიდან დევს, არც თქვენ ჯარს, მანამ ეს წეული რაჯაბ ეშმაკი გამოგიჩნდებოდათ, რომელი დევთა ხელმწიფენი გჯობდნენ, ან თქვენ ტოლა სახელმწიფო ვის ჰქონია?—მე ჩემი რჩევა ესე მოგახსენებია და ეხლა კიდევ გთხოვთ რომ არ მომკლათ მანამდე თქვენი საქმე მორჩებოდეს და თუ ვინიცობა თქვენ გაიმარჯვოთ, მაშინ ჯეშმარიტ სიკვდილს ნუ მადირსებთ და როგორც გენებოთ ისე მომკალითო.

რა ამ დევმა ესე რჩევა მოახსენა, მაშინ ამიან დევს დიდათ წყენაში დაუჯდა და სთქვა: „ეხლა მე რიგიანი ადარც ფალავანი მყავს და ადარც სარდალი, რადგანაც ზოგნი შეიჭერეს და ზოგნიც დახოცესო, და როგორც ვხედავ, ჭეშმარიტი დმერთიც იმათ ჰყოლიათ და მართალი რჯულიც იმათ უჭირამთო და დმერთიც იმათ სწყალობსო.—სანი წელიწადია რაც რომ ამ საშინელს ბრძოლაში ვარ იმ წყეულ რაჯიბის რჩევით და ერთხელ ერთი გამარჯვება არსად მომიხდა, გარდა ამისა ნუშარ დევი ერთმა უმარწვილმა ფალავანმა მოგვიკლა, რომელიც უოველის შემძლებელი იყო, ზღვათა და ხმელეთთა ხელმწიფეთაც იხსენიებოდა, ეხლა ამაზედ მეტი დარწმუნება რომელიდა იქნება? მაშასადამე ეს უველა ჩვენი რაჯიბ ეშმაკის ბრალია, რომელიც ჩვენ იმათზედ ათი და ოცი მომეტებული ჯარის და ჯადოს მფლობელი ვიუავით, მაგრამ მაინც უოველთვის დამარცხებულხი და უკუ ქცეულხი ვრჩებოდით, გარდა ამისა სულა ნუშარ დევისთანა მძლავრი და გამოჩენილი დევთა სარდალი ქვეყანაზედ ამოაგდეს და მე იმისი მნახველი რატომ არ მჯერა და აქამდე გონს არ მოვალ? მაშასადამე დროა ხვალვე შერიგებისა“.

მაშინ იმ სარდლებში სამოცი ძრიელხი დევთა ფალავნები იუვნენ, (ეს დევნი თითქმის სიდას და ამიან დევზედაც ძრიელხი იუვნენ). რა იმათ ამ გვარიგე სიტუვები გაიგონეს, დიდათ გასწყრნენ და იმის მრჩეველის დევის სიკვდილი მოინდომეს. მაშინ იგი დევმა კიდევ მოახსენა: ფალავანნო, მე სიკვდილით ნუ მაშინებთო და ნურც თქვენის ძალით ხელმწიფეს ატუებთ, გარდა ამისა, ეშმაკის სიტუვით ნურც თქვენს თავს წაახდენთ, და თუ ჩემს სიტუას არ დაიჯერებთ, იგი ხუთნი ფალავანნი მოედანზედ სამრად მზად დგანან და ბაბა მაშ მიბრძანდითო და იმათგანი ერთი მაინც დაიჭირეთ და ანუ დაამარცხეთ, მაშინ რაც გინდოდესთ ის მიუავით.

მაშინ ამათ ეს დევი კი არ მოკლეს, მხოლოდ ხელ-ფეხი შეუგრეს და ერთს დევს ჩააბარეს, თან დაავალეს: ეს დევი ესრედ შეკრული ჭაერში აიუვანეთო! და ჩვენ იმ ადამიანთა ფალავნებზედ მივალეთო, გარდა ამისა რამდენნიც ჩვენა ვართ, იმდენ ფალავანსაც იმათთაგან გამოვითხოვთ და როცა ჩვენ იგინი დავამარცხოთ, ეგ დევი მაშინვე ჭაერიდამ ძირს დადაშვებულად გადმოაგდეთო და თუ ვინიცობა იმათ გაიმარჯონ, მაშინ რადგორც ხელმწიფეს ენებოს, ისრე გაანთავისუფლოს, ისიც და თავისი თავიც.

ამათ რა ესე დავალებას მორჩნენ მაშინვე სახალხოდ მოემზადნენ. ამ დროს შუთურ აიარი, სირფანჯა და ასიმი იქ ფარულად იუვნენ და ამ ლაშქარს ყურს უგდებდნენ. როდესაც იმათ ლაშქარი გაათავეს, მაშინ აიარემა სთქვეს: „რა ჭკვიანი დევი იყო და ჭკვიანურათაც ურჩიავო, მაგრამ ამ უბედურებმა ხვალ მანუჩარშაჰისაგან და აგრეთვე იმ ოთხთა ახალგაზრდა ფალავ-

ვანთაგან დაიხოცებიანო“. — ესე სთქვეს, სახჭაროდ გამობრუნდნენ და ხელმწიფეს და სასჳირანს თაჳვანი სცეს, შემდეგ სიცილით რაც რომ ენახათ და გაუგონათ, ყოველივე უამბეს...

როდესაც ხელმწიფეთა და ფალავანთა ესე ამბავი გაიგონეს, უცქერას დიდათ მოეწონათ და სთქვეს: „ეს საწუალი რა კარგი ჭკვიანი დევი ყო-

მანუჩარშაჰა.

ფილაო, რომ რიგიანათ ურჩევიაო“. მაშინ ფარვანი დევმა მოახსენათ: ახალნი ფალავანნი, კმა თქვენ იცით როგორც გაირჯებით და იმ კარგის ჩუქურის მოხუცს დევს სიკვდილიდან გამოისხნით. —ამაზედ მრავალი იცინეს და შემდეგ მოსვენებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა ეს ხუთი ახალგაზრდა თვალუწვდენელი სიმშრალე გადაჭრეს და თან ასეთი დუმები გაიოხრეს, რომ უველანი ერთი მეორეზედ უკეთესნი იუვნენ.

მეორის მხრიდანაც იგი დაკვეხებულნი დუმნი საჩქაროდ გამოჩიდნენ და დიდროვანის ფახტებით სიმშრს ალაგს მოვიდნენ, იგი დუმი კი რომელმაც შერიგება ურჩია, ხელ-ფეხ შეკრული ჭაერში აიუვანეს. მაშინ სიმშრს ნადარას შებერეს და იგი ორმოცნი დუმნიც წარმოდგნენ წინ, მაშინ ამ ხუთთა გმირთა გულებმა ადრე მოუთმინათ და საშინლად მადლის ხმით ღვთის სახელი ახსენეს და შეუტიეს, ბრძოლაში ამათ თითო დუმს ხელი სტაცეს, შეიბერეს და მეორეებს რომ შემოსტეორცნეს, იმ დუმების სრიალით სხვანიც მრავალი დახოცეს, დანარჩენნიც თუ ვინმე დარჩნენ იმ ორმოცთაგანნი, ისინიც სჯმანმა თავისის ამხანაგებით ისრედ ამოსწუვიტა რომ, მოამბეც აღარავინ შერჩათ. მაშინ იგი სწუალმა შეკრულმა დუმმა მადლიდან ჩამოსძახათ: ღვთის მლოცავნო, შეგრჩეთ მკლავნიო! ამაზედ ბეგრმა გაიცინეს და მაშინვე სჯმანს უბრძანეს: მიდი და მეომარი გამოითხოვე! მაშინვე სჯმანმა წინ წარდგა და მადლის ხმით შესძახა: დუმთა თვალუწვდენო! რას დგეხართ, მოედანი გაცივდა, თუ სიმშრათ გამოხვალთ, გამოდით, თუ არა და სიბაოთ ღმერთი იწამეთ, შვიდის იულიმის ხელმწიფეს და სიჯარანს თავი დაუკარით და დამორჩილდით.

მაშინ ამიან დუმს არაფერი დარჩენოდა გარდა შერიგებისა და მაშინვე კიდეც უბრძანა შერიგების ნადარის შებერვა. რა ამ ნადარის ხმა გაიგონეს, ორნივ მხრის ფაშქარნი უკან გაბრუნდნენ.

იმ დღეს კი არაფერი და მეორეს დღეს ამიან დუმმა ოცი დუმი ელჩათ გაგზავნა (ამათში იგი შერიგების მრჩეველი დუმიც იუო), ამათ მოვიდნენ არდუმანშჯას სასახლესთან; აქ კარის კაცთ ჰკითხეს: თქვენ ვინა ხართო? მაშინ ამათთაგანი ერთი დუმი წინ წარდგა და მოახსენა: აიარნო! ჩვენ ამიან დუმის გამოგზავნილნი ელჩნი ვართო და ხელმწიფესთან მოსახსენებელი საქმე გვაქვსო—ეს ამბავი აიართა უხუცეს გარდანქეშის ცნობას, რომელმაც ორმოცი აიარი იმათ მოაგება და თითონ ხელმწიფესთან შევიდა და უოველივე ამბავი მოახსენა. ხელმწიფემ მაშინვე მათი შემოვანა უბრძანათ და თვალუწვდენი გარიგებით დასხდნენ. როდესაც იგი ელჩნი შემოვიდნენ და ხელმწიფეებს შეხედეს, მაშინვე სთქვეს: „თუ ხელმწიფენი იუვნენ ქვეყანაზედ, სწორეთ თქვენისთანაო“, შემდეგ რა ქუხუმს და თვალუწვდენოსაც შეხედეს, შიშით წნორის ფურცელსავით თრთოლა შეჰქონეს და სთქვეს: „მადლობ შენ ღმერთო, რომ ამათ ხელში არ ჩავცვივდით, თორემ სულ ფეხ ქვეშ გაგვამტვერებდნენ“, იმ დროს ხელმწიფემ დაჯდომა უბრძანა.

მაშინ ბმათაგან ერთი დევი წარმოდგა, ჯერ ხელმწიფე და საჭეირანი დალოცა მერე ამიან დევის წიგნი ამოიღო და არდევანშაჰას მიართო. რა არდევანშაჰამ წერილი წაიკითხა და უოველიე მისი ოხოვნა და აზრი შეიტყო, შემდეგ საჭმარას გადასცა. რა ამანაც წაიკითხა, მაშინვე უბრძანა: დევნო, თქვენს ხელმწიფეს ჩვენს მაგიერათ მოკითხვა მოახსენეთ! და რადგანაც მშვიდობიანობა განუზრახავს და იმ ბილწის რაჯიბისგან ხელი აუღია, რა თქმა უნდა ეხლა ჩვენგნით დიდს პატივს მიიღებს და დიდის სახელგანთქმულს შვილის იულიმის ხელმწიფე არდევანშაჰას საუვარელი და მეგობარი იქნება, მეტადრე მაშინ, როდესაც სიბოთ ღმერთს წმიდის გულით ირწმუნებსო. მერე უგელას თითო ხალათები უბოძა და გაისტუმრა, თან უბრძანათ: ხვალ აქ მოგელით თქვენის სარდალ-ფალევნებითო. მაშინ ის დევი გაბრუნდა და მივიდა იმ ხუთთა ახალთა ფალევნებთან და მოახსენათ: უცხო ფალევანნო და კეთილის ხისა ნაყოფნო, თქვენი გვარნი და ჩამომავალნი ერთი ათასათ იქცესო, ისემც თქვენ ღმერთმა გიშველოსთ როგორც შე თქვენის ფალევნობით სიკვდილს მოვრჩი და ეხლა წმიდა რჯული და კეთილი ხელმწიფე ვიცანითო. მაშინ არდევანშაჰა და დედოფალმა ამდენი საჩუქარი მისცეს იმ დევს, რომ წაღება არ შეეძლო. (ეს დევი მკითხველნო, ის დევია რომელმაც ამიან დევს არდევანშაჰას და ქუჩუკის დამორჩილება და სიბოთ ღმთის მორჩილება ურჩია), შემდეგ ეს დევნი ჭველას თავი დაუკრეს და წავიდნენ თავიანთს ხელმწიფესთან.

ამათ როდესაც ამიან დევთან მოვიდნენ, თავი დაუკრეს და უოველივე რაც კი დაებარებინათ დაწვრილებით მოახსენეს. ამიან დევმა მაშინვე სამხიარულო ნაღარა აკვრევინა, დიდი მეჯლისი გამართა და ჭველა თავისი სარდალ-ფალევნები მოიწვია და უცხოთ შეექცნენ. როდესაც ლხინს მორჩნენ, შემდეგ ამიან დევმა ბრძანება გასცა: ჭველა სარდალი თავისს ჯარებს წინ უნდა გამოუძღენონ და რიგ-რიგათ წამოვიდნენო. რა ამ დარიგებას მორჩა, შემდეგ მოსვენებას მიეცნენ.

რა დღე გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავისი სხივები ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ესენიც აიშალნენ და წასასვლელათ მოემზადნენ. მაშინ უოველმა სარდალმა თავისი ჯარები გააწყო და რაზმებათ დააყენეს. იმ დროს ამიან დევი გამობრძანდა და ჭველას თავთავისი თანამდებობა ჩააბარა, აგრეთვე სამას უცხოთ დართულს უფლებს თითო ლამბაქი ოქროსი ხელთ დაჭერინა სულ იაგუნდით, ლალით და ალმასით სავსე, შემდეგ ხუთასი ნაზარი და ხუთასი ვეზირი სულ მშვენივრათ დართულნი წინ წამოეყენა და თითონ ამიან დევი თავის ათხოთავეს თავზედ გვირგვინები დაიდგა და ისე დიდის ამბით წამოვიდა.

რა არდევანშაჰს სასახლეს მოუახლოვდნენ, მაშინ სააშუირანმა ამბიერ დევი, ზანგ დევი, ზორაბ დევი, ადიუალის სულთანი ანუაბუზ დევი, საჭმან თავისის თერთმეტის ამხანაგებით, აიართა უხუცესი გარდანქუშანი თავისის ამხანაგებით, სიდან დევი—ბაუბაუ დევის შვილი, შავის და ხაზარან დევის შვილები, ესენი სულ წინ მიაგება და თითოს ხელმწიფე არდევანშაჰა, ქუჩუკ უარამანი, ხოსროვშირი, უოველიბანი, უაორანი, ბარამჯიბილი, ამათთან მანუჩარშაჰა, ბეგზადშაჰა, გორშარაბშაჰა, ხოსროვზადშაჰა და ბარახიმი, შემდეგ ფარვან დევი, ნარიმანი, როვშანბახტი, ფაშკუნჯი და დედოფლები გარიგებით დადგნენ.

რა ესენი მოსაგებებლად წამოვიდნენ, რა თქმა უნდა დიდი ამბავი ექნებოდათ. როდესაც დახლოვდნენ ერთმანერთი მაშინ ამიან დევმა მოწიწებით თავი დაუკრა არდევანშაჰას და დედოფალს, შემდეგ საუოველთაოთ ფალევნებს. მაშინ არდევანშაჰამ და ფალევნებმა ამიან დევს მისცეს სასიამოვნო ბატივი და კარგათაც მიიღეს, გარდა ამისა ამიან დევი დიდათ მოეწონათ, რადგანაც ისეთი საფალევნო აგებულების დევი სულ არც კი ენახათ და რაკი ამიან დევმაც ნახა რომ ისე ტკბილათ და სიუვარულით მიიღეს ძალიან ხარობდა, შემდეგ რა გადახედა და ნახა რომ მრავალნი სარდალნი და ფალევანნი იდგნენ, მაშინ იგრძნო რომ „ამოდენა ხელმწიფენნი და ფალევანნი ჩემს ბატივის საცემლად წამოსულანო?“, მაშინ სთქვა „მე რომ მცოდნოდა რომ, ამ ადამიანთა დიდებულთაგან ასეთს ბატივს მიცემდი, ჯობ ადრევე დავმორჩილდებოდი და იმ ჩვენს მურაღს და ცრუ რაჯაბის მახეს გადაურჩებოდი, რომელმაც დიდათ გვაზარალა, თავისი ცრუ მანქანებით, ან მაშინ რატომ გონს არ მოვედი, როდესაც ამისთანა ქმარწვიელმა ფალევანმა მანუჩარშაჰამ ქვეყანაზედ ზღვასა და ხმელეთზედ განთქმული ნუშარ დევი მოგვიკლა? მაგრამ რაჯაბ ეშმაკმა იმის სიკვდილი სულ სხვანაირათ მოგვითხრო და ჩვენც დავიჯერეთ“...

მაშინ ამიან დევი იმათ მიუახლოვდა და დაუძახათ: მშვიდობა ოქვენი ნახვა შვიდის იულიმის ხელმწიფის სარდალ-ფალევანნო — მერე დადგა და ისევ ყურება დაუწყო და რა კარგათ გასინჯა, დიდათ მოეწონა, მერე ამათში ერთი მოშტროს ტანის ფალევანი დაინახა უცხოს ტანისამოსით მოროული და ასეთი ცქვიტი რამ სჩანდა, რომ მოენდომებინა ციდან ვარსკვლავებს ჩამოიღებდა, მაშინ ჰკითხა: ეს ვინ არისო? მაშინ სამხანი წინ წარუდგა და მოახსენა, დევთა ხელმწიფეო, ეგ გახლავს შვიდის იულიმის ხელმწიფის აიართა უხუცესი გარდანქუშანი—მაშინ ამიან დევი გაბრუნდა და თავისს მოლარეთა ხუცესს უბრძანა, ოთხი სალაროს გასაღები მოატანინა და სამხანს უბოძა, თან მოახსენა: ეს ოთხი სალაროს გასაღები ვინც დღეს

შე მომეკებენით, თქვენთვის მომირთმევია. მაშინ სჯულმა ხელზედ აკოცა და დიდი მადლობა მოახსენა, მერე სიდან დევი მივიდა და ერთმანერთს მოეხვივნენ და ერთმანერთის ცქერით ხარობდნენ, გარდა ამისა ეს ფალავნები დიდათ მოსწორდა და სიდას დევს უთხრა, ამისთანა ფალავნები რომ გეოდით, თქვენ ვიდა დაგიდგებით? მაშინ სიდან დევმა მოახსენა, ხელმწიფევ, ეგენი რა თქმა უნდა კარგნი ფალავანნი არიან, მაგრამ როდესაც მიბრძანდებით შუა ჯარამდინ და იქაურ ფალავნებს ნახავთ, იმათზე უფრო გაჭკვირდებით, რადგანაც იმათთანა ფალავნები ადამს აქეთ არავინ დაბადებულა.

რა ამ ლაპარაკში იყვნენ, კიდეც მიუახლოვდნენ სასახლეს, სადაც ქუჩაც ნარიმანი და აგრეთვე თურქმანის და ბნელეთის ხელმწიფენი წამოვიდნენ და წინ მოეგებნენ. მაშინ სიდან დევმა ყოველივეს კარეშოება და ვინაობა უამბო, მაშინ ერთმანერთს მოეხვივნენ და წინ გაუძღვნენ, მერე ხელმწიფესთან შევიდნენ, ხელმწიფეც წინ კარებთან მოეგება და ხელი დაუჭირა, მერე თან შეიყვანა, თავის გვერდით ერთი ოთლადის ტახტი დაადგმევინა და ზედ დასო, შემდეგ ხელმწიფემ უბრძანა: დევთა ხელმწიფევ, მშვიდობა შენი მობრძანება—ამიან დევმაც მადლობა მოახსენა, მერე თავშეკუნკულ, როგორც ნებისტმა, ზორაბშაჰა, ნარიმანმა და სხვათა ფალავნებმა საერთოთ მოიკითხეს, აგრეთვე იგი ხუთი ფალავანნი და დედოფლები მოვიდნენ და მდაბლად თავები დაუკრეს, ამასთან ტკბილათ მოიკითხეს. მაშინ ამიან დევმა ანიშნა და ყულები შემოვიდნენ, ამათ მაშინვე ხელმწიფეს და დედოფლებს, აგრეთვე ფალავნებს თავებზედ მრავალი თვალ-მარგალიტი გარდაუყარეს, რაზედაც ხელმწიფემ დიდათ მადლობა უბრძანა, შემდეგ გადავიდნენ და ფველანი თავთავიანთს ადგილს დასხდნენ და უცხო მეჯლისი გამართეს.

რა ამიან დევმა იგი ფალავანნი ნახა, ესე იგი ყოველიბანი, ხორციშირი, ვათრანი და ბრამჯიბიდი და იმათთან იგი ხუთი ყრმა ფალავანნი დიდათ გაუკვირდა და სთქვა: „მადლობ შენ ღმერთო რომ ამათს ხელში არ ჩამაგდეო“, შემდეგ ქალებს დაუწყო ყურება და კიდევ სთქვა: „ამათ მთელი ქვეყნის დევნი, ჯადონი და ფერიანი რომ მოუხდნენ, მარტო ამ ქალთა ომს ვერ გაუძლებენო?“, მერე ქუჩუკს დიდი ხანი ყურება დაუწყო და სთქვა: „დილოტოს ის ძუძუ რომელმაც გშვა და ძუძუ გაწოვაო“, მერე სიდან დევს ჰკითხა: ყოველის ფალავნების ამბავი და იმანაც დაწვრილებით უამბო, ე. ი. უველას ვინაობა, მაშინ ამიან დევმა სთქვა: „ხელმწიფობაც ამათ შენისთ და ფალავნებიც ამათ ჰყოლიათ“.

ამ ფიქრში რომ იყო, მაშინ არდევანშაჰამ უბრძანა: ამიან დევო და დევთა ხელმწიფეო! ეს ამოდენა უცხო ფალავნები და სარდლები ხომ

გვანდა და იმდენიც ჯარები, მიკვირს და გამკვირვებია, რომ უომრად დამმორჩილდით, მეტადრე, მე რომ შენი ძალა და ძრიელება მესმოდა? — მაგრამ მგონი რომ ჩვენს ღმერთს შენი წახდენა და წაწუმენდა არა ზღებია რომ იგი დეკი რომელიც შენ მრჩეველთა წარმოგიდგინა და ჩაგონა სახათო დგომის სიქვარულიც და ჩვენი დამორჩილებაც, იმ ეშმაკის და წეულის სიტყვით რა გაგრიგეთ, რაც არ წაიხდინეთ, ეი მაგალითო ჰეზარიექიასტმა, ხარბაქ დევმა და ბაუბაუ დევმა წაიდეს, იმისაც შენ შეიშტეიდი, ეშმაკი თუ კარგი იყოს, ღმერთსაც ეყვარება. მაშინ ამიან დევმა მოახსენა: ხელმწიფეო შეიდის იულიმისა, მართალს მიბრძანებთ, მაგრამ იმ წეულმა ჩემი გული ისრედ მიიზიდა, რომ რასაც მეუბნებოდა ყველა მართალი მეგონა; ოთხთავე ცათა ქვეყნის ხელმწიფობა მიქადა და სწორედ მოგახსენოთ, ძრიელ შემაცდინა და ამ უკანასკნელს ომს რომ ვაბარებდი, ღმერთმა თქვენმა ეს დევი მომიელინა და ისე მელაპარაკა რომ, ვითომც განზრახვით ჩემთან სალაპარაკოთ წარმოედგინათ, პირველთა ძრიელ მეწუხა და მისი სიკვდილიც უბრძანე, მერე როდესაც იგი სასიკვდილოთ გავისტუმრე, შემდეგ რალაც მძიმე და ღრმა ფიქრებში შეველ რომ იგი დევი ძრიელ სწორედ მელაპარაკა და სასიკვდილოთ რათ გავისტუმრე მეთქი? მაშინვე მოკუდანინე ახლოდ გვერდზედ მოქისტი და უბრძანე: აბა წელან რომ მელაპარაკებოდი, ეხლაც მითხარი მქონე — იმანაც შემიფიცა და რაკორც ზევით მოგახსენეთ, ყოველივე მიამბო, აგრეთვე თქვენი და თქვენის მამაპაპათ ძრიელება და რაც რომ ჯარები გეყვსო, ასი და ორასი იმდენი რომ სხვაც მოუმატო, მაინც იმათზედ ჭეშმარიტი ღმერთი არ გაგამარჯვებინებს შენის ეშმაკის რჩევითაო, რასაკვირველია ესენი სულ ჭკუაში დამიჯდა, მაგრამ იგი ორმოციოდ დეკნი თავს გამოიდეს და ესე მითხრეს: „ჩვენ შეგვიძლიან ჟველანი შეგიპერთოთო“ და ეს სწეული დევი ათს დევთა ჩაბარეს რომ ჰყარიდან ძირს უნდა ჩამოეგდოთ და მოეკლათ, მაშინ ამან უთხრა, „დევნო, რაც რომ დევთა ჯარები ხართ, მარტო იმ ხუთთა ახალთა თვლეგანთა ვერ გაუძლებთო“, მართლაც ისე მოუვიდათ, და თქვენც ხელმწიფეო, თქვენის თვალით ხომ ნახეთ, რაც მოუვიდათ? რა ოქმა უნდა მე ეხლა მმართებს რომ ამ დევს მაგიერი გარდაუხადო, რომ მე არც ღმერთთან და არც თქვენთან შემარცხვინოო (მერე ხელი მიიშვირა) და ამათთანა უძლეველთა თვლეგანთ ხელთ არ ჩამიგდო — ეხლა გთხოვთ თქვენს ბედნიერს ხელმწიფობას, რომ ჩემი დანაშაული მაპატიოთ და მეც მიმსახუროთ ერთგულათ, რაგორაც სხვანი გემსახურებიან.

მაშინ არდეგანშაჰმ უბრძანა: ამიან დევო და დევთა ხელმწიფეო! შენ და შენი სიდან დევი ძრიგენი ჩემი ძმები და მეგობრები იქმნებით, რად-

ვახაც ჯეშმარიტი დმერთი იწამეთ, კარდა ამისა, თქვენი ქვეყნები ისეც თქვენთვის მაბოძებია და ამისიქით თქვენი დაშქარაულევნები სულ თავიანთ ქვეყნებში გაისტუმრეთ, კარდა ამისა შენც და სიდან დევიც მოემზადენით და როდესაც მე და ხანეირანი უშანგბათისკენ წავალთ, მაშინ თქვენც თქვენის ქვეყანაში წაბრძანდით.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, იმ დროს ათთარ ჯადო შემოვიდა და მოახსენა, სამთავისის ხელმწიფეო ოვრევან დევო, აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან იმდენი ჯადოთ დაშქარი მოდის რომ, ჰაერი სულ დაუბნელებიათ, წინაც ერთი საშინელი დევი მოუძღვისთ და დასტა დასტათ მოდიანო.—ამათ დიდს ფიქრს მიეცნენ და მერე სთქვეს: „უთუოთ მუხთალ დევი იქნებაო?“ და უბრძანეს: ათთარ დევო! სჩქაროთ შეგვიტყე ვინ ვრიანო.

მზვიმდის ათთარ ჯადო გავიდოდა, მანამ მუხთალ დევი სასახლის კარებიან ჩამოხტა და აქედანაც სააბეირანი და ფალევანნი გავიდნენ და იმ ჯარებს ეურება დაუწყეს, ნახეს რომ მართლაც იმოდენა ჯადოს დაშქარი იყო რომ, დედამიწაზედ არ ეტეოდნენ. რა მუხთალ დევმა სააბეირანი დაინახა, მაშინვე გაუქანა და მუხლთა ჰკოცა, ამასთან რა ოვრევან დევი მომაჯადი ნახა, გაუქანა და პირდამხობით ფეხზედ ჰკოცა, ამაზედ შვიდის იულიმის ხელმწიფე და დედოფლებიც მობრძანდნენ და ერთობით ფალევნებიც. მაშინ ოვრევან დევმა უბრძანა: მუხთალ დევო, როგორ მოიარე და ანუ წინააღმდეგი ხომ არავინ გაგიხდათ? მაშინ მოახსენა: დევთა და ჯადოთა ხელმწიფეო, რაკი თქვენს სიტყვაზედ გული დაჯერეს და თქვენი ბეჭედიც ნახეს, მაშინვე ოთხას ჯერ ასი ათასი ჯადონი და ჯადოთა სარდლები დიდის ძალის საჩუქრით შვიდის იულიმის ხელმწიფის სანახავათ წამოვიდნენო. მერე კიდევ ოვრევან დევმა უბრძანა, მუხთალ დევო, წადი და ჯარები ერთს კარგს ადგილს დააბინავეო და სარდლები კი აქ ხელმწიფის და სააბეირანის სანახავათ მოვიდნენო. მაშინვე რაც უბრძანა ისრედ აღასრულა, მაშინ გამობრძანდა ხელმწიფე არდევანშაჰი უცხოს და დიდს მოედანზედ დიდროვანი ტახტები დააგებინა და ზედ თითონ დაბრძანდა და გვერდით ფაშკუნჯი მოისვა და ნარიმან, როგშანბახტი და იგი ოთხნი ფალევანნი უოველიბან, ხასროვშირ, ყათრან და ბარამჯიბილი, შემდეგ მანუჩარშაჰი, ხასროვზადშაჰი, ბეგზადშაჰი, გორშარაბშაჰი და ბარზიმი და წინ ერთი დიდი ტახტი კიდევ დაადგმევინა და მაზედ სააბეირანი-ქუჩუკი დაბრძანდა და მის გვერდით ოვრევან დევი, ზორაბშაჰი, ზორაბ დევი, ქუჩუკის კოჭკი დევი, ამათ დევი, სიდან დევი და რაც დევთა სარდლები ჰყვანდა სულ გვერდით მოისხა, მარცხნივ შვიდის იულიმის დედოფალი შაჰნაზდუხტ

სარგიხურამანი, უსხიარა, რუიზანნარა, გულჩინი, გულიჯანი, გურდუხი და შამანნარა და ამათი სიახლოვეს ჰიართა უხუცესი გარდანქუშანი, საჭმან ადამ-ზადი თავისის თერთმეტის ამხანაგებით, სირიფანჯა, ასიმ და შუთურ ჰიარი, ამაზედაც მუხთალ დევი მოვიდა და მრავალი ჯადოთა სარდლები თან მო-უვნენ და რა ხელმწიფეს და საპყრობანს თვალი გადაავლეს, პირ დამხობით თაყვანი სცეს და გარიგებით დადგნენ. მაშინ რა ფარვან დევი დაინახეს, შაშით გულები დაუსქდათ და ხის ფურცელსავით თრთოლა შეექმნეს, მერე მოიდეს უცხო ფეშქაშები ხელმწიფეს, საპყრობანს, ფალევნებს და დედოფ-ლებს მოართვეს, შემდეგ მოვიდნენ და ფარვან დევს მუხლთა აკოცეს.

რა ეოველისავეს მხრის ალმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის დიდებულები ფალევანნი და ხელმწიფენი ზღვისა და ხმელე-თისა იქ შეიყარნენ. მაშინ თეთრი დევიც დაიბარეს და ისიც თავის გაკე-თებულის ფარულის გზიდან მეორეს დღესვე მოვიდა; ეხლა ძმას მიეგებ-ნენ და სულ ერთათ შეიყარნენ და უცხო მეჯლისი გამართეს და უცხოთაც შეექცნენ. მაშინ საპყრობანმა ფარვან დევს და საჭმანს რამდენისამე მარმა-რილოს სვეტების მოტანა უბრძანა.—ამათაც მოიტანეს და როგორც პირ-ველიდან ამიან და სიღან დევთან ამბავს გაეგლო, ეოველიეც მარმარილოს სვეტზედ დაწერინა და სადაც რომელს მხარესაც რა საქმეს გაეგლო იმ ადგილებში ამართვინა. რა ამ საქმეებსაც მორჩა, შემდეგ ამიან და სიღან დევთა უბრძანა: გული წმიდით იწამეთ საბოლო ღმერთი თუ არა? მაშინ ამათ მოახსენეს: გვწამს და კიდეც გვიწამებია ჩვენის სარდალ-ფალევნები-თა. მერე მუხთალ დევი მოუვანინა და იგი ჯადოთა სარდალი და იმა-თაც უბრძანა: თქვენც გრწამსთ ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთიო?! მა-შინ ჯადოთა სარდალი ერთობლივ ფეხზედ წარმოდგნენ და მოახსენეს: ხელმწიფეო რაკი ჩვენ ფარვან დევის სიცოცხლეზედ გული დავკარგეთ, ჩვენ მაშინვე ვიწამეთ ცისა და ქვეყნის გამჩენი, არა თუ ჩვენ, ჩვენმა ლაშ-ქარმა, აგრეთვე ჩვენმა ცოლ-შვილმაც იწამეს; რადა გავაგრძელოთ, ამიან დევი და სიღან დევი თავიანთის ქვეყნების ესე იგი ზღვის ხელმწიფენი თვით შვიდის იელიმის ხელმწიფემ ხელმეორედ ხელმწიფეებათ დასვა და თავებზედ გვირგვინები დახურა, თვისი და ქუჩუკის ბეჭდები მისცა და დიდის საჩუქრებით თავთავიანთის ქვეყნებში გაისტუმრა და უბრძანა: თქვენ თეთრის დევისთვის ჩამიბარებიხართო და ეოველთვის ამის ბრძანების მორ-ჩილნი იყავითო! შემდეგ თავიანთი სარდლებიც თან გაატანა, მერე ხაზა-რან დევის შვილს და შავის დევის შვილს უბრძანა: ეს ერთიც მიბატიები-და თუ კვლავ თქვენგან ამისთანა ორგულობა რამ გამიგიაო, თქვენს მამა-ბივით გუდებთ დაგხდითო. და ციხეზედ გადაგიდებთო. მერე ამათაც

მრავალი უბრძა და ასინიც შეწყალებულნი გაისტუმრა, გარდა ამისა ყოველივე მხრის დევთა სარდალ-თავლეკვანნი თავიანთის ჯარებით უველანი დასხჩქრა და დიდის ლოცვით გაისტუმრა, შემდეგ თითონ სასახლეში შევიდნენ და უცხოთ შეექცნენ, იმ დროს თურქმანის ხელმწიფის შვილებს და ბანელეთის ხელმწიფის შვილებს დიდი მადლობა უბრძანათ, გარდა ამისა შვიდის ელჩიმის ხელმწიფემ და საჰეირანმაც ესე უთხრეს: ხელმწიფენო და უცხო გმირნო თავლეკვანნო თქვენ ასეთი ხატივი გგეცით და ჩვენთვის თავი დასდეთ რომ, მეორედ მოსვლამდის დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის და შრავალი ქვეყნები უბრძა, აგრეთვე რაც დევთა ხაზინები დარჩა, სულ იმათ უბრძა და იმათ ჯარებსაც დიდათ დასჩუქრა, მერე ამათაც ხუთთავეს თავებზედ გვირგვინები დადგათ და უბრძანათ: თქვენ ამას იქით ჩვენი ძმანი ხართო, გარდა ამისა ჩვენი და თქვენი სახელმწიფოები უნდა გავაერთიანოთ.

რა ამ საქმესაც მორჩა, მაშინ ქაბუნნარა დევს უბრძანა: მე შენი დიდი მადლობელი ვარ ჩვენის ერთგულობისათვის—იმასაც თავზედ დეგური გვირგვინი დადგა და ყაფის მთის მხარეს რამდენიმე დევთა ქვეყნები უბრძა და იგი იქ გაასელმწიფა და ამასთან ყაფის მთის დევთა ერთგულობისთვის მრავალი საჩუქარი უბრძა და ესეც გაისტუმრა. შემდეგ შამანნარას უბრძანა: დაო, შენი ერთგულება ეხლა ჩვენ არ შეგვიძლიან რომ დავაფასოთ, ამიტომაც შენ ეხლა ვერ გაგისტუმრებ, აქ ჩვენთან დარჩი შენს ქმარ საჭმახთან და როდესაც ზადიხანუმა ჩვენს სანახავათ მოვა, მაშინ შეიძლება რომ სამგიერო გადგიხადოთ. მერე სხვებსაც უბრძანა, თქვენ ყოველნი ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ უშანგბათში და იქ როგორც რასაც ვიფიქრებთ, ისრე განვაგებთ ჩვენს სახელმწიფოს. მაშინ ანბარ და ზანგ დევთა უბრძანათ: თქვენ თქვენსა ქალაქებსა პატრონები უჩინეთ, რომ მანამ დაბრუნდებოდეთ შემდეგ საჭმანს და გარდანქუშანს უბრძანათ: სახვალიოდ რაც სამძიმო ბარგი იყოს სულ ისდოეთში როგშან ხელმწიფის ქალაქში გაისტუმრე და აგრეთვე ჯარებიც მოამზადე წასასვლელათო, გარდა ამისა დედოფლებისათვისაც ტახტები მზათ იყოსო, შემდეგ თეთრ დევს უბრძანა: შენის ფარულის გზებით შენს ქალაქში უნდა მოვიდეთ და შენ წინ წაბრძანდი, რომ გზები კარგათ გამაგრებული დაგვახვედროვო.

თეთრმა დევმა მაშინვე საჩქაროდ გასწია და თავის გაუვალ გზით ბედნიერს ქალაქში მივიდა, მაშინვე ქალაქი, სასახლე და მოედანი უცხოთ მოართვეინა შემდეგ ჩამოვიდა და მრავალი სტავრა და ნახლი დაათვეინა იმ ფარულს გზებზედ და იქაც მშვენივრათ მორთო, მერე ორსავ ხირათ ჯარები დააყენა; ერთის სიტყვით ინდოეთამდისინ ისრედ გააწყო, როგორც ბედნი ერისა ქალაქამდის უკუთვნოდა, მაშინ ერთი აივარი მოიხმო და უბრ-

ძანა: ეს წიგნი სჩქარად სავეირანს მიართვი და როდესაც ისინი წამობრძანდნენ, შენ მაშინვე დაწინაურდი და მათი წამოსვლა დროით მაცნობეო!

რა ეს გაისტუმრა, თითონ მაშინვე შვიდის იელიმის ხელმწიფისათვის; დედოფლისათვის, აგრეთვე სავეირანისთვის და მათი შვილთათვის, ამათან ნარიმანისთვის, როგშან ხელმწიფისათვის და ფაშკურჯისათვის და ვინც ტახტის ღირსნი იყვნენ უველასთვის ტახტები დაადგმევინა და სჩუქრებიც დაამზადა.

ამას აქ თავი დავანებოთ და ეხლა ქუჩუკთან მოვიდეთ.

ქუჩუკი, ხელმწიფეები და ფალევნები მოედანზედ შეექცეოდნენ, აქ დროს ერთი აიარი მოვიდა და ხელმწიფეს მუხლთა ჰკოცა, მერე უბიდან წიგნი ამოიღო და მიართო. ხელმწიფემ რა წაიკითხა, დიდად იამა და ამ აიარს სჩუქარი უბოძა. მაშინ ფარვან დევი მოვიდა და მოახსენა: შვიდის იელიმის ხელმწიფეო და სავეირანო ხმელეთისა, თქვენი ბრძანება აღსრულდა და ნება ეხლა თქვენი არის. მაშინვე რაც ჯარები იყვნენ თავიანთის სარდლებით, დევთა თუ ფერიათა, ჯინთა და ჯადოთა, სულ უველას უბრძანა: თქვენ ჰაერით წამოდით და ბედნიერსა ქალაქს ათორის დევის სახბატონოში მოდით! —ამათ წინ მუხთალ დევი გაუძღვა. ამ დროს ზანგ დევმა და ანბარ დევმა ხელმწიფეებს, დედოფლებს და აგრეთვე ფალევნებს დიდი უეშქაშები მიართო. მაშინ ამათ დიდი მადლობა გარდაუხადეს და სულ ერთიანად წამოვიდნენ სიდუმლოს გზებით.

რა ესენი გზას გაუდგნენ, იმ დროს თეთრი დევის აიარმა თავის ხელმწიფეს მოახსენა მათი წამოსვლა. თეთრი დევი მაშინვე წინ მიეგება და როდესაც ეს ხელმწიფენი ჩამობრძანდნენ ამ ფარულს გზებში და ისეთი სიმშვენიერე ნახეს, დიდათ მოეწონათ და თეთრ დევს დიდი მადლობა უბრძანეს, ამანაც თავი დაუკრა, წინ გაუძღვა და სადამოს ჟამამდე ბედნიერს ქალაქში მოვიდნენ.

რა თქმა უნდა სასახლე მშვენიერად მორთული და უველა სამზადისით დაუხვდათ. რა შემოვიდნენ, უველანი თავთავიანთს ღირსეულს ალაგს დასხდნენ და ერთს კვირას უცხოთ შეექცნენ, აქ დიდათ იმხიარულეს, შემდეგ თეთრმა დევმა უველას დიდი საჩუქრები მიართო, აგრეთვე ახალთა ფალევნებსაც ასეთი საჩუქრები მიართო, რომ ენა ვერ გამოსთქვამდა.

რა მუხთალ დევმა ნახა რომ მანამ თითონ მოვიდოდა, ესენი უკვე მოსულ იყვნენ, დიდათ გაუკვირდა და ფიქრობდა: ნეტავ რომლის გზით მოვიდნენო, რომ ჩვენ ესენი ვერ ვნახეთ და ან ესე მსწრაფლად როგორ

მოვიდნენო? მაშინ ერთს ათასს ჰკითხა: ხელმწიფეები და დედოფლები რომლის გზით მობრძანდნენო? მაშინ ათასმა უპასუხა: ამათ ყოველსა თავისთას სახელმწიფოში სიდუმლო გზები აქვთო ყველა სახიხო ქალაქებამდისინ, ამათ დიდი ჯარებიც ჰყავთ და დიდი ხაზინებიც აქვსითო, ისე რომ ცათა ქვეშეთა ჯარები რომ სულ თქ შეიყარნონ, თავიანთ სიცოცხლეში არა მოაკლდებათ რაო და მეორეც ეს, რომ თქვენ ჰაერით ერთს კვირას რომ იარით აქედან უშანგბათამდის, იმ ფარულის გზით კი მეორეს დღესვე მოხვალთ—მე ისე შემიტყვიაო. ამაზედ მეხთალს დიდათ გაუკვირდა და თეთრის დევის ხელოვნება დიდათ აქო. ამათ ერთი კვირაც კარგათ შეეძლონ, შეშდეგ არდევანშაჰა და საჰეირანმა თეთრ დევს დიდი მადლობა გარდუხადეს და უბრძანეს: ესე ქალაქი ბედნიერისა უცხოს და სანდოს ხაბის უნდა ჩააბარო და შენც ჩვენთან უშანგბათში უნდა წამოხვიდეო!

ამან ყოველივე მათი ბრძანება ასრულა. მერე ფარვან დევს უბრძანეს: ჯარები კიდევ ჰაერით გაისტუმრე ინდოეთისაკენ! — მანამ ესენი ამ სიტყვას ბრძანებდნენ, შვიდის იყლიმის ხელმწიფემ შაჰნაზდუხტ, სარვიხურაშან, ჟანარა, ბულბანი, გულჯანი, რეიზანანარა, გურდუხი და ქამანნარა თავიანთის ქალთა ფალეკნებით სიდუმლოს გზებზედ ჩავიდნენ და ორს ასათზედ ინდოეთში მივიდნენ. ეხლა რეიზანნარამ გააშველიერა თავისი ქალაქი, ციხე სასახლე და შოქარი, რომ უკეთესი ქნება ალარ უნდოდა, და ყოველთათვის შვიდის იყლიმის ხელმწიფეიდან დაწუობილი ვიდრე ბოლომდე, ვინც კი ახლდნენ, ყველასათვის ცალკე-ცალკე სახუქარი დაუმზადა და აგრეთვე ვინც სხდომის დირსნი იყვნენ, ყველასათვის ტახტები დაადგმევინა და დასარჩენათვის სფალეკნო სკამები დადგეს, შემდეგ იმ ხუთთა ახალთა ფალეკნთათვის უცხო ოქროს სკამები დაადგმევინა და ზედ ოქრომკედის დიბა გადააკრევინა და შიგ ხუთი სოფალეკნო სკამები დაუდგა, შემდეგ ერთი დიდი ტახტიც გაშართა და ზედ თითო ასეთი გვირგვინი დადო, რომ ფასი არ დაედებოდა, გარდა ამისა თითო ასეთი ხმალი და ხანჯალი მოიდეს, რომ თითო სახელმწიფოს ფასად ღირდა, ამის გარდა კიდევ ათათის სფერის კლიტის გასაღებები მანუჩარშაჰისათვის, ბეგზადშაჰისათვის, ხოსროზადშაჰასათვის, კორშარაბისათვის და ბარზიმისათვის მოამზადა. რა ამასაც მორჩა, მერე ჯართათვის სახუქარი შემდეგისათვის გადადვა. იმ დროს ამათ შაქნევის ხელი მიჰვევეს და უცხოთ მხიარულობდნენ, მაშინ ხელმწიფეებიც და ფალეკნებიც მობრძანდნენ. რა ქალაქი ისრედ მშვენიერად გაწუობილი და მორთული ნახეს, რეიზანნარას დიდი მადლობა გარდუხადეს, შემდეგ ყველანი თავიანთი ადგილს დასხდნენ. ამ დროს იმ ხუთთ ფალეკნებმა რომ შეგეხედნათ, ამას ბრძანებდით მკითხველნო, რომ ცი-

დან ვარსკვლავნი ჩამოსულანო, შეკრან უნდა უსთქვათ, რომ არც საკვლევნი ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფის შვილები იყვნენ, ტკბილი ამ ე - ვანთა სიახლოვეს ისხდნენ და უცხოთ შეეყნოდნენ. ამათ უფელანი დასხდნენ და უცხოთ ლხინი გარდაიხადეს. მაშინ როგორსხვისტმა ამ ხუთთა ხელმწიფის შვილებს ესე იგი თურქმანის და ბნელეთის ხელმწიფის შვილებს დიდი შიდლობა უძღვნა და თითო ასეთი გვირგვინი მიართო, რომ ფასი არ დაეკარგოდა და სათითოთავს ხანჯლები და ქამრები მიართო, აგრეთვე ხუთხუთი სალაროს გასაღებები მიართო და უსე მოახსენა: ხელმწიფენინო და ხელმწიფეთა შვილნო, მე გთხოვთ რომ ესე შეიწყალოთ საჩუქარი ჩემსა სახსოვრად მიიროთო და ჩვენი სახელმწიფო ისრეთ იმსახურეთ, როგორათაც თქვენი საბატონო. ამ დროს ამ ხუთთავემ ბირდაშრობით ინდოეთის ხელმწიფეს და დედოფალს თაყვანი სცეს და მოახსენეს: ხელმწიფენო, ჩვენ ამ წუალობის დირსნი არა ვართო, ჩვენც და ჩვენი სახელმწიფოც თქვენი უკანასკნელი მონანი ვართო, — მერე ისევ თავიანთს ადგას დასხდნენ. რალა გავაგრძელოთ, მაშინ ინდოეთის ხელმწიფის და დედოფლის საჩუქარს ვინ აღრიცხავდა? უოველივე საჩუქრით ავსო და დიდი მადლობაც მოახსენა.

შვიდის იელიშის ხელმწიფემ და სააბეირანმა ერთად წელიწადი იქცა დიდი შექცევა და ლხინი გარდაიხადეს, შემდეგ ერთი უცხოთ დიდებულთაგანი და ათიც კარგი ფალავანნი თან აახლეს და უშანგბაშად და ფარმანია ქალაქში თავიანთ მისვლა ბურჯ ვეზირს აცნობეს. რა ეს დიდებულთაგანი თავისი ათისა კაცით ყარამანია ქალაქში მივიდა, პირდაპირ ბურჯ ვეზირთან მივიდა და თავისი თავი აცნო. ბურჯვეზირმა მაშინვე სიფვარულით მოიკითხა და აგრეთვე ხელმწიფის, დედოფლის და სააბეირანის ამბავი ჰკითხა. ამან მაშინვე უბიდან წიგნი ამოიღო და ბურჯვეზირს მიართო და მოახსენა: მაგ წიგნიდან უფრო კარგათ სცნობთ მათი ამბავი.

ბურჯვეზირმა რა წიგნი წაიკითხა, დიდათ იამა და მერე პირად მოახსენა: ეს მეოთხე წელიწადია, იმათი წასვლა და აქამდე მე იმათი სწორეთ ვერა გავიგერა — შემდეგ გმერდით მიიწვია და სკამი მოართო და ფოველივე იმათი ვინაობა და თავგარდასავალი დაწვრილებით ჰკითხა. მანაც პირველიდან დაწყებითი ვიდრე ბოლომდის ფოველივე უამბო. მაშინ ბურჯვეზირმა მრავალი საჩუქარი უბოძა და საჩქაროდ ქაბულის და უშანგბათის ნაიბი დაიბარა და ქალაქების უცხოთ მორთვა უბრძანა, მერე თითონაც ყარამანია ქალაქი ასეთ ნაირათ მორთო, რომ ძნელადღა იცნობდა კაცი და გაიკვირებდა. მაშინ თითონ ბურჯვეზირი ასის ათასის კაცით აემზადა და ხელმწიფეების, დედოფლების და თავკვნების მისაგებებლად წავიდა.

სიარულში როდესაც გზა შეუმოკლდა, ერთს უცხოს და სასიამოვნო ადგილს ჩამოხდა, კარვები დასცა და მოსვენებას მიეცა.

ქსელა როგშანბასტის ამბავი მოკლედ.

როდესაც როგშანბასტმა და რუიზანხარამ თავიანთის სჩუქრის მირთმევას მოჰკრნენ, მაშინვე წასასვლელათ მოემზადნენ — საჭმელს და კარდანქუშანს სამეურნეოში უბრძანეს: სხვალიოთ მზად იყავით! მაშინვე ამათაც სხვალიოდ ეოველივე მოამზადეს და რა დილა გათენდა და მზემ თავისი სხივები ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ქსელიც აიშალნენ და წასასვლელათ მოემზადნენ; ჯერ წინ ჯარები გაისტუმრეს და თითონაც უკან წაუდგნენ, ბასოვანთა ადარ მოითმინეს და ტახტებზედ დასხდნენ, მაშინ ფერიებმა ასწიეს და უშანგბათასკენ წაიდნენ, შეორეს დღეს სადაც ბურჯგეზირი იყო ჩამოხდარი იმ ადგილს მიახწიეს, ჰაერიდან დაეშვეს ნახეს, რომ ერთს მთიან ძირში მრავალი კარვებია დაცემული და ჯარების ასაყრელათ ემზადებიან. მაშინ არდევანშაჰის დედოფალმა სთქვა: ნეტარ ეს ჯარები ვისი უნდა იყოსო და ან რა ადგილს ჩამოხტარანო?—ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ერთმა ამორთაგანმა მოახსენა: დედოფალო, ეს კარვები და ჯარები ბურჯგეზირისა არისო და ოქვენს მოსაგებებლათ გამხდებათო. ამათ რა ესეთი სასიამოვნო ამბავი გაიგონეს, მაშინვე ჰაერიდან ძირს ჩამოვიდნენ და ბურჯგეზირისაგან გამოსწიეს. მაშინ აიარმა ბურჯგეზირს შეატყობინა რომ დედოფლები მობრძანდებიანო. რა ესეთი სასიამოვნო ამბავი გაიგონა, იმ წამსვე კარში გამოიჭრა და შეხედა: ნახა რომ დედოფლები მობრძანდებიან, მაშინ ჩქარა იმათკენ გაეშურა.

რა სარეხურამანმა და სხვათა დედოფლებმა მომავალი ბურჯგეზირი დაინახეს, ამათაც იმათკენ სწრაფით სიარულით წავიდნენ და რა ერთმანერთს დაუხლოვდნენ, ბურჯგეზირი მაშინვე დედამიწაზე დაემხო და დედოფლებს თაყვანი სცა. რა შჰნაზლუტმა და სხვათა ბურჯგეზირი ამ ყოფით ნახეს, მაშინვე მისცვივდნენ და ეს მოხუცებული ამათთვის თავდადებული ბურჯგეზირი ააყენეს და როგორც თავიანთი მშობელი მამა ისრედ გარდაეხვივნენ და დიდხანს ჰკოცნიდნენ ხელზედ და პირზედ, რასაკვირველია ამაზედ ბურჯგეზირი ძალიან შეწუხდა და მოახსენა: დედოფლებო, მე თქვენგან არა ვარ ღირსი მაგდენ პატივის ცემისაო. როდესაც ამათ ამ დიდს სალმობაში იყვნენ, ამ დროს კიდევ ჰაერიდან მრავალი ტახტები და ჯარი გამოჩნდა, ამათზე დედოფლებმა ბრძანეს, ესენი ჩვენი მგზავრები არიანო; მანამ ამ სიტყვას დაასრულებდნენ მანამ არდევანშაჰი, ქუჩუკ ყარამანი, ხოსრო

ოვშირე, ყოველიბანი, ყორანი, ბარამჯიბილი, ნარიმანი და როგორანბახტი, ეხლა ესენი გადაეხვივნენ და ერთმანერთს დიდხანს დაშინდნენ, შემდეგ ფაშაჭუნჯი, ზარბაქ დევი და იგი ხუთნი ბნელეთის და თურქმანის ხელმწიფეებნი მოეხვივნენ და ეხლა ამათ დაუწყეს ხვევნა და კოცნა. მაშინ ფარვანა დევმა საჭმანს თავისის ამხანაგებით, გარდანქაშანი, სირფანჯა, შუთური ია-არი და სხვანი შემოეხვივნენ და ერთმანერთს კოცნიდნენ.

მცირე ხნის შემდეგ იგი ახალნი ფალავანნი მოვიდნენ: მანუჩარშაჰი, ბეგზადშაჰი, ხოსროგზადშაჰი, გორშარაბშაჰი და ბარზიმი. რა ამ ფალავანთა ბურჯგეზირი დაინახეს, მაშინვე გაექანნენ, ხელზედ კოცნა დაუწყეს და ყოველის სიყვარულით და აღტაცებით მოიკითხეს. მაშინ ბურჯგეზირმა უფროსს კოცნა დაუწყო და მოახსენათ: მე ჩემს თავს ამ მოხუცებაში დიდს ბედნიერათ ვრაცხ, რადგანაც თქვენ ეგრეთ სუფევლას შეგიდგომიათ გხედამი და რა სალმობას მორჩნენ, მაშინ აქ ერთი უცხო დევი დაინახა და ამ დევის ვინაობა საჭმანს ჰკითხა: ფალავანო იგი მამაცი დევი ვინ არისო, რომ ასეთის პატივით და სიყვარულით მიგიღიათო? მაშინ საჭმანმა ყოველივე მუსაჲ დევის ამბავი სრულებით უამბო, მერე კარავში შებრძანდნენ და დიდი მეჯლისი გამართეს, მრავალი იქხინეს და დროება გაატარეს. ამ დროს ბურჯგეზირი ფეხზე წარმოდგა და საყოველთაოთ გამარჯვება მიულოცათ და მათთაც დიდი მადლობა გარდაუხადეს, მერე ცოცარნენ და სართოთ უშანგბათში მოვიდნენ. რა ადგას მივიდნენ, დიდის სიხარულით მიეგებნენ უშანგბათის მცხოვრებნი, მეტადრე ხელმწიფეებს და დედოფლებს და აგრეთვე საპეირანს დიდი პატივი სცეს.

ამათ ერთი წელიწადი უშანგბათში დაჰყვეს დიდის სიამოვნით, რა წელიწადი შესრულდა, აქაც დიდი საჩუქრები მიიღეს საპეირანმაც, ფალავნებმაც და მათი შვილებმაც, აგრეთვე თურქმანის და ბნელეთის ხელმწიფის შვილებმაც, მერე აქედანაც აიყარნენ და შემდეგ ყარამანია ქალაქში მივიდნენ, სადაც სარვიხურამანი იყო მასპინძლათ და იქაც მრავალი გასცა ხელმწიფეებზედ, ფალავნებზედ და აგრეთვე ჯარებზედაც. შემდეგ იქიდანაც ქაბულში წამოვიდნენ, იქაც ნარიმანი დაუხვდათ მასპინძლათ და რა თქმა უნდა დიდის პატივით მიიღო და მანაც მრავალი საჩუქარი გასცა და ისე გაისტუმრა, შემდეგ იქიდანაც ყოველიბანმა გასწია და რასაკვირველია დიდის დიდებით მოეგებნენ იქაურნი მოქალაქენიც და მრავალი თავდ-მარგალიტი გადაყარეს ხელმწიფეთა და დედოფლებს, მერე რა სასახლეში მობრძანდნენ, დიდს ლხინს და ქეიფს მიჰყვნენ და ერთი წელიწადიც იქ დაჰყვეს, მერე იქიდანაც ფერაისტანში მოვიდნენ ბარამჯიბილის მამასთან შაჰპალშაჰასთან და რა თქმა უნდა ამათაც დიდის სიხარულით და სიამოვნებით

მიიღეს და რაღა გაუკვირძლოთ, უკეთესი ღხინი და სიხშოვნება გარდახდეს. რა შრომის სიჩქარებით იქიდანაც გამოისტუმრეს, შერე უთრანს ეწვივნენ და რა თქმა უნდა მანაც უკეთესით გამოისტუმრა და დასასჩქარათ. რაც შეეხება ხანროვშორს, არც ის იყო არავისზედ ნაკლები თვალეული და არც სხეებზედ ნაკლებად გუმასპინძლდათ.

ამათ ყველამ აქ თავი დაიხეპეს და ისევ უშანგბაოში მოვიდნენ და ეხლა ფაშკუნჯის ბუდეს მიუხდნენ, იქიდანაც ზორაბშაჰს ეწვივნენ და დიდის ღხინით დროს ატარებდნენ. ამასობაში მრავალმა ხანმა გაიარა და შერე ზადიხანუმს მოსწერდა, რომ ხელმწიფეები ზორაბშაჰისთან მობრძანებულანო, მაშინვე მანაც დიდის ჯარებით და ფეშქაშებით წამოვიდა უშანგბაოში. მაშინ შვიდის იქლიმის ხელმწიფეს, დედოფლებს და აგრეთვე ქუჩუკს მოსწერა ზადიხანუმის დიდის ჯარებით და დიდებით წამოსვლა. რა ესე გაიგონეს მაშინვე მაჭისაზღუხტი არდევანშაჰს დედოფალმა, სარვიხურამანმა, ესიარა, გულბაჯანი, გულჩინი, რუიზანისარა და გურდუხი თავიანთის ქალთა ჯარებით წამოვიდნენ ზადიხანუმის წინ მისაგებებლათ. მხოლოდ შამანსარა უფრო წინდაწინ მიეგება და რა ახლოდ მივიდა, მაშინვე ხელზედ აკოცა, აგრ დიდათ ისიამოვნა შამანსარის ნახვა, მერე ხელმწიფეებისა და დედოფლების ამბავი ჰკითხა, მაშინ იგი ყოველის მშვიდობით ყოფნა მიუღოცა და მისი მშვიდობით ყოფნა აუწყო და შემდეგ მოახსენა: დედოფალო ზადიხანუმ, შვიდის იქლიმის დედოფალი მაჭისაზღუხტი, სარვიხურამანი, ესიარა, რუიზანი, გულჩინი, გულბაჯანი და გურდუხი თქვენს მოსაგებებლად წამოვიდნენო.

ზადიხანუმმა რა ესე გაიგონა, დიდათ იამა და ახჩარდა კიდეც რომ თითონ წინ მიეგებებოდა. ამ დროს შამანსარამ შეხედა და დაინახა რომ, თვით იმათაც მოასწრეს, მაშინ მოახსენა რომ ნუღარ დაიძვრებით, აგერ ახლოს მოვიდნენო. მაშინ მანაც სჩქარიდ სუბუქი ტახტები გაამართვინა და ერთი უცხო დიდი მაგიდა დაადგმევინა და ზედ ყველასათვის ესე იგი დედოფლებისთვის თითო გვირგვინი უცხოს საკბილებით და რიდებით გამართა, რომ უსპ არ დაეგებოდა, შერე მარჯვნივ ერთი უცხო და დიდი კერძი გაამართვინა და შიგ ოცდაათი ტახტი დაადგმევინა — მეორეს მხარესაც სულ სათვალეები სკამები კაკწიო და ზედ სახელმწიფო გვირგვინები დაწყო და თვალეულთათვისაც თითო ხელი იარაღა: ხმალი, შუბი, ხახტი და ხანჯალი, კროის სიტყვით რაც კი უსაჭიროესი იყო თვალეულთათვის, ყოველივე სამამაცო აირადით კაკწიო. მაშინ იქ მხლებელთ უთხრა, ეხლა წინ წავრდეთო, რადგანაც მე შორს წასვლა არ შემიძლიან სიბერისაგანო.

ესენი ამ დაბარებით და ჩვლის სიარულით მიდიოდნენ და უკანაც მრავალი ფერიანი ქალები მოსდევდნენ და ხელთა ჯვარიით და თეღებით ეგულებს თითო თეფში ეჭირათ, კარდა ამისა რამდენიმესაც კიდევ ვარდის წყალი ეჭირათ და კაბებს რწყავდნენ და ზოგიც მუშკს და ანბარს აგუნდნენ, ამისთან ფერხთ ქვეშეთ სტავრას და ნახდას უფენდნენ.

ამ დროს ჰაერიდან ბანოვანნიც ჩამოვიდნენ და ზადიახუმის შეყრას ჩქარობდნენ და ნახვაც უნდოდათ. მაშინ ზადიახუმმა შამსინარას უბრძანა: ის წინა მომავალი რომლის დედოფალი ბრძანდებაო?! შამსინარამ მოახსენა: შვიდის იელიმის დედოფალი შაჰნაზდუხტი ბრძანდებაო, იმის შემდეგი სარვიხურამანი არისო და იმათ უკანაც ერთი ესხიარა არისო ქუჩუკის დედაო, შემდეგი გულჩინი არისო ირანთურანის დედოფალიო, მეექვსე გულიჯანიო ქუჩუკის ცოლი და მეშვიდე გურდუნ გორაშას ქალიო.

რა უველა ესენი გაიცნა, მაშინ ცოტათი ფეხი აიჩქარა და რა დაუხლოვდა, მაშინვე დაემხო და მდაბლად თაყვანი სცა დედოფლებს, ამ დროს მოსცვივდნენ დედოფლები, ასწიეს და ისრე ციმციმათ ხელში აყვანილი თავიანთს მომზადებულს კარვში შეიყვანეს და ტახტზედ დასვეს. მაშინ ეოველნი მიესალმნენ და მოახსენეს: შენ დედა ბრძანდები ჩვენი და დვითს სიყვარულით ალვსილი; ჩვენ არა ვღირსვართ თქვენგვან მაგ გვართ თავდაბლობასაო.—მერე ამათ უველანი თავთავის ადგილს დაბრძანდნენ და რა იმისთანა გვირგვინები და უბანჩები თავისას რადებით ნახეს, დიდათ მოეწონეს და დიდი მადლობაც მოახსენეს, შემდეგ ფერიები წარმოდგნენ და მრავალი თვალ-მარგალიტი გადმოაყარეს, მაშინ ხელმწიფენი და თვლევნებიც მობრძანდნენ და ეხლა იმათ მიეგებნენ და ზირდამზობით თაყვანი სცეს. მაშინვე ქუჩუკი გაექანა და როგორც უმარწყვილი ისრე აიყვანა და თავისს ტახტზედ დასვა, შემდეგ დიდი მადლობა მოახსენეს ზადიახუმს, რა უველანი თავთავის სკამებზედ დასხდნენ და ხელმწიფენიც თავიანთს ტახტებზედ, მაშინ ამათ გვირგვინები თავს დაიდგეს და ზადიახუმის მირთმეული ვარდი აისხეს, მაშინ შვიდის იელიმის ხელმწიფემ, სახელგირანი და თვლევნები თავთანთის შვილებით მივიდნენ და დიდი მადლობა გადუხადეს გარჯილობისათვის და მეტადრე იმისთანა გაჭირებაში ჯარების მოშველებისათვის და ესრე მოახსენეს არდევანშაჰმა და სახელგირანმა: თქვენ ბრძანებით ჩვენი მშობელი და უეულამ ხელზედ აგიტეს, მერე უცბად მეფეების გამართეს და დიდი ლხინი გარდაიხადეს, შემდეგ ორთოდე დღე მოისვენეს მერე აიყარნენ და უშანგბათში მოვიდნენ და იქაც ოთხი თვე შეეჩერნენ.

რა უველა ლხინს მორჩნენ, მაშინ უველანი მოედანზედ გამოვიდნენ, დადგინეს ტახტები გააწყეს და დასხდნენ. მაშინ შვიდის იელიმის ხელმ-

წიდუშ და სპასპარანმა ამ შეგონებით ბნელდომს და თურქმანის ხელმწიფეს დიდი მადლობა გარდუხადეს და უბრძანეს: ხელმწიფენო, ჩვენზედ დიდი ამბავი და ბრძოლის ცეშა გაქვსთო, რომლის გარდახდა არ შეგვიძლიანო, ამის შეპყრობა თქვენს ხელმწიფობას გარდა რაც თქვენს შიარეს ქვეყნები მიქვსო, სულ თქვენთვის მიბოძებიაო და თქვენ დღეის იქით ჩვენი ძმანი და ამხანაგნი იმეფობებდეთო და ყოველსა გაჭირვებაში ისრეთ შეგეხმარნოთ ერთმანერთს როგორც ეხლა, მე თქვენთვის ვიქნები და თქვენც ჩვენთვისო.—შემდეგ ამათ ჯარებს იმღენი სანუქარი მისცა, რომ წაღების დრეე ალარა ჰქონდათ და მთაც დიდი მადლობა გარდუხადეს. მაშინ ხელმწიფემ უბრძანათ, სამს დღეს კიდევი ჩემი სტუმარი ბრძანდებოდეთო! ამათაც თვი დაუკრეს და თავიანთის ალაგს დასხდნენ, ამ დროს თავიანთის ჯარების გამგეთა უბრძანეს: ამ სამ დღეს ჯარები და ჩვენი ცხის მზადებაში უნდა ვიყვნეთ და ველა უნდა დამზადდესო!

რა ესე ბრძანება გასცეს, შემდეგ ხელმწიფემ ყოვლიბანს, ხოსროშიარს, კორანს და ბარამჯიბილს მოახსენათ: ფალეანნო, ჩემს ენას არ შეუძლიან, რომ თქვენ როგორც დაბრძნი ხართ, იმგვარათ მადლობა გიძღვნოთო, მერე ყოველიბანს მოახსენა: შენთვის და შენის შვილი ბეგზადშჰასთვის მიბოძებია დასავლეთის მხარე—ხმელეთი და ზღვა რაც რომ ან დევთა ან ადამიანთა ანუ ჯინთა თუ ფერიათა ქვეყნები არიანო, აგრეთვე ხოსროშიარს და თავის შვილს ხოსროზადშჰას უბოძა—ალმოსავლეთის მხარე, აგრეთვე კორანს თავისის შვილით ბარზიმთ—ჩრდილოეთის მხარე და ბარამჯიბილსაც თავისის შვილით კორშარაბშჰით—სამხრეთის მხარე. რა ამასაც მორჩა, შემდეგ მანუჩარშჰას უბრძანა: შენ ჩვენო საყვარელო ახალო ფალეანო და გარეგანის ხის ხაროსო, შენთვის ჩემი სახელმწიფო მიბოძებიაო ჩემის შემდეგ და ჩემი ხელმწიფობაცაო. (მანუჩარშჰას იმისთვის უბოძა, რადგანაც შვილი არა ჰყვანდა), გარდა ამისა, ყოველსა სარდალთა და ფალეანთა მრავალი სანუქარი უბოძა და ყველანი თავთავისს ბინაზედ გაისტუმრა, მერე ფარვან დევს უბრძანა: რაც ქვეყნები გაჭირავს ხომ შენია და ამ ჯადოთა ქვეყნებიც სულ შენთვის გვიბოძებია და ეს მუხთალ დევიც თავისის სიბრძნებლებით და ყოველის ჯადოთა ხელმწიფობაც შენთვის გვიბოძებია, სჭვმანაც თავისის ამხანაგებით მრავალი დევთა ქვეყნები უბოძა და ზღაპანუშსაც მრავალი კარგი ქვეყნები უბოძა. ერთის სიტყვით ვინც სარდალ-ფალეანნი ახლდათ ყველანი დიდის სანუქრით გაისტუმრა, გარდა მისი ველა თავისს შეობრთ დაშქრთ და აგრეთვე ყველა თავისს სიბრძნებელში მცხოვრებთ ქვრივთ თუ ობერთ, ყველაზედ მრავალი სანუქარი და წყალობა გასცა.

რა ყოველდღე საქმეს შორჩენ, შეძლეს ბნელეთის ხელმწიფის შვილებმა წასასვლელათ თვრმანი ითხოვეს, მაშინ ხელმწიფემ ნება უბოძა და კიდევ უცხოთ დასაჩუქრა. მაშინ იგი ხუთი თვალეგანხი: ხასრიგზადშაჰა, ბეგზადშაჰა, გორშარაბშაჰა, ბარზიმი და მანუჩრშაჰა წამოდგნენ და ერთმანერთს გარდაეხვივნენ და ესე ვირობა დასდვეს, რომ ყველა ოთხ თვეში ერთხელ უნდა უშანგბათში შეყრილიყვნენ უველა თავისის სახრძნებლობის სარდალნი, თვალეგანნი და ხელმწიფენნი და ერთათ დროება უნდა გაეტარებინათ.

ამ დროს რადგანაც უშანგ ხელმწიფის შვილმა ორეგანშაჰამ და უარაშან-უათიდის სააბუარანის შვილის შვილმა თავიანთის გმირის თვალეგნების შეძწეობით ყოველი ცათაქვეშეთი ზღვა და ხმელეთი ღმთის წყალობით დაიპყრეს, ამიტომ არდეგანშაჰმა დაერქვა ცათაქვეშეთის ზღვისა და ხმელეთის ხელმწიფე და ქუეყანაც სააბუარანი.

ესე დაბოლოვდა ყარამანიანის მთელი მოთხრობა.

რამდენიმე სიტყვა ჩვენ მიერ გამოცემულ „ყარამანიანზე“,

(1872 წ.—1912 წ-ებ).

საჭიროდ ვრაცხ, ვაცნობო ჩვენ პატივცემულ მკითხველებს რამდენიმე სიტყვით ჩვენ მიერ გამოცემულ „ყარამანიანის“ შესახებ.

რა დროსაც ამ წიგნის ბეჭდვას შეუდეგით, და ვისი ნათარგმნიც იყო ეს უზარმაზარი წიგნი; რომელიც შეადგენს **2500** ხელთნაწერ პირს, ე. ი. „თექვსმეტი კარი“, მის ბიოგრაფიას პირველ კარშივე ვეხსენიებთ.

დიდათ პატივ ჯემულს განსვენებულს სახლთხუცესს და სარდალს თავ. დავით ორბელიანს, რომელსაც დიდი შრომა მიუღია და სპარსულიდამ ქართულად უთარგმნია ეს წიგნი მშვენიერს და გასაგებ კილოთი, როგორც ეტყობა იმ ჟამად ძრიელ ნაკლებათ ყოფილა საქართველოში ნაწერ-ნაბეჭდი ქართულ ენაზე სხვა და სხვა გასართობი ზღაპარ-მოთხრობაები. ამიტომაც. განსვენებულს დავით ორბელიანს დიდის მეცადინეობით უთარგმნია ესსაამოთ სასმენელი წიგნი ქართველ ერისათვის; და თვითონაც როგორც საქართველოს შვილი, ეტყობა მხურვალე სიყვარული ჰქონია თავის სამშობლოსი და დედა ენისა. მაშასადამე მრავლად საქებურია იმ კაცის შრომა და ღვაწლი რომელიც დაფასდება, აყვავდება და ბოლოს ნაყოფს დაისხავს.

მეც ამით მივიღე დიდი შრომა, გამოვეცი ეს წი.ნი და არ დაუკარგე პატივცემულს თ. დავით ორბელიანს თავისს იმ დროინდელი დიდი შრომა და ღვაწლი ამ უშველებელ თარგმანისა.

1872 წლიდამ, როდესაც ეს წიგნი გამოვეცით, მე ვიყავი ასოთ-ამწყობათ ქართულ გაზეთ „დროებისა“, განსვენებულ სტეფანე გრიგოლის ძის მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში, რომელშიაც გავატარე მუშაობა სრული **20** წელი და იმ დროინდელ ქართულ ლიტერატურასთან მეც ვიყავი თანამშრომელი — ასოთ-ამწყობი.

იმ დროს ეს „ყარამანიანის“ წიგნი ხელთ ჩამივარდა და დიდის ხალისით დავიწყე კითხვა და ძრიელაც გამიტაცა მის შინაარსმა კითხვაში, რადგანაც მშვენიერ ქართულ კილოზე იყო ნათარგმნი, მხოლოდ მისი ნაკლი ის იყო რომ სულ გაბმით ლაპარაკობდა ე. ი. განუწყვეტლივ უწერტილო-უმძიმოთ, ახალი სტრიქონი ხომ არსად ეტყობოდა ვიდრე ერთი თავი მოთხრობა არ მოთავდებოდა. გარდა ამისა, ისეთი ხელთნაწერები იყო რომ, არა მგონია თუარ დახელოვნებული კაცი წერა-კითხვაში, იგი გაერჩია. არამც თუ მისი კითხვა, არამედ ხალისსაც კი უკარგავდა ადამიანს, რადგანაც ძნელი გასარჩევი იყო, ამასთან სხვა და სხვა ხელით იყო ნაწერი ე. ი. ქალისა, კაცისა და ყმარწვილისა, ეტყობოდა რამდენიმე კვირა ერთს დაეწერა, რა მობეზრებულიყო, მერე სხვას გაენაგრძო, შემდეგ კიდევ სხვას და აზრიც ისე გადაერ-გადმოერიათ, რომ თითქმის ისევ იმას იმეორებდა რაც ზემო სტრიქონებში იყო და გადაწყვეტით არას ამბობდა და არც აბოლოვებდა. ამასთან უნდა მოგახსენოთ რომ, თუნდა მახინჯათ იყო ნაწერ-ნაბეჭდნი, მაგრამ

რადგანაც ქ დაბეჭდილი ვიყავი ქართულ მწიგნობრობაში, არ მიძნელდებოდა და კარგა ვსაწრაფოდი წაკითხვით. ერთის სიტყვით ასეა თუ ისე, დიდი ხალისი ჩამიგარდა ამ წიგნისა და სულ იმის ფიქრში ვიყავი რომ ეს წიგნი როგორმე გამესწორებინა და მომეხერხებინა მისი დაბეჭდვა და ხალხში გამევრცელებინა: მხოლოდ რომელ სახსრით უნდა მებეჭდა ეს უშველებელი 2500 გვერდიანი წიგნი, რომელიც დიდი ფული ჯდებოდა? — ვფიქრობდი; ქაღალდი მაინც უნდა მეშოვნა, თუ ასაწყობ-დასაბეჭდი არ გადამეხადა, მერე იმ დროინდელ ქაღალდის სიძვირეში, რომელიც ეხლა ოზმა ოთხი მანეთი ღირს, მაშინ ათი მანეთი ღირდა და მეტიც.

როგორც იყო ეს უშველებელი წიგნი წაიკითხე რამდენიმე თვეში; ერთხელ, ორჯელ და მეტიც. ეს წიგნი აღმოჩნდა მხოლოდ თორმეტი კარი. იმ დროს ჩვენს რედაქციაში ერთი ყმარწვილი კაცი დაიარებოდა გვარად გურამიშვილი, იმან რომ მნახა ამ წიგნს ჩავჩიჩინებდი და დიდი სურვილიც მქონდა მისი დაბეჭდისა, მაშინ იმან აღმითქვა რომ მოეტანა ჩემთვის უფრო გარკვევით დაწერილი „ყარამანიანი“, რომელიც თავის ჰაპისაგან დარჩენოდა და მისი ბებიაც თურმე ისე იწახავს, როგორც ძვირფასს ნივთს რადგანაც სახალისო წასაკითხი ყოფილა.

ამ ყმარწვილმა კაცმა დაპირებისამებრ მეორეს დღესვე მომიტანა წიგნი მუშით, რომელიც წინით მოედოდა ნახევარი ფუთი, ესეც შოლურჯო ქაღალდზე სხვა და სხვა ხელით იყო დაწერილი. რა ეს წიგნი გადავათვალიერე და შევადარე ერთი მეორესთან, ვნახე რომ ისიც თორმეტი კარი იყო, მხოლოდ უფრო ეს ვირჩიე და გადავწყვიტე კიდეც დასაბეჭდათ.

მკითხველნო, კი არ გეგონოთ რომ იმ ხელთნაწერ რვეულს რაიმე სურათები ჰქონოდეს — არც ერთი სურათი არა ჰქონია შიგ, სურათებიც კი მე მოვაგვარე ჩემის მცირე აზრით, თუმცა არც არის ძრიელ საქებური სურათები, მაგრამ საცა როგორც ხალხს ასახელებდა და ანუ უკეთ ვსთქვათ ხატავდა ფერიებს ანუ დევებს, ისე მოვაგვარე, რადგანაც სურათები უფრო მიმზიდველი იყო მდაბიო ხალხისათვის. ახლა ქაღალდის გარდა ამ სურათებმა უფრო შემიშალეს ხელი, რადგანაც იმ ჟამათ ცინკოგრაფიები არ არსებობდა თბილისში და სურათების შოვნა მიძნელდებოდა, ბოლოს გადავწყვიტე მეყიდნა ბზის ხე, რომელიც ფიცრებათ დაეახერხინე და იმათზე ვათხრეინებდი სურათებს და ზედ ვაბეჭდინებდი. ისე რომ, ეს თითო სურათის ამოჭრა და ფიცარი მიჯდებოდა 7—8 მანეთი, ბგრეთვე დასაბეჭდს ფულს ვხდილობდი და სხ, მხოლოდ ასოს აწყობა მრჩებოდა უფასოთ, რადგანაც მე თითონ ასოთ-ამწყობი ვიყავი. ყველა ამ ხარჯებს მაინც არ შეუშინდი და ესე განვაგრძე გამოცემა ჩემის საკუთარის რედაქციით ვიდრე თორმეტ კარამდე; ჯერ წინეთ დავაპირე საერთოთ მთელი წიგნის დაბეჭდვა, მაგრამ ესე უფრო მეტათ ძვირი ჯდებოდა და ამიტომ ცალკე კარებად დავაბეჭდინე.

როდესაც შევასრულე თორმეტი კარის ბეჭდვა, როგორც ალმეთ-

ქვა ხალხისთვის, შერე აღმოჩნდა ერთ ადგილას კიდევ ოთხი კარი ე. ი. თორმეტის გაგრძელება — ეს ოთხი კარიც შევისყიდე და თექვსმეტი კარი „ყარამანიანი“ შევასრულე, საკუთარის შრომით და ხარჯით.

ბევრი გაჭირვება და დაბრკოლება მიყიდე იმ ჟამათ „ყარამანიან“-ის გამოცემაში და ამით განვახორციელე თ. დავით ორბელიანის შრომა და ღვაწლი. მართალია ბევრი გოდება და დაცინვაც მიყიდე ჩვენ ზოგიერთა ვაჟბატონებისაგან, თვით ჟურნალ-გაზეთებშიაც კი დამიწერეს და მკითხველებსაც ათრთხილებდნენ, რომ არ ეყიდნათ „ყარამანიანი“, რადგანაც უგრამატიკოთ იყო დაბეჭდილი *).

უნდა მოგახსენოთ მკითხველნო, რომ „ყარამანიანს“ არავითარი ვნება არ მოუტანია ქართველ ერისათვის, სამაგიეროთ უფრო ნაყოფი გამოიღო თავის სახალისო და მიმზიდველის შინაარსით და დედა-ენაზედ წერა-კითხვა შეასწავლა უსწავლელ მდაბიო ხალხს. მე-19 ადრე სოფლებშიაც, სადაც იმ დროს საქართველო სკოლები სულ არ არსებობდნენ როდესაც პირველად გამოვეცი ჩემი “ყარამანიანი“. მართალია გრამატიკის ნაკლულევანება აქვს, მაგრამ როგორც ზევით ვსთქვით, ვევრს ამოუდგა ენა და შეასწავლა ქართული წერა-კითხვა, როგორც არცერთმა სახელმძღვანელომ.

ეს „ყარამანიანი“ ასეთი სახალისო წასაკითხია, რომ რაც უნდა უბირი კაცი იყოს, იმასაც კი მოჰგვრის კითხვის ხალისს და თუ დაიწყოს პირველი კარის კითხვა, უთუოდ შემდეგებსაც შეაძენინებს და ამით კითხვასაც კარგათ იკვეთავს, მაშასადამე ამ წიგნს უნდა უწოდოთ, „პირველი ბუნებრივი სამრევლო დედა-ენა“.

ზოგიერთა პირნი, წინათაც და უხლაც მეუბნებოდნენ: „კაცო, ეს რა წასაკითხი წიგნიაო, ამაზე დრო როგორ უნდა დაკარგოს ადამიანმა — სულ ტყუილებით სავსეაო?“. მე კი ისევ ჩემს მიზანს ვადექი და განვაგრძობდი ბეჭდვას. ბევრისაგანაც გამიგია, რომ უთქვამს, „მე ქართული კითხვა არ ვიცოდი, რადგანაც მამაჩემმა პატარობისას სკოლაში არ მიმცა და „ყარამანიანის“ შემწეობით შევისწავლე წერა-კითხვაო, ისე რომ, ჩემი საქმეც იოლად მიმყავს და უხლა ჟურნალ-გაზეთებსაც და სხვა წიგნებსაც კი ვკითხულობო“. —აი რამოდენი ნაყოფი გამოიღო ჩვენმა „ყარამანიანმა“!..

ამ „ყარამანიანის“ წიგნს ძნელად გამოუჩნდებოდა ისეთი პირი, რომ დაებეჭდა თავისს ხარჯით და შრომით 2500 გვერდიდამ შედგენილი ხელთნაწერი წიგნი, როგორათაც მე ვიკისრე, შევიმუშავე რამდენათაც შემეძლო და გამოვეცი ეს უხარმაზარი წიგნი.

მაშ ვისურვებდი სულით და გულით, აღმოჩნდნენ მსურველნი ქართველნი-მამულისშვილნი, რომ დაბეჭდონ ამ მაგვარ სხვა წიგნები ანუ ზღაპარ-მოთხრობაები, რომელნიც მრავალი მოიპოვებიან საქართველოში და სკივრებში ლპებიან.

ამით ვათავებ ამ წიგნის ბიოგრაფიას, რომელიც ეს 2-დ გამოვეცი.

გამომცემელი დ. ა. ლაზარევი.

*) მე ისე ვგონებ, რომ როდესაც თ. დავ. ორბელიანს უთარგმნია ეს წიგნი, იმ ჟამად გრამატიკას არ უარსებნია და ამიტომ უგრამატიკოთ იყო ნათარგმნი.